აკადემიური ნაშრომი

პროფესიული განათლებისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასება

დეკემბერი, 2021
UN WOMEN

გამოცემა მომზადდა პროექტის „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონ-ფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერაა მხარდაჭერილი. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ან დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონფლიქ-ტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხის-მგებელნი არიან ავტორები.

© 2021 UN Women

აკადემიური ნაშრომი

პროფესიული განათლებისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების გენდერული გეგავლენის შეფასება

დეკემბერი, 2021
UN WOMEN

ავტორები:

ნორბერტო პინიატი
მაკა ჭითანავა
მარიამ ლობჯანიძე
ერეკლე შუბითიძე
გურამ ლობჟანიძე

UK Government

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

სარჩევი

აბრევიატურა 4

რეზიუმე 5

თავი 1: გენდერული ზეგავლენის შეფასების კონტექსტი 8

ნაწილი 1: ზოგადი ინფორმაცია 9
1.1. მეთოდოლოგია 10
1.2. დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისა და მათი საარსებო პირობების გაუმჯობესების მნიშვნელობა დასაქმების შესაძლებლობების შექმნის პერსპექტივით 15
1.3. ქართველ დევნილთა და ეკომიგრანტთა ხელშეწყობის პოლიტიკის მიზნები გენდერული თანასწორობის კუთხით 30
1.4. დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოს სააგენტოს მიერ მართული პროგრამები - გენდერული თვალსაზრისით 36

ნაწილი 2: შერჩეული პროგრამების აღწერა 42

ნაწილი 3: შერჩეული პროგრამების გენდერული შესაბამისობა 48

თავი 2: პროგრამების გენდერული ანალიზი: პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამები 50

ნაწილი 4.1. პროგრამების გენდერული ანალიზი - რაოდენობრივი ანალიზი 51
4.1.1. პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის რაოდენობრივი ანალიზი 51
4.1.2. დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის რაოდენობრივი ანალიზი 59

ნაწილი 4.2. პროგრამების გენდერული ანალიზი - თვისებრივი ანალიზი 70
4.2.1. პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარებთან და პროფესიული განათლების დაწესებულებების წარმომადგენლებთან ჩატარებული ნტერვიუების შედეგები 71
4.2.2 დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ბენეფიციარებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები 77

ნაწილი 5: გენდერულად სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენა 87

თავი 3: მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება 89

ნაწილი 6: მიგნებების შეჯამება 90

ნაწილი 7: გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით შერჩეული პროგრამების გაუმჯობესების რეკომენდაციები 96

დანართი 99

დანართი 1. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების სახელმძღვანელო 100

დანართი 2. პროფესიული განათლების პროგრამების ტიპები და მათი მახასიათებლები 105

დანართი 3. დევნილთა და ეკომიგრანტთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმები 106

დანართი 4. განმცხადებელთა და ბენეფიციართა მოთხოვნილი დაფინანსება რეგიონების მიხედვით 107

ბიბლიოგრაფია 110

აბრევიატურები

COVID-19	2019 წლის კორონავირუსის დაავადება
EU	ევროკავშირი
GEL	ქართული ლარი
GEOSTAT	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GIA	გენდერული ზეგავლენის შეფასება
HPP	ჰიდროელექტროსადგური
IDMC	დევნილთა მონიტორინგის ცენტრი
ID	საიდენტიფიკაციო დოკუმენტი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი (დევნილი)
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IT	საინფორმაციო ტექნოლოგია
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
LF	სამუშაო ძალა
LFS	სამუშაო ძალის გამოკვლევა
M & E	მონიტორინგი და შეფასება
MSS	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MoESD	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SSA	სოციალური მომსახურების სააგენტო
TSA	მიზნობრივი სოციალური დახმარება
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
UNHCR	გაეროს უმაღლესი კომისარი დევნილთა საკითხებში
VET	პროფესიული განათლება და მომზადება

რეზიუმე

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერაა მხარდაჭერილი, ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარა პროფესიული განათლებისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასება. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამების გენდერული ზეგავლენის ex-post შეფასებას.

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია დევნილთა და ეკომიგრანტთა[1] სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესება დასაქმების პერსპექტივის შექმნის გზით. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება დევნილთა და ეკომიგრანტთა პროფესიული განათლების ხელშეწყობით, რათა გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე. რაც შეეხება თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამას, მისი მიზანია დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესება თვითდასაქმების პერსპექტივის შექმნის გზით და ასევე, მიზნად ისახავს დევნილებსა და ეკომიგრანტებს შორის პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

გენდერული ზეგავლენის გუნდმა გააანალიზა პროგრამების საერთო ზეგავლენა სხვადასხვა განზომილების მიხედვით. სიღრმისეული ანალიზის შემდეგ გაკეთდა რამდენიმე დასკვნა:

- შერჩეული პროგრამები განიხილავს მონაწილეებს, როგორც **ჰომოგენურ ჯგუფს; არ არსებობს გენდერული კვოტები ან გენდერულად სპეციფიკური კრიტერიუმები** და სააგენტო მიზანმიმართულად არ ახდენს კონკრეტული გენდერული ჯგუფების მონაწილეობის წახალისებას. ამგვარად, ორივე პროგრამა გენდერულად ნეიტრალურია.
- პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა **აღწევს** თავის კონკრეტულ მიზანს, ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების მიღებას სამიზნე აუდიტორიაში, რამეთუ მგზავრობა მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ამ ჯგუფისათვის. რაც შეეხება პროგრამის ზოგად მიზანს, დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესება, დასაქმების პერსპექტივის შექმნის გზით, ამ მიზნის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ცალკე აღებული ერთი პროგრამა ვერ იქნება საკმარისი მის მისაღწევად. ამ ზოგადი მიზნის მიღწევა დამოკიდებულია ბევრ გარემოებაზე, რომელთა უმრავლესობაზე სააგენტოს გავლენა ვერ ექნება.
- დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა **აღწევს** თავის მიზანს, კერძოდ მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია და მათი საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესება დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების შექმნით; თუმცა, პროგრამა **არ არის ეფექტიანი დევნილთა და ეკომიგრანტთა შორის პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით.**

საერთო ჯამში, პროგრამამ წარმატებით შეასრულა მთავარი ამოცანები. თუმცა, დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა შეიძლება კიდევ უფრო გაუმჯობესდეს. მიზნები შეიძლება იყოს უფრო მეტად გენდერულად სენსიტიური, გაითვალისწინოს კაცებისა და ქალების გენდერული სხვაობები და განსაკუთრებული საჭიროებები. ასეთი განსა-

1 სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახი

კუთრებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეისწავლა დევნილთა და ეკომიგრანტთა ზოგადი დემოგრაფიული პროფილი. ზოგადად, დევნილთა და არადევნილთა **განათლების დონე სტატისტიკურად არ განსხვავდება, თუმცა,** მიუხედავად იმისა, რომ დევნილებს განათლების იგივე დონე აქვთ, რაც საზოგადოების სხვა ნაწილს, **მათი შრომის ბაზრის მაჩვენებლები უფრო დაბალია. ამგვარად, დევნილები, განსაკუთრებით ქალი დევნილები, უფრო მოწყვლადები არიან და მეტ დაბრკოლებას აწყდებიან, რათა მსგავსი ანაზღაურება მიიღონ.** ასევე, **უმუშევრობა უფრო მაღალია** დევნილებში (განსაკუთრებით კაცებში/ახალგაზრდა კაცებში).

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა, ასევე, გამოავლინა გენდერულად სპეციფიკური გამოწვევები, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ ამ პროგრამებს, არამედ სხვა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამებს. პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება:

- პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილეობის მსურველები გენდერულად **თანაბრად არიან განაწილებულები.** თუმცა, რადგან ფონური განაწილება კაცების სასარგებლოდაა - პროფესიული განათლების მიმღებთა შორის კაცები სჭარბობენ - შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ქალები უფრო აქტიურნი არიან პროგრამაში განაცხადის შეტანისას.
- დაფინანსება გენდერულად **დაბალანსებულია** თითოეულ რეგიონში, ასევე, წლების მიხედვით.
- თვისებრივი კვლევის მიხედვით, უფრო სავარაუდოა რომ ქალები **ვერ უზრუნველყოფენ ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვას,** ამიტომ პროგრამის ზეგავლენა მათზე **დადებითია.**
- მთავრობის ახალი განკარგულების გამო პროგრამაში სოციალურად დაუცველი მონაწილეობის მსურველების რიცხვი გაიზარდა, ამგვარად, პროგრამა გამონაკლისია და პროგრამით მიღებული სუბსიდია არ იმოქმედებს სოციალურად დაუცველი დევნილების სოციალურ ქულაზე. ყველა ბენეფიციარს შორის სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების წილი დევნილთა შორის სოციალურად დაუცველი პირების საერთო წილის ტოლია. ეს ფაქტი პროგრამის **მიუკერძოებელ** ხასიათს უსვამს ხაზს. დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაში მონაწილეთა დაფინანსების სიხშირე რეგიონებში უფრო დაბალია თბილისთან შედარებით (ორივე სქესისათვის) და ქალების შემთხვევაში ეს სხვაობა უფრო თვალსაჩინოა. ამასთანავე, დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში თითქმის თანაბარია თბილისში, **თბილისის ფარგლებს გარეთ პროგრამაში მონაწილეობას უფრო მეტად კაცები იღებენ.** აღნიშნული რიცხვები მიუთითებს იმაზე, რომ დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქალები უფრო მეტ ბარიერს აწყდებიან, როდესაც პროგრამაში მონაწილეობის მიღება სურთ, მაგალითად ეს შეიძლება იყოს შეზღუდული ტრანსპორტირება ან/და ტრანსპორტირების შესაძლებლობის არ არსებობა განაცხადის ადგილამდე მისასვლელად, ბავშვების დატოვების შეუძლებლობა (ბაღების ინფრასტრუქტურის არ არსებობა), დამატებითი საოჯახო როლები და სხვა, რომლებიც რეგიონში უფრო მეტადაა წარმოდგენილი, ვიდრე დედაქალაქში. ამჟამად არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია კონკრეტული ბარიერების იდენტიფიცირებისათვის.
- დაფინანსების მაჩვენებელი (ყველა მსურველიდან დაფინანსებულების წილი) მეტნაკლებად დაბალანსებულია, რითაც კიდევ ერთხელ იკვეთება სააგენტოს ნეიტრალური მიდგომა ბენეფიციარების შერჩევის დროს. თუ დაფინანსების მაჩვენებლებს გავაანალიზებთ გეოგრაფიულ დონეზე, **ქალებს უფრო მეტი შანსი აქვთ** მიიღონ დაფინანსება კაცებთან შედარებით თბილისში, ხოლო რეგიონებში სურათი **განსხვავებულია.**
- საერთო ჯამში, არსებობს ტენდენცია, რომ ზოგიერთი პროფესია მიეწერება კონკრეტულ გენდერს და განისაზღვრება, როგორც ე.წ. „ქალის“ და „კაცის“ პროფესიები. როგორც ჩანს, „კაცის“ პროფესიები **უფრო მაღალი ალბათობით იღებს დაფინანსებას (რაც გულისხმობს პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა შორის დაფინანსებულთა პრო-**

ცენტულ წილს) დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში პროფესიის ისეთი ნიშან-თვისებების გამო, როგორიცაა საბაზრო მოთხოვნა, მობილობა, ა.შ.

- ანალიზმა აჩვენა, რომ შერჩეული პროგრამის სამიზნე ჯგუფს **გამოკვეთილად შეზღუდული წვდომა აქვს ფინანსურ რესურსებზე** და მიეკუთვნება საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებულად მწვავეა ქალების შემთხვევაში იმიტომ, რომ პროფესიული აღჭურვილობის არარსებობის შემთხვევაში ქალ ბენეფიციარებს ხელით მუშაობა უწევთ და არ აქვთ შესაძლებლობა იქირაონ ან ითხოვონ საჭირო პროფესიული აღჭურვილობა, კაცებისაგან განსხვავებით.
- თვისებრივი კვლევის მიხედვით, ორივე პროგრამას აქვს სასარგებლო ზეგავლენა ქალების აღქმაზე მათი „მნიშვნელობის“ ამაღლების შესახებ საზოგადოებაში, ხოლო კაცები უმეტესად ამბობდნენ, რომ პროგრამებს არ აქვს ზეგავლენა მათ სოციალურ სტატუსზე.

დაბოლოს, ორივე პროგრამა ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და ეხმაურება მთავარ გენდერულ საჭიროებებს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა თავიდანვე არ არის ასე გაწერილი (ორივე პროგრამა გენდერულად ნეიტრალურია). თვისებრივი და რაოდენობრივი მიგნებები უჩვენებს, რომ პროგრამების წვლილი გენდერული თანასწორობის მიღწევაში გაიზრდებოდა, თუ სააგენტო: გააძლიერებდა პროგრამის გენდერულ სენსიტიურობას, გაითვალისწინებდა არსებულ გენდერულ ნორმებს კომუნიკაციის დროს და უზრუნველყოფდა მონაცემთა შეგროვებას, ანალიზსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებით.

1

გენდერული ზეგავლენის შეფასების კონტექსტი

ნაწილი 1: ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი და ეკომიგრანტი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია და მათი ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება. 2020 წელს დაახლოებით **286,554 პირს (საქართველოს მოსახლეობის 8%) ჰქონდა დევნილის სტატუსი,** ხოლო **324 ეკომიგრანტმა ოჯახმა** მიიღო დახმარება დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსაგან (შემდგომში „სააგენტო“), რომელიც ექვემდებარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სააგენტო პასუხისმგებელია დევნილებსა და ეკომიგრანტებზე, ზრუნავს მათ განსახლებასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დევნილები, ძირითადად, გადაადგილდნენ 1992-1993 წლების აფხაზეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტისა და 2008 წელს რუსეთთან კონფლიქტის შემდეგ, ხოლო ეკომიგრანტები გადაადგილდნენ ბუნებრივი კატასტროფების გამო. ვინაიდან დევნილები და ეკომიგრანტები იძულებით გადაადგილდნენ (დაკარგეს სახლები), მათ მაინც არ აქვთ **ადეკვატური საცხოვრისი და დასაქმებისას და განათლების მიღებისას აწყდებიან პრობლემებს** (UNHCR, 2009; IDMC, 2020; Loughna, 2015). მიუხედავად იმისა, რომ დევნილებს ფორმალურად იგივე უფლებები და წვდომა აქვთ განათლებაზე და მათი განათლების საშუალო დონე არ ჩამოუვარდება საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის დონეს, მათი შრომის ბაზრის მაჩვენებლები მაინც განსხვავდება; დევნილები **11.6 პროცენტული ერთეულით უფრო მეტად იქნებიან უმუშევრები, ვიდრე არადევნილები** იმავე მახასიათებლებით (Torosyan, Pignatti & Obrizan, 2018). ასევე, ისინი **იღებენ დაბალ ხელფასს** მაშინაც კი, როდესაც ერთ კონკრეტულ ადგილას ხუთ წელზე მეტი უცხოვრიათ (Torosyan, Pignatti & Obrizan, 2018). დევნილები საქართველოს საზოგადოების მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან და მნიშვნელოვანია, მათთვის უზრუნველყოფილი იყოს დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები იმ ბარიერების აღმოფხვრით, რომლებიც აფერხებს დევნილების სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას.

დევნილთა საარსებო მდგომარეობის პროგრამების - (1) **პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა და (2) დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა** - გენდერული ზეგავლენის შეფასების ინიცირება უზრუნველყო დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, ხოლო შეფასება ჩატარდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის - ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში - ფარგლებში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერაა მხარდაჭერილი. ამ პროგრამების მთავარი მიზანია **დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საარსებო პირობების გაუმჯობესება.** ამ პროგრამების საშუალებით სააგენტო უზრუნველყოფს, რომ დევნილებისათვის შეიქმნას თვითდასაქმების შესაძლებლობები და მოხდეს პროფესიული განათლების პოპულარიზაცია. გენდერული ზეგავლენის შეფასების ფარგლებში ჩატარდა პროგრამების სრული ანალიზი. ანალიზის მიზანი იყო შეფასებულიყო, შეჰქონდა თუ არა წვლილი ამ პროგრამებს გენდერულ თანასწორობაში თუ, პირიქით, პროგრამები იწვევდა გენდერულ უთანასწორობას მონაწილეობის, რესურსებზე წვდომის, უფლებების, გენდერული ნორმებისა და ღირებულებების კუთხით. უფრო მეტიც, ანალიზის ერთ-ერთი მიზეზი იყო, გამოვლენილიყო ამ პროგრამების წვლილი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაში და შემუშავებულიყო რეკომენდაციები გაუმჯობესების მიზნით. პროგრამების კომპლექსური ანალიზისა და გენდერული თანასწორობის ხარვეზების გამოვლენით გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეძლო, გამოეკვეთა ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინების გზები, პროგრამების გენდერული გარდაქმნის შესაძლებლობების გაზრდა, დევნილთა ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევა და მათი საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის შედეგების გაუმჯობესება.

1.1. მეთოდოლოგია

გენდერული ზეგავლენის შეფასების მიზანია სააგენტოს დახმარება დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამებში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინების კუთხით; აღნიშნული მიზნის მიღწევა შეიძლება სამიზნე მოსახლეობის განსხვავებული საჭიროებების, მახასიათებლებისა და ქცევის გათვალისწინებით. იდეალურ შემთხვევაში გენდერული ზეგავლენის შეფასება ხდება გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, რათა პროგრამის დასაწყისშივე გათვალისწინებული იყოს არსებული გენდერული სხვაობები და საჭიროებები. აღნიშნული გენდერული ზეგავლენის შეფასება არ არის ადრეული შეფასება, რამეთუ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამები დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის, როგორც პოლიტიკის შემუშავების ხელშემწყობი ინსტრუმენტის, გამოყენება დაიწყებოდა საქართველოში. მიუხედავად ამისა, სააგენტოსთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად გადაწყდა, რომ მიმდინარე პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასება სასარგებლო იქნებოდა სააგენტოსათვის იმ მიზნით, რომ პოლიტიკასა და პროგრამის სტრუქტურაში გამოვლენილიყო ხარვეზები და გამოკვეთილიყო სამომავლო განვითარების სფეროები.

პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასების მიზანია, წინ წამოსწიოს მნიშვნელოვანი საკითხები, რათა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს დაეხმაროს, დაინახონ პროგრამის ზეგავლენა, თუ რამდენად წარმატებულად ახორციელებს პროგრამა გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის ინტეგრაციას თითოეულ ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპზე. შესაბამისად, გენდერული ზეგავლენის შეფასება ცდილობს, შეაფასოს პროგრამებში გენდერული განზომილების ინტეგრაციისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის წარმატების ხარისხი, განსაკუთრებით კი შემდეგი პროცესების ფარგლებში:

- პრობლემებისა და მიზნების განსაზღვრა:
  - რის მიღწევას ისახავს მიზნად პროგრამები გენდერული თანასწორობის კუთხით (პროგრამებისა და საერთო სტრატეგიების ფარგლებში);
  - გენდერულად სპეციფიკური განსხვავებული საჭიროებებისა და დამაბრკოლებელი ფაქტორების გაგება;
  - პროგრამების შესაძლებლობის დონის შეფასება გენდერულ თანასწორობაში წვლილის შეტანის კუთხით.
- მონაცემთა შეგროვება:
  - ქვეყნისა და რეგიონულ დონეზე სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება;
  - ექსპერტებთან კონსულტაცია, ასევე, პროგრამების ქალი და კაცი ბენეფიციარებისა და სხვა განმცხადებლებისაგან, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, უკუკავშირის მიღება.
- რეკომენდაციების შემუშავება, მათი მორგება ბენეფიციარების განსხვავებული ქვეჯგუფების საჭიროებებზე, განსაკუთრებით გენდერული განზომილების გათვალისწინებით:
  - ბენეფიციარების განსხვავებულ ქვეჯგუფებზე ზეგავლენის/შედეგების განსაზღვრა;
  - გენდერული თანასწორობის დამაბრკოლებელი ფაქტორების და პროგრამაში გენდერული თანასწორობის გაძლიერების პოტენციური შესაძლებლობების განსაზღვრა;
  - სტერეოტიპული აღქმის აღმოფხვრა და გარდამტეხი ქმედებების შეთავაზება.
- განაცხადის შეტანისას და შეტანის შემდეგ კომუნიკაცია და დახმარება:
  - ინფორმაციის გაზიარების არხების ეფექტიანობისა და მათი გაუმჯობესების გზების ანალიზი;

- ინკლუზიური ენის გამოყენება;
- კომუნიკაციის დროს გენდერული უთანასწორობის მთავარი ასპექტების გათვალისწინება/განხილვა;
- განაცხადის შეტანისას დახმარება;
- პოტენციურად დამაკმაყოფილებელი კანდიდატებისათვის, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, უკუკავშირის მიწოდება (მათ შორის, უკუკავშირი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება განაცხადის ხარისხის გაუმჯობესება).

- მონიტორინგი და შეფასება:
  - ამ პროგრამების გენდერული ზეგავლენის მონიტორინგი;
  - გენდერულად სპეციფიკური ინდიკატორების შემუშავება;
  - ბენეფიციარების სხვადასხვა ქვეჯგუფზე განსხვავებული ზეგავლენის შეფასება;
  - შესაძლებლობებისა და შედეგების თანასწორობის მიღწევის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა;
  - პროგრამებში/სექტორში გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა;
  - საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და გავრცელება.

გენდერული ზეგავლენის შეფასება ჩატარდა 2021 წლის ივლისი-ნოემბრის პერიოდში და ის შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

ა) მოსამზადებელი სამუშაო - ამ ეტაპზე შეფასების გუნდმა გამართა საწყისი შეხვედრა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სააგენტოს წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო გენდერული ზეგავლენის შეფასების კონცეფციის წარდგენა სააგენტოსათვის და შესაბამისი პროგრამის გამოვლენა შეფასების მიზნით. ამ ეტაპზე შეფასების გუნდმა მიიღო პროგრამების აღწერა და სააგენტოს მიერ განხორციელებული საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფის ხუთი პროგრამის განაცხადების ფორმები. აღნიშნული პროგრამები იყო: დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა, პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა, ეკონომიკური აგენტების მხარდაჭერის პროგრამა, სასათბურე მეურნეობის მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა და დევნილთა და ეკომიგრანტთა, რომელთაც აქვთ სახლი, ინტეგრაციის პროგრამა. მიწოდებული დოკუმენტების გადარჩევის შემდეგ გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა სააგენტოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელთან შეთანხმებით შეარჩია ორი ურთიერთდაკავშირებული პროგრამა (რომლებიც უკავშირდება პროფესიულ განათლებას) და ჩაატარა მათი გენდერული ზეგავლენის შეფასება. შერჩეული პროგრამებია პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა. შერჩევის მთავარი კრიტერიუმი იყო ბენეფიციარების მაღალი რაოდენობა, რომელიც იძლეოდა მყარი და რეპრეზენტატული გენდერული ანალიზის საშუალებას.

ბ) სამაგიდო კვლევა - მეორე ეტაპზე ჩატარდა სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა ინფორმაცია დევნილთა და ეკომიგრანტთა მოწყვლადობისა (განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ მოწყვლადობის გენდერულ განზომილებას) და ზოგადად და მსგავს პროგრამებში პროფესიული განათლების გენდერის კუთხით გარდამქმნელი შესაძლებლობის პოტენციალის შესახებ. ასევე, ამ ეტაპზე სააგენტომ წარმოადგინა პროგრამების შესახებ არსებული მონაცემები და შეფასდა შერჩეული პროგრამების გენდერული შესაბამისობა. აღსანიშნავია, რომ კვლევაში გამოყენებული ყველა რაოდენობრივი მონაცემი არის 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით. საერთაშორისო გამოცდილება და მისი შესაბამისობა საქართველოს კონტექსტში შეფასდა დევნილებისა და ეკომიგრანტების, მათი საგანმანათლებლო მიღწევებისა და შრომის ბაზარზე მათი შედეგების შესახებ ლიტერატურისა და სტატიების საფუძველზე. უფრო მეტიც, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეისწავლა საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტი, რათა წარმოეჩინათ იძულებით გადაადგილებასა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ოფიციალური სახელმწიფო სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

გ) თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა - ამ ეტაპზე გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოიყენა სამაგიდო კვლევა, მეორეული მონაცემების ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუები, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია და

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების შედეგები.

რაოდენობრივი ანალიზის ფარგლებში შეფასების გუნდმა გამოიყენა ინფორმაციის შემდეგი ძირითადი წყაროები:

- სააგენტოს მიერ მოწოდებული შერჩეული პროგრამების მონაცემები, რომლებიც მოიცავდა ინფორმაციას შერჩეული ბენეფიციარებისა და სხვა განმცხადებლების შესახებ, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები. აღნიშნული მონაცემების გამოყენებით ჩატარდა პროგრამის ბენეფიციარების გენდერული ანალიზი ბენეფიციარების პროფესიებისა და დაფინანსების მოცულობის მიხედვით. სხვა განმცხადებლების შემთხვევაში მონაცემები გაანალიზდა უარის მიზეზებისა და გენდერულ ჭრილში უარყოფის მაჩვენებლის მიხედვით;
- სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები: დევნილებისა და ეკომიგრანტების რაოდენობა, პროგრამების ბიუჯეტები (დაგეგმილი და ფაქტობრივად დახარჯული) და წლების განმავლობაში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილებისა და ეკომიგრანტების რაოდენობა;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან (საქსტატი) მიღებული მონაცემები: სამუშაო ძალის გამოკვლევა, პროფესიული განათლების სტატისტიკა (რეგიონების მიხედვით წლების განმავლობაში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულების რაოდენობა და საერთო ჩარიცხვების მაჩვენებლები);
- სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები იმ დევნილების შესახებ, რომლებიც იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებასა და დევნილთა შემწეობას.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა ჩაატარა რამდენიმე ონლაინ შეხვედრა სააგენტოს წარმომადგენლებთან და სატელეფონო ინტერვიუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის მიზანი იყო პროგრამების, მათი განხორციელების სპეციფიკურობისა და დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირება. იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, სადაც პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ყველაზე მეტი ბენეფიციარი სწავლობს, ჩატარდა ხუთი ნახევრად სტრუქტურული სატელეფონო ინტერვიუ.

რაც შეეხება პროგრამის ბენეფიციარებს, თავდაპირველად შეფასების გუნდი გეგმავდა გამოკითხვის ჩატარებას. თუმცა, კითხვარების გამოცდის ეტაპზე (5-6 ოქტომბერს) გადაწყდა, რომ ჩატარებულიყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები იმიტომ, რომ ეს უკეთესი გზა აღმოჩნდა პროგრამის ზეგავლენის შეფასებისათვის. ბენეფიციარების მდგომარეობები რადიკალურად განსხვავდება; მათი საჭიროებების, შეზღუდვებისა და პროგრამების მათზე ზეგავლენის შეფასებას სჭირდება უფრო სიღრმისეული და უფრო მოქნილი ინტერაქცია და კომუნიკაცია, რომელიც სტანდარტიზებული კითხვარის შევსებისას ვერ მიიღწევა. ამგვარად, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა მოამზადა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს დეტალური სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავდა ყველა აქტუალურ საკითხს. მოგვიანებით აღნიშნული სახელმძღვანელო განახლდა საპილოტე ინტერვიუების შედეგების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ყველა ინტერვიუ ჩატარდა შეფასების გუნდის წევრების მიერ, რამაც უზრუნველყო მიდგომის ერთგვაროვნება და შესაძლებელი გახადა, ჩატარებულიყო ზუსტი შეფასება და გამოტანილიყო უფრო სანდო დასკვნები. 7-19 ოქტომბერს დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ბენეფიციარებთან ჩატარდა 18 (ათი ქალი და რვა კაცი), ხოლო პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარებთან 20 (ათი ქალი და ათი კაცი) ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. ინტერვიუ სხვა განმცხადებლებთან, რომლებიც ვერ გახდნენ დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ბენეფიციარები, ჩატარდა 3-5 ნოემბერს; ჯამში 17 ნახევრად სტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუ (ცხრა ქალი და რვა კაცი). შეფასების გუნდმა შენიშნა, რომ რამდენიმე (დაახლოებით ათი) ინტერვიუს შემდეგ პასუხები ერთმანეთს ჰგავდა და დამატებითი ინტერვიუს ჩატარება ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობის

მატარებელი არ იყო. ამრიგად, დაახლოებით 20 ინტერვიუს შემდეგ გადაწყდა, რომ ჩატარებული ინტერვიუს რაოდენობა იყო საკმარისი. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების სახელმძღვანელო მოცემულია დანართში 1.

დ) გენდერული ზეგავლენისა და თანასწორობის შეფასება და ანგარიშის დაწერა - წინა ეტაპებზე შეგროვებული ინფორმაცია გაანალიზდა გენდერულ ჭრილში.

გენდერული ზეგავლენის შეფასება ჩატარდა შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: (1) ნორმები და ღირებულებები - გენდერული როლების გამოვლენა, სამუშაოს გადანაწილება, ქალებისა და კაცების დამოკიდებულება და ქცევა, ქალებისა და კაცებისათვის მიკუთვნებული უთანასწორო ღირებულებები, არსებული გენდერული სტერეოტიპები; (2) მონაწილეობა - პროგრამის ბენეფიციარების გენდერული შემადგენლობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და კაცების ჩართულობა; (3) რესურსები - არსებითი რესურსების (დრო, ინფორმაცია, ფინანსური რესურსები, ეკონომიკური ძალაუფლება, ტრენინგი, ა.შ.) განაწილება და (4) უფლებები - არსებული გენდერული დისკრიმინაცია. შემდეგ ეტაპზე მოხდა გენდერული ზეგავლენის შეწონვა,[2] გამოიკვეთა რეკომენდაციები შერჩეული პროგრამების გენდერული ზეგავლენის გაუმჯობესებისათვის საჭირო ცვლილებების შესახებ.

კვლევაში დაფიქსირდა გარკვეული დამაბრკოლებელი ფაქტორებიც. შეზღუდვები გამოწვეული იყო ნაწილობრივ არსებული პრობლემის სპეციფიკური ბუნებით, დაინტერესებული მოსახლეობის მახასიათებლებითა და - უფრო ფართო მასშტაბით - დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ მონაცემებისა და კვლევების სიმწირით. ასევე, გარკვეულწილად ანალიზზე იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ გენდერული შეფასებები და გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტები შედარებით ახალია ქვეყნისათვის. აღსანიშნავია, რომ ქვემოთ განხილული შეზღუდვებიდან გამომდინარე, პროგრამები ჩანასახშივე ნაკლებად გენდერულად მგრძნობიარეა.

უფრო კონკრეტულად, მნიშვნელოვანი შეზღუდვები განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- შერჩეულ პროგრამებში ეკომიგრანტების ძალიან დაბალი რაოდენობის გამო, ამ ჯგუფზე გენდერული ანალიზის ჩატარება შეუძლებელი იყო.
- პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მონაცემებში არ იყო მოცემული თითოეული მონაწილისათვის ანაზღაურებული მგზავრობის ხარჯები. სააგენტო დათანხმდა, მიეწოდებინა აღნიშნული მონაცემები, მაგრამ ასეთი მონაცემთა ბაზის შექმნისათვის სააგენტოს წარმომადგენლებისაგან საჭირო ძალისხმევის გათვალისწინებით შეფასების გუნდმა გადაწყვიტა ანალიზში გამოეყენებინა მხოლოდ ჯამში გადარიცხული თანხა.
- დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის შემთხვევაში სათანადო ჰიპოთეტური ფაქტების ანალიზის (counterfactual analysis) ჩატარების შეუძლებლობა. ამ შემთხვევაში ჰიპოთეტური ფაქტების ანალიზი ნიშნავს იმის გაზომვას, თუ რა მოუვიდოდათ ბენეფიციარებს, რომ არ ყოფილიყო აღნიშნული პროგრამა; ასეთ შემთხვევაში ზეგავლენა შეფასდებოდა ინტერვენციის ფარგლებში ორი ჯგუფის შედეგების შედარებით: ისინი, ვინც გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები და ისინი, ვინც შეიტანეს განაცხადი, მაგრამ ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო ინახავს ინფორმაციას კანდიდატების შესახებ, ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები და გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა ჩაატარა მათთან ინტერვიუები, ინტერვიუებით მიღებული ინფორმაცია არ იყო საკმარისი ჰიპოთეტური ფაქტების ანალიზის ჩასატარებლად. აღნიშნული განმცხადებლების მდგომარეობის შეფასებისათვის შემუშავებული კითხვარის დატესტვის ეტაპზე, მათ ან უარის

2 ეს ეტაპი ეხება ზეგავლენის პრიორიტეტების მიხედვით განაწილებას- გენდერული ზეგავლენის შეწონვა რეკომენდაციების გაცემის მიზნით და მათი პრიორიტეტების მიხედვით განაწილება დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის მნიშვნელობისა და მათი დადგომის ალბათობის საფუძველზე.

განაცხადეს ინტერვიუზე, ან შუა ინტერვიუს დროს გამოეთიშნენ. ამიტომ, კვლევის გუნდმა გადაწყვიტა, შეეცვალა ინტერვიუს კითხვარი და აქცენტი გააკეთა მხოლოდ მნიშვნელოვან განზომილებაზე, კერძოდ დასაქმების სტატუსსა და ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებზე. დამატებითი კითხვები დაისვა, რათა გუნდი მიმხვდარიყო, იცოდნენ თუ არა მონაწილეებმა უარის მიზეზი და გაეგო მათი დამოკიდებულება და ქცევა უარის მიღების შემდეგ. შედეგად შეუძლებელი იყო გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდისათვის, რომ შეეთავსებინა მიღებული კანდიდატები „იდენტურ“ კანდიდატებთან, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, რითაც შეუძლებელი გახდა დადგენილიყო ინტერვენციებსა და პროგრამის შედეგებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ასევე, ჩატარებულიყო პროგრამის ზეგავლენის რაოდენობრივი ანალიზი. პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის შემთხვევაშიც უარის მაჩვენებელი იყო ძალიან დაბალი და დროისა და რესურსების მნიშვნელოვანი ხარჯების (განსაკუთრებით დამატებით მიღებული ინფორმაციის მოსალოდნელ სარგებელთან შედარებით) გათვალისწინებით ზეგავლენის შეფასების გუნდმა გადაწყვიტა, რომ არ ჩაეტარებინა ჰიპოთეტური ფაქტების ანალიზი.

- COVID-19 პანდემია - ეკონომიკური შოკები ართულებს პროგრამების შეფასებას, რამეთუ რთული ხდება შოკის ზეგავლენისა და პროგრამის საერთო ზეგავლენის გამიჯვნა იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია სათანადო ჰიპოთეტური ფაქტების ანალიზის ჩატარება.
- დევნილები არ არიან სრულყოფილად წარმოდგენილები სამუშაო ძალის გამოკვლევაში, რის გამოც ქვეყანაში მცხოვრები დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და სამუშაო პირობების მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი. რადგანაც დევნილები არ არიან სრულყოფილად წარმოდგენილები სამუშაო ძალის გამოკვლევაში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სამუშაო ძალის გამოკვლევის საფუძველზე ჩატარებულმა ანალიზმა შეიძლება არ მოგვცეს ქართველი დევნილების მდგომარეობის ზუსტი სურათი.
- სტრატეგიული დაგეგმარების ციკლში გენდერული მიზნების/შედეგების მაგალითების მცირე რაოდენობა ან არარსებობა: ეს განსაკუთრებით ეხება დევნილებსა და ეკომიგრანტებში გენდერულ თანასწორობას, ასევე, იმ ჩარჩოების არარსებობას, რომლებითაც იხელმძღვანელებდნენ გენდერული სამუშაოს შესრულების დროს ამ კონკრეტულ ჯგუფში. კვლევამ უჩვენა, რომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამების გენდერულ განზომილებასა და უფრო მეტ გენდერულ კომპეტენციას საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტებში კონკრეტული თემატური ცოდნით, რომელიც საჭიროა ამ კონკრეტული ჯგუფისათვის.
- დევნილებისა და ეკომიგრანტების მოწყვლადობის და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ მწირი გენდერული ექსპერტიზა. ამ საკითხზე ჩატარებული მცირე რაოდენობის კვლევების, აკადემიური წრეებიდან და საჯარო ინსტიტუტებიდან გენდერის მიხედვით ჩაშლილი ინფორმაციის დაბალი მოთხოვნისა და კომპეტენციის საერთო დაბალი დონის გათვალისწინებით აღნიშნული გენდერული ზეგავლენის შეფასება არ იყო ისეთი სიღრმისეული, როგორიც ის იქნებოდა, ყველა ზემოხსენებული, მათ შორის, ეს პირობაც დაკმაყოფილებული რომ ყოფილიყო.

1.2.
დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისა და მათი საარსებო პირობების გაუმჯობესების მნიშვნელობა დასაქმების შესაძლებლობების შექმნის პერსპექტივით

დევნილები და ეკომიგრანტები საზოგადოების ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათ ინტეგრაციას საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. საქართველოში დევნილთა და ეკომიგრანტთა მოწყვლადობის ხარისხის ანალიზისათვის საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემთა წყაროების გამოყენებით გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა მათი დემოგრაფიული პროფილი, განათლების დონე და შრომის ბაზრის მაჩვენებლები და მათი მახასიათებლები შეადარა საქართველოს მოსახლეობის სხვა წევრების მახასიათებლებს, რათა დაედგინა თუ რამდენად მოწყვლადები არიან დევნილები სხვა მოსახლეობასთან შედარებით. ზოგადი განსხვავებების მიმოხილვა და პოტენციური გენდერული ხარვეზების გამოვლენა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გავიგოთ, კარგად აკეთებს თუ არა აღნიშნული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები აქცენტებს ამ ჯგუფებზე და რა მიმართულებით შეიძლება აღნიშნული პროგრამები გაუმჯობესდეს.

დემოგრაფიული პროფილი - დევნილები და ეკომიგრანტი ოჯახები

ა) დევნილთა დემოგრაფიული პროფილი

2020 წლის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობს 286,554 დევნილი. აღნიშნული რაოდენობა შეესაბამება საქართველოს მოსახლეობის 8%-ს. დევნილთა 47% კაცია, ხოლო 53% - ქალი. დევნილთა გენდერული განაწილება საკმაოდ ჰგავს საქართველოს მოსახლეობის გენდერულ განაწილებას, კერძოდ საქართველოს მოსახლეობის 48% კაცია, 52% - ქალი.

საქართველოში ამჟამად მცხოვრები დევნილები შედგება ორი მთავარი ჯგუფისაგან (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019):

1. დევნილთა პირველი ნაკადი, რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ 1991-1993 წლებში საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტების გამო;
2. დევნილთა მეორე ნაკადი იმავე რეგიონებიდან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად.

აფხაზეთიდან დევნილთა რაოდენობა თითქმის ათჯერ მეტია, ვიდრე ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან. რაც შეეხება ეკომიგრანტებს, გასულ წლებში ეკომიგრანტთა ყველაზე მეტი რაოდენობა დარეგისტრირდა 2017 წელს (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

დევნილთა უმეტესობა ცხოვრობს დედაქალაქ თბილისში ან გამყოფი ხაზის მქონე რეგიონებში. 2020 წლის მონაცემების მიხედვით, დევნილთა 39% ცხოვრობდა თბილისში, 31% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 10% - იმერეთში და 6% - შიდა ქართლში (დიაგრამა 1). დევნილთა მოსახლეობაში გენდერული სხვაობა არ აღინიშნება მათი რეგიონული განაწილების შემთხვევაში.

დიაგრამა 1:

დევნილთა რეგიონული განაწილება (რაოდენობა), 2020



წყარო: სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები.

დევნილები საქართველოს მოსახლეობისაგან განსხვავდებიან დასახლების ტიპის მიხედვით. 2020 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 59% ცხოვრობდა საქალაქო დასახლებაში, ხოლო დევნილების შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი 70% იყო (დიაგრამა 2).[3] ამგვარად, დევნილებში საქალაქო ტიპის დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად აღემატება ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს.

დიაგრამა 2:

დევნილებისა და საქართველოს მოსახლეობის განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით, 2020



წყარო: საქსტატი და ავტორების გამოთვლები საქსტატის 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

3 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით ანალიზის შემთხვევაში დევნილები საქართველოს მოსახლეობისაგან არ განსხვავდებიან. დევნილთა შორის სამუშაო ასაკის (15+) მქონე მოსახლეობის ანალიზი აჩვენებს[4], რომ დევნილთა 15% ახალგაზრდაა (15-24 ასაკობრივი კატეგორია[5]), 40% მიეკუთვნება 25-49 ასაკობრივ კატეგორიას, ხოლო დარჩენილი 44% - 49 წელს ზემოთ ასაკობრივ კატეგორიას (დიაგრამა 3). საქართველოს მთლიანი მოსახლეობის შემთხვევაში სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება მსგავსია: მოსახლეობის 14% ახალგაზრდაა, 42% მიეკუთვნება 25-49 ასაკობრივ კატეგორიას, ხოლო დარჩენილი 43% არის 49 წელს ზემოთ ასაკობრივი კატეგორიიდან. დევნილთა ასაკობრივი განაწილების ანალიზი გენდერულ ჭრილში აჩვენებს, რომ უფრო მეტი ქალი ხვდება 25-49 ასაკობრივ და 49 წელს ზემოთ ასაკობრივ კატეგორიაში (ქალების 56% და 58%), ხოლო კაცები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი ახალგაზრდა კატეგორიაში (კაცების 56%). დევნილთა ასაკობრივი განაწილება გენდერულ ჭრილში ძირითადად ემთხვევა საქართველოს საერთო მოსახლეობის[6] განაწილებას 49 წელს ზემოთ ასაკობრივ კატეგორიასა და ახალგაზრდებში. ერთადერთი რეალური სხვაობაა ის, რომ 25-49 ასაკობრივ კატეგორიაში ქალები საერთო მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს წარმოადგენს, ხოლო ამ ასაკობრივ კატეგორიაში დევნილ ქალთა წილი 56%-ია. ამ ნაწილში მოყვანილი მონაცემები არის მხოლოდ აღწერილობითი ხასიათის და მათი საშუალებით შეიძლება წარმოდგენის შექმნა ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები მოცემული არის რაოდენობრივი ანალიზის თავში.

დიაგრამა 3:
დევნილთა განაწილება ასაკობრივ ჭრილში, 2020



წყარო: ავტორების გამოთვლები საქსტატის 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

ბ) ეკომიგრანტების დემოგრაფიული პროფილი

2016-2020 წლებში სახელმწიფომ 2,000-ზე მეტი ეკომიგრანტი ოჯახი უზრუნველყო საცხოვრისით პირდაპირ ან ფინანსური ან სხვა სახის დახმარებით. 2020 წელს დაკმაყოფილებული ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა შეადგენდა 324-ს (დიაგრამა 4). „დაკმაყოფილებული“ ეკომიგრანტი ოჯახები (შემდგომში „ეკომიგრანტი ოჯახები“) ნიშნავს

4 ანალიზის მთავარი წყაროა 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევა, რომელიც ჩაატარა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი). კვლევაში მოხვდა მხოლოდ 15 წელს ზემოთ მოსახლეობა. ამიტომაც კვლევა მხოლოდ 15+ ასაკით შემოიფარგლება.

5 გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა ახალგაზრდებისათვის იმავე ასაკობრივი კატეგორია გამოიყენა, რაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის მიერ.

6 წყარო: საქსტატი.

ოჯახებს, რომლებიც სახელმწიფომ უზრუნველყო საცხოვრისით ან ფინანსური ან სხვა სახის დახმარებით იმიტომ, რომ მათი სახლები განადგურდა ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ან არსებობდა ბუნებრივი კატასტროფებით (ღვარცოფი, ნიაღვარი, ქვათაცვენა, ზვავი, ა.შ. გარდა მიწისძვრებისა და ვულკანური ამოფრქვევისა) მათი განადგურების მაღალი ალბათობა.[7] ეკომიგრანტი ოჯახების უმეტესობა წარმოშობით აჭარიდან, გურიიდან და იმერეთიდან არის (36%, 26% და 19%, შესაბამისად).

დიაგრამა 4:

დაკმაყოფილებული ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა, 2016-2020



წყარო: სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წლიურად განსახლებული ეკომიგრანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე რეგისტრირებულთა წლიური რაოდენობა. ოჯახების მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობა მიიჩნევს თავს ეკომიგრანტად, მაგრამ მათი შედარებით მცირე ნაწილის დაკმაყოფილება ხდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქულების სისტემის მიხედვით, ისინი შეიძლება არ აკმაყოფილებდნენ მყისიერი განსახლების კრიტერიუმებს (რადგან აქვთ ალტერნატიული საკუთრება საცხოვრებლის სახით რომელიც არ არის ნგრევადი ან სიცოცხლისთვის საშიში და ა.შ.). მაგალითად, 2020 წელს 5,659 ოჯახი თვლიდა საკუთარ თავს ეკომიგრანტად და მოითხოვა დახმარება.

დევნილთა და ეკომიგრანტთა პროფესიული განათლება

რადგანაც გენდერული ზეგავლენის შეფასება აქცენტს აკეთებს პროგრამებზე, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გადაწყვიტა, რომ გაეანალიზებინა იმ დევნილთა და ეკომიგრანტთა რაოდენობა, რომლებმაც ჩააბარეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2020 წელს. პირველი ცხრილი აჩვენებს, რომ ჯამში 324-მა დევნილმა და 23-მა ეკომიგრანტმა ჩააბარა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა 3.4% და 0.2%

7 18/11/2013 ბრძანება #779, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი. წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2049685?publication=0&fbclid=IwAR0_4t-zkOSaW8cKp4k3D0d4cQMB7-OfqizF-DoyKmzmSjpb8ffvRoLFPd0c

შესაბამისად) 2020 წელს. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ დევნილთა და ეკომიგრანტთა უმეტესობა კაცია (60% და 57% შესაბამისად). ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც კაცები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი ახალგაზრდა კატეგორიაში (როგორც ზოგად მოსახლეობაში, ასევე, დევნილებს შორის), რომლებიც უფრო მაღალი ალბათობით მიიღებენ განათლებას.

ცხრილი 1:
პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილებისა და ეკომიგრანტების გენდერული განაწილება, 2020

	დევნილები	ეკომიგრანტები	სტუდენტების საერთო რაოდენობა	დევნილების %	ეკომიგრანტების %	სტუდენტების საერთო რაოდენობის %
ქალები	129	10	4,685	40%	43%	50%
კაცები	195	13	4,714	60%	57%	50%
ჯამი	324	23	9,399			

წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება რეგიონულ განაწილებას, დევნილთა უმეტესობა იღებს პროფესიულ განათლებას სამეგრელო-ზემო სვანეთიდან (45%) და თბილისიდან (25%). აღნიშნული ფაქტი ემთხვევა დევნილთა დასახლების ადგილმდებარეობას (დიაგრამა 5). ამ რეგიონებში არის დასახლებები სადაც ყველაზე მეტი დევნილი ცხოვრობს.

დიაგრამა 5:
პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილების რეგიონული განაწილება, 2020



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობამ იკლო დროთა განმავლობაში (დიაგრამა 6). 2020 წელს ფუნქციონირებდა 92 კერძო და საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაგან 45% თბილისში, 14% აჭარაში და 11% იმერეთში მდებარეობდა (დიაგრამა 7).

დიაგრამა 6:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, 2013-2020



წყარო: ავტორების გამოთვლები საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 7:

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე წვდომა რეგიონების მიხედვით, 2020



წყარო: ავტორების გამოთვლები საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

დევნილების განათლების დონე

რადგანაც ეკონომიგრანტების რაოდენობა ძალიან დაბალია, საქსტატის მიერ ჩატარებული სტატისტიკური კვლევა ვერ გამოიყენება, რათა შეფასდეს მათი საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის მაჩვენებლები. ამიტომაც ამ და მომდევნო ორ ქვეთავში ინფორმაცია მხოლოდ დევნილების შესახებაა.

მეორე ცხრილში შედარებულია დევნილთა და არადევნილი მოსახლეობის განათლების მიღწეული დონე 2020 წელს. მონაცემების მიხედვით, დევნილებსა და არადევნილებს განათლების მიღწეული დონის მსგავსი მაჩვენებელი აქვთ. დევნილთა და არადევნილთა დაახლოებით 30%-მა მიიღო ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ან უფრო მაღალი ხარისხი. ასევე, დევნილთა და არადევნილთა დაახლოებით 50%-მა მიიღო ზოგადი განათლება, ხოლო დაახლოებით 20%-ს აქვს პროფესიული განათლება. მონაცემების მიხედვით, დევნილთა საგანმანათლებლო მიღწევები არ ჩამოუვარდება საქართველოს საზოგადოების სხვა

წევრების მიღწევებს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ დევნილებს განათლების მისაღებად იგივე პირობები და შესაძლებლობები აქვთ, როგორც დანარჩენ მოსახლეობას.

მსგავსი დამოკიდებულება გამოჩნდება, თუ დავაკვირდებით დევნილთა და დანარჩენი მოსახლეობის მიღწეულ განათლების დონეს გენდერულ ჭრილში (ცხრილი 2). მაგალითად, ქალ დევნილებსა და არადევნილებს (ასევე, კაც დევნილებსა და არადევნილებს) მსგავსი შედეგები აქვთ განათლების კუთხით. გარდა ამისა, ქალი დევნილები უფრო იღებენ უმაღლეს განათლებას (33%), ვიდრე კაცები (26%). მსგავს დამოკიდებულებას ვხედავთ არადევნილებს შორისაც (31% და 28%). თუმცა, დევნილების შემთხვევაში სხვაობა მაღალია - შვიდი და სამი პროცენტული პუნქტი.

საერთო ჯამში, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა ირჩევს ზოგადი განათლების ან უმაღლესი განათლების მიღებას, ვიდრე პროფესიული განათლების მიღებას. რადგანაც პროფესიული განათლების მიმღები მოსახლეობის წილი დაბალია, არის უფრო მეტი ადამიანის (როგორც დევნილების, ისე არადევნილების), რომლებსაც მხოლოდ ზოგადი განათლება აქვთ, პროფესიული განათლების მისაღებად წახალისების შესაძლებლობა, რათა გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე.

ცხრილი 2:
მიღწეული განათლების დონე, 2020

		არადევნილები	დევნილები
უფრო ნაკლები ვიდრე დაწყებითი განათლება	ქალები	2%	1%
ზოგადი განათლება	ქალები	45%	43%
პროფესიული განათლება	ქალები	22%	23%
უმაღლესი განათლება	ქალები	31%	33%
უფრო ნაკლები ვიდრე დაწყებითი განათლება	კაცები	2%	1%
ზოგადი განათლება	კაცები	53%	55%
პროფესიული	კაცები	17%	18%
უმაღლესი განათლება	კაცები	28%	26%
უფრო ნაკლები ვიდრე დაწყებითი განათლება	ორივე	2%	1%
ზოგადი განათლება	ორივე	48%	49%
პროფესიული	ორივე	20%	21%
უმაღლესი განათლება	ორივე	30%	30%

წყარო: ავტორების გამოთვლები საქსტატის 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

სამუშაო ძალის მაჩვენებლები - დევნილები

მართალია, დევნილები არ განსხვავდებიან საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისაგან განათლების მიღწეული დონის მიხედვით, მაგრამ ისინი განსხვავდებიან არადევნილი მოსახლეობისაგან შრომის ბაზარზე მიღწეული შედეგებით.

დევნილებზე უფრო მეტად მოქმედებს უმუშევრობა და დევნილებს შორის კაცი დევნილები უფრო მოწყვლადები არიან უმუშევრობის მიმართ. უმუშევრობა მთელი საქართველოს მოსახლეობის პრობლემაა. უახლესი მონაცემების მიხედვით,[8] 2020 წელს უმუშევრობის დონე 18.5% იყო. დევ-

8 წყარო: საქსტატი.

ნილებზე უმუშევრობა უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე საქართველოს საზოგადოების სხვა წევრებზე. დევნილთა უმუშევრობის დონეა 22%, ხოლო არადევნილების - 18%. დამატებითი კვლევები აჩვენებს, რომ კაც დევნილებში უმუშევრობის უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ქალ დევნილებში (სხვაობა 11 პროცენტული პუნქტით). მსგავსი სურათია არადევნილების შემთხვევაშიც, თუმცა, უფრო დაბალი მასშტაბით - მხოლოდ ოთხი პროცენტული პუნქტი სხვაობა (ცხრილი 3).

მართალია, დევნილი ქალების დასაქმების დონე მსგავსია არადევნილი ქალებისა (33% და 34%), მაგრამ კაცი დევნილების დასაქმების დონე გაცილებით დაბალია (44% და 50%), რის გამოც კაცი დევნილები უფრო მეტად მოწყვლადები არიან. ზოგადად, დევნილთა დასაქმების დონე სამი პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობის. თუმცა, აღნიშნული სხვაობა იცვლება, თუ მას გენდერულ ჭრილში განვიხილავთ. სხვაობა იკლებს ქალების შემთხვევაში, მაგრამ იზრდება კაცების შემთხვევაში (ერთი და ექვსი პროცენტული პუნქტი, შესაბამისად).

დევნილების სამუშაო ძალის მონაწილეობის (აქტიურობის) დონე ოდნავ დაბალია, ვიდრე საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის (49% და 51%, შესაბამისად) და აღნიშნული სხვაობა მსგავსია გენდერული ჭრილშიც. კაცი დევნილების შემთხვევაში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონეა 60%-ია, ხოლო ქალების - 39%. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქალებისა და კაცების სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე მსოფლიო მაჩვენებლებთან შედარებით დაბალია და ამ კუთხით საჭიროა გაუმჯობესება. მსოფლიო ბანკის მიხედვით, 2019 წელს კაცებისა და ქალების ჩართულობა სამუშაო ძალაში 74.3% და 47.3% იყო.[9]

ცხრილი 3:
დევნილებისა და არადევნილების შრომის ბაზრის სტატისტიკა, 2020

	დასაქმების დონე	უმუშევრობის დონე	სამუშაო ძალის მონაწილეობის (აქტიურობის) დონე
ქალი დევნილები	33%	16%	39%
კაცი დევნილები	44%	27%	60%
დევნილები	38%	22%	49%
ქალი არადევნილები	34%	16%	40%
კაცი არადევნილები	50%	20%	62%
არადევნილები	41%	18%	51%

წყარო: ავტორების გამოთვლები საქსტატის 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

გარდა ზოგადი შრომის ბაზრის მახასიათებლებისა, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა სამუშაო ძალის მაჩვენებლები ახალგაზრდებისთვის - 15-24 ასაკობრივი კატეგორია, რადგანაც ისინი არიან პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე აუდიტორია. **ახალგაზრდა დევნილებში აღინიშნება უმუშევრობის უფრო მაღალი დონე, დასაქმების უფრო დაბალი დონე და სამუშაო ძალის მონაწილეობის (აქტიურობის) უფრო დაბალი დონე საზოგადოების არადევნილ წევრებთან შედარებით** (ცხრილი 4).

9 წყარო: მსოფლიო ბანკი. გენდერული თანასწორობის მონაცემები & სტატისტიკა.

2020 წელს ამ ასაკობრივ კატეგორიაში კაცი დევნილების უმუშევრობის დონე იყო 53%, ხოლო ქალი დევნილების - 40%. 2020 წელი იყო განსაკუთრებული წელი COVID19 პანდემიის გამო და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმუშევრობის მაღალი დონე გამოწვეულია ლოკდაუნითა და ეკონომიკური შოკებით. თუმცა, ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით კი დევნილთა უმუშევრობის მაღალი დონე გასულ წლებშიც აღინიშნებოდა.

სამუშაო ძალის მაჩვენებლების გენდერულ ჭრილში გაანალიზებისას აღსანიშნავია, რომ **ქალ დევნილებს არსებითად უკეთესი სამუშაო ძალის მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე კაც დევნილებს იმავე ასაკობრივ კატეგორიაში; აღნიშნული სურათი არადევნილებისაგან განსხვავდება.** ქალი დევნილების დასაქმების დონე უფრო მაღალია, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალი და სამუშაო ძალის მონაწილეობის (აქტიურობის) დონე შედარებით მაღალი, ვიდრე კაცი დევნილების (ცხრილი 4). აღნიშნული მიგნება განსხვავდება არადევნილებისა და მსოფლიო მაჩვენებლისაგან, რადგანაც არადევნილებსა და მსოფლიოში დასაქმებისა და სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ახალგაზრდა კაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ახალგაზრდა ქალებში.[10] რომ შევაჯამოთ, სამუშაო ძალის მაჩვენებლები ყველაზე ცუდია საქართველოს საზოგადოების ახალგაზრდა წევრებისათვის, განსაკუთრებით კაცი დევნილებისათვის, რომლებიც ამ კუთხით ყველაზე მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ცხრილი 4:
15-24 წლის დევნილებისა და არადევნილების შრომის ბაზრის სტატისტიკა, 2020

	ასაკობრივი ჯგუფი	დასაქმების დონე	უმუშევრობის დონე	სამუშაო ძალის მონაწილეობის (აქტიურობის) დონე
ქალი დევნილები	15-24	20%	40%	33%
კაცი დევნილები	15-24	15%	53%	32%
დევნილები	15-24	17%	47%	33%
ქალი არადევნილები	15-24	16%	38%	26%
კაცი არადევნილები	15-24	26%	40%	42%
არადევნილები	15-24	21%	39%	35%

წყარო: ავტორების გამოთვლები საქსტატის 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

შეჯამების სახით, შრომის ბაზრის სტატისტიკა უჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დევნილებს და საზოგადოების სხვა წევრებს აქვთ განათლების მსგავსი დონე, ისინი უფრო ცუდი სამუშაო ძალის მაჩვენებლებით ხასიათდებიან. ამგვარად, არსებობს გაუმჯობესების შესაძლებლობა, რათა მოხდეს დევნილების ინტეგრაცია საზოგადოებაში და გაუმჯობესდეს მათი საარსებო პირობები მათთვის ბარიერების მოხსნით, დასაქმების შესაძლებლობების შექმნითა და უკეთესი შრომის ბაზრის მაჩვენებლებისა და პირობების უზრუნველყოფით.

10 მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2019 წელს სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ახალგაზრდა კაცებსა და ქალებში იყო 49.1% და 32.7%. ახალგაზრდა კაცებისა და ქალების უმუშევრობის დონე იყო 14.8% და 17.1%; ახალგაზრდა კაცებისა და ქალების დასაქმების დონე იყო 42.3% და 28.5%. წყარო: მსოფლიო ბანკი. გენდერული თანასწორობის მონაცემები & სტატისტიკა.

შრომის ანაზღაურება - დევნილები

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა დევნილების შრომითი ანაზღაურება (ხელზე ასაღები) 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.[11] იმ დევნილთა წილი, რომელთა შრომის ანაზღაურება იყო 200 ლარზე ნაკლები (რაც საარსებო მინიმუმთან ძალიან ახლოსაა[12]), შეადგენდა 38%-ს. დევნილთა ნახევარზე მეტი (61%) ამტკიცებს, რომ მათი შრომის ანაზღაურება 200-1,000 ლარს შორის მერყეობს (1,000 ლარი საქართველოში საშუალო შრომით ანაზღაურებასთანაა ახლოს[13]). დევნილთა მხოლოდ 1% ამბობს, რომ მათი შრომის ანაზღაურება 1,000 ლარზე მეტია. შრომითი ანაზღაურების ამგვარი განაწილება ძალიან ახლოსაა მთლიანი მოსახლეობის შრომითი ანაზღაურების განაწილებასთან. კერძოდ, არადევნილთა 30%-ის შრომის ანაზღაურება 200 ლარზე ნაკლებია, 67% გამოიმუშავებს 200-1,000 ლარს შორის და 3% ამბობს, რომ მათი გამომუშავება 1,000 ლარზე მეტია. ძირითადად, დევნილთა უფრო მეტი წილი ამბობს, რომ მათი გამომუშავება საარსებო მინიმუმზე დაბალია, ხოლო დევნილთა შედარებით უდრო ნაკლები წილი იღებს შრომის ანაზღაურებას 1,000 ლარზე მეტი სახით. ამგვარად, დევნილები უფრო მოწყვლადები არიან ვიდრე სხვა დასაქმებულები.

მერვე დიაგრამა ცხადყოფს, რომ დაბალი შრომითი ანაზღაურების საკითხი კიდევ უფრო მწვავეა ქალი დევნილების შემთხვევაში. აღნიშნული ნაწილობრივ მოსალოდნელია საქართველოში არსებული გენდერული სახელფასო სხვაობის[14] პირობებში. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიხედვით, საქართველოში გენდერული სახელფასო სხვაობა (ნედლი ანაზღაურება, დაუკორექტირებელი) 17.7%, ხოლო დაკორექტირებული გენდერული სახელფასო სხვაობა 24.8% იყო 2017 წელს (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020). 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, ქალ დევნილთა 51% ამბობს, რომ მათი ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, 48%-ის შრომითი ანაზღაურება 200-600 ლარს შორისაა და მხოლოდ 1% იღებს შრომის ანაზღაურებას 600-1,000 ლარს შორის. არც ერთი დევნილი ქალი არ იღებს 1,000 ლარზე მეტს. იგივე ანალიზი კაცების შემთხვევაში უჩვენებს, რომ კაცი დევნილების 24% გამოიმუშავებს საარსებო მინიმუმზე ნაკლებს, 62%-ის ხელფასი შეადგენს 200-600 ლარს შორის, 13% იღებს შრომის ანაზღაურებას 600-1,000 ლარს შორის და მხოლოდ 1% იღებს საშუალოზე მაღალ ანაზღაურებას. იგივე ციფრები არადევნილების შემთხვევაში (დიაგრამა 9) უჩვენებს არსებითად მაღალ ციფრებს, ხოლო დევნილ და არადევნილ ქალებს შორის ანაზღაურების სხვაობა განსაკუთრებით მაღალია.

აღნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ საშუალოდ დევნილები უფრო მოწყვლადი არიან, ვიდრე საქართველოს საზოგადოების სხვა წევრები და ქალი დევნილები უფრო მეტ სირთულეს აწყდებიან სათანადო ანაზღაურების მიღების კუთხით.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო ძალის გამოკვლევაში მოცემული შრომითი ანაზღაურების მონაცემები არ იძლევა სრულყოფილ სურათს. ამგვარად, ინდივიდუალური ხელფასის შეფასება კონსერვატულია. აღნიშნული მაჩვენებლები შეიძლება არ წარმოადგენდეს ვალიდურ კრიტერიუმებს დევ-

11 2020 წელს დასაქმებული რესპონდენტების 46%-მა უარი თქვა, ეპასუხა ყოველთვიური შრომითი ანაზღაურების შესახებ კითხვაზე. მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა შრომითი ანაზღაურების ანალიზი ვერ წარმოადგენს ქართველ დევნილთა შრომითი ანაზღაურების სრულყოფილ სურათს, ანალიზი მაინც სასარგებლო შეფასებას იძლევა. წყარო: საქსტატი. ავტორების გამოთვლები 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევაზე დაყრდნობით.

12 2020 წელს საშუალო მომხმარებლისათვის საარსებო მინიმუმი 170 ლარი იყო. წყარო: საქსტატი.

13 2020 წელს ფორმალურ სექტორში დასაქმებულისათვის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1227 ლარი იყო. წყარო: საქსტატი.

14 გენდერული სახელფასო სხვაობა არის სხვაობა ქალისა და კაცის მიერ საათობრივ გამომუშავებას შორის შრომის ბაზარზე, გამოსახული კაცების საათობრივი ანაზღაურების პროცენტით. აღნიშნული სხვაობა არ ითვალისწინებს შედარებაში გამოყენებული პირების მახასიათებლებს, განსაკუთრებით განათლებას. ამ მახასიათებლების გათვალისწინებით სხვაობა ხდება „დაკორექტირებული“. წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020.

ნილთა ღირსეული ანაზღაურების დასადგენად; ბევრი არარსებული მონაცემის გამო წარმოიქმნება თვითშერჩევის პრობლემები (ყველაზე მოწყვლადი დევნილები მიზნობრივ სოციალურ დახმარებას იღებენ - დევნილთა 13% იღებდა მიზნობრივ სოციალურ დახმარებას 2020 წელს[15] - ისინი ნაკლებსავარაუდოა, რომ გაამხელენ თავიანთ ხელფასს). გარდა ამისა, სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, დევნილთა 78% იღებს დევნილთა შემწეობას 45 ლარის ოდენობით. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მათ მოწყვლადობას, რადგანაც, თუ მათი დასაბეგრი ხელფასი 1,250 ლარზე მეტია, ისინი ვერ მიიღებენ დახმარებას.[16]

დიაგრამა 8:

დევნილების შრომის ანაზღაურების (ხელზე ასაღები) განაწილება გენდერულ ჭრილში, 2020



წყარო: ავტორების გამოთვლები საქსტატის 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 9:

არადევნილების შრომის ანაზღაურების (ხელზე ასაღები) განაწილება გენდერულ ჭრილში, 2020



წყარო: ავტორების გამოთვლები საქსტატის 2020 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

15 წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო.

16 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244506?publication=6

დევნილთა სამუშაო ძალის მაჩვენებლები ხაზს უსვამს, რომ პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამები გამართლებულია, რადგანაც მათი საშუალებით იქმნება დასაქმების შესაძლებლობები, დევნილთა და ეკომიგრანტებისათვის ხდება შრომის ბაზრის უკეთესი მაჩვენებლების უზრუნველყოფა, რაც იწვევს მათ უკეთეს სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას. მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ მნიშვნელოვანია დევნილთა და ეკომიგრანტთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი საარსებო პირობების გაუმჯობესება, შემდეგი ლოგიკური ნაბიჯია განისაზღვროს და შეფასდეს ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის დევნილებსა და ეკომიგრანტებს ჰქონდეთ უკეთესი შრომის ბაზრის მაჩვენებლები და როგორ იმოქმედებს ამგვარი ბარიერების აღმოფხვრა გენდერულ თანასწორობაზე საქართველოში. მომდევნო ქვეთავებში მოცემულია კონტექსტი, ასევე, აღწერილია ტენდენციები იმისათვის, რომ შეფასდეს დევნილთა და ეკომიგრანტთა ინტეგრაცია, კერძოდ, როგორ ეხმარება დევნილებსა და ეკომიგრანტებს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა და თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა და როგორ ახდენს ეს პროგრამები მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში და აუმჯობესებს თუ არა (და თუ კი, როგორ) აღნიშნული პროგრამები დევნილთა და ეკომიგრანტთა გენდერულ მდგომარეობას საქართველოში.

პროფესიული განათლების გამოწვევები საქართველოში: ზოგადი და გენდერულად სპეციფიკური გამოწვევები

საქართველოში პროფესიულ განათლებას უზრუნველყოფს კერძო და სახელმწიფო პროფესიული სკოლები, კოლეჯები და საგანმანათლებლო დაწესებულებები. საქართველოში პროფესიული განათლების პროგრამები მრავალფეროვანია და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში იკავებს მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე დონეებს.[17] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა ერთიდან სამ წლამდეა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ტიპები და მათი წინაპირობები მოცემულია დანართში 2.

17 კვალიფიკაციის დონე წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარით“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს. საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში არის კვალიფიკაციის 8 დონე.
დონე 1. საბაზო ზოგადი ცოდნა, რაც ქმნის საფუძველს სოციალური განვითარებისთვის, შემდგომი სწავლისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მარტივი დავალების შესრულებისათვის. საბაზო პრინციპებისა და ფაქტების იდენტიფიცირება და ინტერპრეტირება.
დონე 2. სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს საბაზო ცოდნა და მისი გააზრება.
დონე 3. სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების, მეთოდებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააზრება.
დონე 4. სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ფართო ცოდნა და მისი გააზრება.
დონე 5. სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს მრავალმხრივი, სპეციალიზებული, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) და მისი შესაძლებლობების (საზღვრების) გააზრება.
დონე 6. სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს.
დონე 7. სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.
დონე 8. სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება.
წყარო: https://eqe.ge/res/20191007105945NQFofGeorgia.pdf

ზოგადი გამოწვევები

ქართული კულტურული ტრადიციებით, პროფესიული განათლება **დაბალი სახალხო პრესტიჟით** სარგებლობს, რაც ნაწილობრივ საბჭოთა წარსულის ბრალია (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2019). კულტურული სტერეოტიპები ერთ-ერთი მთავარი ბარიერია, რომელიც ხელს უშლის საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას. კვლევები უჩვენებს, რომ პროფესიული განათლება არ ითვლება სასურველ კარიერად. არსებობს მითი, თითქოსდა პროფესიული განათლება დაბალი სოციალური სტატუსის ნიშანია, მხოლოდ თვითდასაქმება ხდება შესაძლებელი პროფესიული განათლებით ან პროფესიული განათლებამიღებული პირები დაბალანაზღაურებად სამსახურებში საქმდებიან. უმეტესწილად დამსაქმებლები არ ენდობიან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემულ კვალიფიკაციებს (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2019). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პოპულარიზაციას უწევს პროფესიულ განათლებას (აწყობს სახელმწიფო კონკურსებს, მონაწილეობს საერთაშორისო შეჯიბრებებში, პროფესიული განათლების ფესტივალებში, გამოფენებში, ვებ-პორტალებზე - www.vet.ge., სარეკლამო კამპანიებს) იმ იმედით, რომ მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულება პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით შეიცვლება უკეთესობისაკენ; თუმცა, პროცესი ნელია (MES, 2017).

პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი კიდევ ერთი დიდი პრობლემაა საქართველოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშის მიხედვით,[18] 2019 წლის კურსდამთავრებულთა საერთო დასაქმების მაჩვენებელი იყო 49%, 2020 წლის მონაცემების მიხედვით (ACT, 2020). ACT-ის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ყველაზე გავლენიანი ცვლადი, რომელმაც 2019 წელს გამოიწვია დასაქმების ვარდნა 2018 წლის დასაქმების მაჩვენებელთან, 62%, შედარებით, არის პანდემია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ხაზგასმულია კურსდამთავრებულთა კვლევებში (2015-2020 წლებში) არის შემდეგი: **იმ დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების პროცენტული წილი, რომლებიც მუშაობენ თავიანთ სპეციალობებთან პირდაპირ ან ნაწილობრივ დაკავშირებულ პროფესიებით, საკმაოდ ცვალებადია წლების განმავლობაში და მერყეობს 48%-დან 66%-მდე.**[19] 2020 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით, 2019 წლის დაქირავებულ კურსდამთავრებულთა 49.1% არ იყო დასაქმებული თავისი სპეციალობით, ხოლო 13.4%–ისთვის არჩეული საქმიანობა მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაკავშირებული მათ სპეციალობასთან, ხოლო დაქირავებულ კურსდამთავრებულთა 37.6%-სათვის დასაქმება პირდაპირ იყო დაკავშირებული პროფესიული განათლების სპეციალობასთან (ACT, 2020). სამწუხაროდ, ეს კვლევები არ იძლევა გენდერულად ჩაშლილ მონაცემებს ამ კონკრეტული ინდიკატორის შესახებ.

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისა და დასაქმების პრობლემების გადაჭრის მიზნით გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი. 2016 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შემოიღო სამუშაოზე დაფუძნებული/ორმაგი პროგრამები, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულება და კომპანია იყოფს პასუხისმგებლობას სტუდენტების მომზადებაზე და სწავლების შედეგების 50% და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ანუ კომპანიაში.[20] აღსანიშნავია, რომ ორმაგი პროგრამის კურსდამთავრებულთა უმეტესობა დაქირავებული იქნა იმავე კომპანიებში,

18 2014 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ტარდება პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა, რომლებმაც დაასრულეს სწავლება ერთ წელიწადში, ყოველწლიური კვლევა.

19 წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2015-2020 წლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშები; https://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo

20 წყარო: https://mes.gov.ge/content.php?id=7163&lang=geo

რომლებშიც მათ უტარდებოდათ განათლების პრაქტიკული ნაწილი (MES, 2019). სამინისტროს ძალისხმევის შედეგად, 2016, 2017 და 2018 წლებში პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს შორის დასაქმების საერთო მაჩვენებელი პანდემიამდე იზრდებოდა - 56,2%, 60%, 62%.[21] მიუხედავად ამ დადებითი ტენდენციისა, კურსდამთავრებულთა დასაქმების 62% მაინც ნიშნავს, რომ არსებობს გაუმჯობესების საჭიროება და შესაძლებლობა.

პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლების რამდენიმე აქტივობის მიუხედავად, როგორიცაა პროფესიულ განათლებაში მასწავლებელთა ხარისხის გაუმჯობესება, პროფესიული განათლების ხარისხი კვლავ რჩება გამოწვევად საქართველოში (MES, 2019). განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) პროფესიული განათლების 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომა უფრო ახლოს უნდა იყოს ევროპულ გამოცდილებასთან (2019). თუმცა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სამშენებლო და ტურისტულ ინდუსტრიებში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევები აჩვენებს, რომ დამსაქმებლების ნდობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ დაბალია. სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის შედეგების მიხედვით, **2019 წელს რესპონდენტთა მხოლოდ 27% (მშენებლობის სექტორის დამსაქმებლები) აფასებს დადებითად პროფესიული სასწავლებლების დონეს, 41% მიიჩნევს მას საშუალოდ, 4% - უარყოფითად. უფრო მეტიც, 18% სრულად ენდობოდა პროფესიულ სასწავლებლებში მიღებულ ცოდნას, 54% - მეტ-ნაკლებად, ხოლო 2% - არ ენდობა** (MOESD, 2019). 2018 წელს ჩატარებულმა ტურიზმის სექტორის ანალოგიურმა კვლევამ აჩვენა მსგავსი შედეგები: **რესპონდენტთა 30%-მა (დამსაქმებლებმა ტურიზმის სექტორში) პროფესიული სასწავლებლების დონე დადებითად შეაფასა, 38%-მა საშუალოდ, 4%-მა კი უარყოფითად. რესპონდენტთა 23% სრულად ენდობა პროფესიულ სასწავლებლებში მიღებულ ცოდნას, 46% - მეტ-ნაკლებად, ხოლო 3% - არ ენდობა** (MOESD, 2018). ორივე კვლევაში იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც არ ჰქონდათ პასუხი ამ კითხვებზე, მაღალი იყო (25-30%).

გენდერულად სპეციფიკური გამოწვევები

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიშის ფარგლებში ჩატარებული 2019 წლის კვლევა „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ განიხილავს პროფესიულ განათლებაში გენდერულ გამოწვევებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევის მიხედვით, პროფესიული განათლება **თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა სოციალური ჯგუფისთვის,** აუცილებელია **გენდერული სხვაობის** გათვალისწინება დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპებზე. კერძოდ, **აუცილებელია ქალისა და კაცის განსხვავებული საჭიროებების შესწავლა, სისტემური უთანასწორობის აღიარება და შრომის ბაზარზე პროფესიული სეგრეგაციის გათვალისწინება** (წურწუმია-ზურაბაშვილი, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის, 2019). ვინაიდან ამ სფეროში არ ყოფილა გენდერული მეინსტრიმინგის ძირითადი ინიციატივები, ბოლო ორი წლის განმავლობაში შეგვიძლია ვიეჭვოთ, რომ ეს გენდერული გამოწვევები შესაძლოა კვლავაც არსებობდეს პროფესიული განათლების სფეროში.

პროფესიულ განათლებასა და მომზადებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით ქალებისთვის მთავარი დაბრკოლება არის **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობა.** სკოლებსა და საცხოვრებელ ზონას შორის მანძილი კვლავ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ქალებისთვის, რომლებიც ქალაქებში არ ცხოვრობენ. სოფლებში **განვითარებული მუნიციპალური ტრანსპორტის ნაკლებობა სიღარიბის შედარებით მაღალ დონესთან ერთად**[22] დამა-

21 წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2015-2020 წლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშები; https://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo

22 საქსტატის მიხედვით, სოფლის მოსახლეობის 27.5% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ურბანული მოსახლეობის 17.1%-თან შედარებით 2020 წელს.

ტებით დაბრკოლებას უქმნის პროფესიულ განათლებას (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2019).

პროფესიული განათლების მსურველი ქალებისთვის **საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა** კიდევ ერთი ბარიერია. კერძოდ, ბევრ პროფესიულ დაწესებულებას არ აქვს საერთო საცხოვრებელი, საბავშვო ოთახი და კაფეტერია (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2019). გარდა ამისა, დაბალ კლასებსა და საბავშვო ბაღებში სამუშაო საათები არ არის ხელსაყრელი პროფესიის მაძიებელი ქალებისთვის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ორ წლამდე ასაკის ბავშვების მშობლები იმიტომ, რომ ბაღში ბავშვების მიღება ორი წლიდან იწყება.

გარდა ამისა, არსებობს სხვა ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის - განსაკუთრებით ქალების - პროფესიულ განათლებას; აღნიშნული ბარიერები მოქმედებს დევნილებზეც. მაგალითად, **ქართულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპები რომ ოჯახში მთავარი მარჩენალი კაცია, უარყოფითად მოქმედებს ქალების შესაძლებლობებსა და უნარ-ჩვევებზე, გამოიმუშაონ საარსებო წყარო** (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2019). ქალისა და კაცის პროფესიების შესახებ გენდერული სტერეოტიპები, ასევე, ხელს უშლის ბევრ ქალს აირჩიოს პროფესიები რომლებიც მოთხოვნადია შრომით ბაზარზე (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2019). სანაცვლოდ, ქალები ირჩევენ მათთვის უფრო მისაღებ პროფესიებს, რომლებიც, როგორც წესი, დაბალანაზღაურებადია (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2019). გარდა ამისა, ქალთა დასაქმებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აფერხებს ტრადიციული საზოგადოების დამოკიდებულება (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2014). ACT-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (2013), ქართულ საზოგადოებას ახასიათებს გარკვეული ოჯახური იერარქია და ოჯახის წევრებს შორის სუბორდინაცია, რომელიც ეფუძნება ქალისა და კაცის როლების სტერეოტიპულ, ტრადიციულ და ხშირ შემთხვევაში პატრიარქალურ აღქმას. ერთ-ერთი ასეთი ცნება, რომელიც ფუნდამენტურია ქართული ოჯახისათვის, ეხება კაცის, როგორც მარჩენალის, როლს.

სხვა ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს, მიიღონ პროფესიული განათლება, შემდეგია (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2019):

ა) **ინფორმაციის ნაკლებობა** - ინფორმაცია პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ ფართოდ ხელმისაწვდომი არ არის. ამის გამო ქალებს - განსაკუთრებით მათ, ვინც ცხოვრობენ დაბებსა და არაურბანულ დასახლებებში - არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია.

ბ) **დასაქმების ნაკლები შანსები და გენდერული სხვაობა** - 2019 წელს პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულ ქალთა 46.7% დასაქმებული იყო 2020 წელს, დასაქმების მაჩვენებელი კაცების შემთხვევაში იყო 51.1%, ანუ 4.4%-იანი სხვაობა (ACT, 2020). 2018 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმებას შორის სხვაობა უფრო მკვეთრი იყო - კაცების 70% იყო დასაქმებული, ქალების კი 54% - ანუ 16%-იანი სხვაობა. 2017 წლის კურსდამთავრებულთა შორის სხვაობა 9%-ა (64% კაცები და 55% ქალები), 2016 კურსდამთავრებულთა შორის - 11.4%-იანი სხვაობა (კაცების 61.1% და ქალების 49.7%). ამ მონაცემების მიხედვით, კურსების დასრულების შემდეგ ქალებს დასაქმების უფრო ცუდი შანსები აქვთ; ამით შეიძლება გაიზარდოს რისკი, რომ ქალებმა თავი შეიკავონ პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვისაგან (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2019).

1.3.
ქართველ დევნილთა და ეკომიგრანტთა ხელშეწყობის პოლიტიკის მიზნები გენდერული თანასწორობის კუთხით

საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში დევნილთა და ეკომიგრანტთა ჩართვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოიყენა საერთაშორისო და ეროვნული განვითარების ჩარჩოები, როგორც საფუძველი, რათა შეეფასებინა სახელმწიფო პროგრამების გავლენა, განსაკუთრებით მათი გენდერული მნიშვნელობა.

გენდერული უთანასწორობა არის მთავარი განზომილება, რომელიც გასათვალისწინებელია, როდესაც საქმე ეხება ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულთა საგანმანათლებლო მიღწევებს ან შრომის ბაზრის მაჩვენებლებს. გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა ნახსენებია დევნილებთან და ეკომიგრანტებთან ან/და პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული სტრატეგიული და სამართლებრივი დოკუმენტების უმეტესობაში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობა აღიარებს შესაბამის სექტორებში გამოვლენილი უთანასწორობის გენდერული კუთხით გადაჭრის მნიშვნელობას. როგორც შემდეგ სექციებშია ნაჩვენები, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ნორმატიული ჩარჩო ყოვლისმომცველია, ეროვნული ჩარჩო, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არასრულყოფილია. დევნილებთან, ეკომიგრანტებთან ან/და პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ქვემოთ მოცემული ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების მიმოხილვამ აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში **გენდერული თანასწორობა მხოლოდ ცალკეულ ნაწილებში მოიხსენიება განსაკუთრებული კონტექსტის გარეშე.** დოკუმენტების უმეტესობაში ცალსახად არ არის ნათქვამი, რომ გენდერული თანასწორობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დევნილთა ან ეკომიგრანტთათვის, ასევე, პროფესიული განათლების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელების დროს. ეროვნული ჩარჩოს განვითარების საჭიროება დგას, რათა გენდერული საკითხები მოგვარდეს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თვალსაჩინო ძალისხმევა სხვადასხვა სექტორში გენდერული საკითხების ხაზგასასმელად, **ზოგადი გენდერული მითითებების მარტივი ჩართვა უბრალოდ საკმარისი არ არის.**

ქვემოთ განვიხილავთ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც ქმნის ეროვნულ და საერთაშორისო ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია დევნილთა მხარდაჭერის პროგრამები.

საერთაშორისო კონტექსტი

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების შესახებ (1998)[23] - წარმოადგენს ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების საერთაშორისო ჩარჩოს საფუძველს. ეს დოკუმენტი ასახავს დევნილთა უფლებებს და სახელმწიფოთა ვალდებულებებს მათი დევნილი მოსახლეობის მიმართ. კერძოდ, ის განსაზღვრავს უფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც ეხება პირთა იძულებითი გადაადგილებისაგან დაცვას და მათ დაცვას და დახმარებას იძულებით გადაადგილებისას, ასევე, დაბრუნებისა ან განსახლებისას და რეინტეგრაციის დროს. ეს პრინციპები აღიარებს გენდერული უთანასწორობის არსებულ განზომილებას იძულებით გადაადგილებისას და აცხადებს, რომ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა განხორციელდეს იძულებით გადაადგილებული ქალებისა

23 იხილეთ აქ: https://www.unhcr.org/protection/idps/43ce1cff2/guiding-principles-internal-displacement.html

და გოგოების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, რათა უზრუნველყონ მათი სრული და თანაბარი წვდომა ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა მომსახურებებზე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დევნილთა, განსაკუთრებით ქალებისა და გოგოების, განათლების უფლებებს (23-ე პრინციპი).

> „განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ ქალებმა და გოგონებმა საგანმანათლებლო პროგრამაში მიიღონ სრული და თანაბარი მონაწილეობა“.
>
> „განათლება და სასწავლო საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, კერძოდ, არასრულწლოვანებისა და ქალებისათვის, მიუხედავად იმისა, ცხოვრობენ თუ არა ისინი ბანაკებში და საამისოდ პირობების შექმნისთანავე.“

სახელმძღვანელო პრინციპები არ არის იურიდიულად სავალდებულო, მაგრამ ისინი გათვალისწინებულია ბევრ ეროვნულ ჩარჩოში, მათ შორის ქართულ ჩარჩოებში.

1995 წლის პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა. ყოვლისმომცველ დოკუმენტში „1995 წლის პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა“ ჩამოთვლილია გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემები და დადგენილია სხვადასხვა სტრატეგია მათ დასაძლევად. ამ სტრატეგიებს შორის ხაზგასმულია იძულებით გადაადგილებული ქალების პრობლემები. დოკუმენტში ნათქვამია, რომ სხვა ქალებთან შედარებით, იძულებით გადაადგილებულ და ლტოლვილ ქალებს წინსვლისთვის დამატებითი დაბრკოლებები ექმნებათ (თავი 4, პუნქტი 46).[24] დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მთავრობების მიერ განსახორციელებელი ერთ-ერთი ქმედებაა:

> „სიღარიბეში მცხოვრები და სოციალურად მარგინალიზებული ქალების პროდუქტიულ დასაქმებასა და ეკონომიკურ საქმიანობაში ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების დანერგვა; დევნილი ქალებისათვის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე სრული წვდომის უზრუნველყოფა და იმიგრანტი და დევნილი ქალების კვალიფიკაციებისა და უნარ-ჩვევების აღიარება“ (მისაღები ქმედებები. პარაგრაფი 58 (ლ)).“[25]

აქ პირდაპირ არ არის ნათქვამი პროფესიული განათლების აუცილებლობა, მაგრამ „ეკონომიკურ შესაძლებლობებზე სრული წვდომა და კვალიფიკაციისა და უნარების [...] აღიარება“ აშკარად მოითხოვს დევნილი ქალების პროფესიულ განათლებასა და პროფესიულ განვითარებაში კაცებთან ერთად თანაბრად ჩართვას.

დოკუმენტის 226-ე პუნქტი ზოგადად მიმოიხილავს განსხვავებებს იძულებით გადაადგილებულ კაცებსა და ქალებს შორის და აცხადებს, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალებს შეიძლება დასჭირდეთ განსხვავებული ტიპის საერთაშორისო დაცვა კაცებთან შედარებით და რომ ქალები შეიძლება გახდნენ ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლნი.[26]

გარდავქმნათ ჩვენი მსოფლიო: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც აღიარებს, რომ ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილება არის ფაქტი და ჰუმანიტარული პრობლემაც. ყველას თანაბარი განვითარება და 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ითვალისწინებს მოსახლეობის ყველა ჯგუფს და მათ საჭიროებებს. მართალია, მდგრადი განვითარების მიზნები ფართოა და ყოველთვის ცალსახად ხაზს არ უსვამს დევნილებს ან ეკომიგრანტებს, თუმცა, ისინი მაინც მოიცავს ამ განსაკუთრებულ ჯგუფებსაც.

მდგრადი განვითარების მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა - ეს მიზანი გან-

24 იხილეთ აქ: https://www.un.org/en/events/pastevents/pdfs/Beijing_Declaration_and_Platform_for_Action.pdf

25 იხილეთ აქ: https://www.un.org/en/events/pastevents/pdfs/Beijing_Declaration_and_Platform_for_Action.pdf

26 იხილეთ აქ: https://www.un.org/en/events/pastevents/pdfs/Beijing_Declaration_and_Platform_for_Action.pdf

საზღვრავს, რომ ადამიანთა ყველა ღარიბ და მოწყვლად ჯგუფს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები რესურსებზე წვდომისათვის მათი ეკონომიკური საქმიანობისათვის და საბაზისო მომსახურებებისათვის, ასევე, თანაბარი წვდომა შესაბამის ტექნოლოგიაზე:

> „1.4 2030 წლისათვის ყველა ქალსა და კაცს, მათ შორის, ღარიბსა და მოწყვლადს, უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები ეკონომიკურ რესურსებზე, ასევე, წვდომა საბაზისო მომსახურებებზე, საკუთრების, მემკვიდრეობის, ბუნებრივი რესურსების, შესაბამის ახალ ტექნოლოგიასა და ფინანსური მომსახურებებზე, მათ შორის, მიკროფინანსებზე, ფლობისა და კონტროლი.“[27]

ცხადია, სიღარიბესთან ბრძოლა უნდა მოიცავდეს ყველა იმ ჯგუფს, რომელთა შემოსავალი განსაკუთრებით დაბალია. იძულებით გადაადგილებული პირები არიან ისინი, ვინც იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლი სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის, ომების, კონფლიქტების, ბუნებრივი კატასტროფების და ა.შ. გამო. ამიტომ, დიდი ალბათობით, დევნილთა უმეტესობა იბრძვის საკუთარი თავის ახალ საცხოვრებელ გარემოში თვითრეალიზაციისთვის და ყველაზე ხშირად ისინი მიეკუთვნებიან ღარიბ ადამიანთა კატეგორიას. ამ ადამიანებზე გათვლილი დღის წესრიგის ქონა ძალზე მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, რომლის მიზანია სიღარიბის ერთხელ და სამუდამოდ დასრულება.

მდგრადი განვითარების მიზანი 4 - ყველა ადამიანისათვის ინკლუზიური და თანაბრად ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და სწავლის მუდმივი შესაძლებლობების პოპულარიზაცია. ეს მიზანი ხაზს უსვამს ყველა დონის ყოვლისმომცველი განათლების მნიშვნელობას მდგრადი განვითარების პროცესში. ქვემიზნებში აღნიშნულია განათლების ყველა ფორმის, მათ შორის, პროფესიული განათლების მნიშვნელობა. ქვემიზანში 4.5 ნათლად წერია, რომ წევრმა ქვეყნებმა უნდა:

> „2030 წლისათვის აღმოფხვრან გენდერული სხვაობა განათლების სფეროში და უზრუნველყონ მოწყვლადი ჯგუფებისათვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, მკვიდრი მოსახლეობისათვის და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის განათლებისა და პროფესიული სწავლების ყველა დონეზე თანაბარი წვდომა“.[28]

მოწყვლადი ჯგუფების კლასიფიკაცია განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. საქართველოს შემთხვევაში ამ ჯგუფში აშკარად ხვდებიან დევნილები და ეკომიგრანტები.

მდგრადი განვითარების მიზანი 5 - გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალებისა და გოგოების გაძლიერება. გენდერული თანასწორობა გაეროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. მდგრადი განვითარების მიზანი 5.1 მოკლედ აჯამებს გაეროს დამოკიდებულებას გენდერული თანასწორობის მიმართ: „დაასრულეთ ყველა სახის დისკრიმინაცია ყველა ქალისა და გოგონას მიმართ ყველგან“.[29] მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა შორის ან მათ შორის, ვინც პროფესიულ სწავლებას გადის, გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა პირდაპირ არ არის ნახსენები, აშკარაა, რომ ამ ქვემიზნის ფართო ბუნება ვარაუდობს, რომ გენდერული თანასწორობის გამონაკლისი შემთხვევა არ არსებობს და ქვეყნებმა უნდა მიმართონ მას ყველა შესაძლო განზომილებაში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) C117 - სოციალური პოლიტიკის (ძირითადი მიზნები და სტანდარტები) კონვენცია, 1962 (#117). ეს კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1997 წლის ოქტომბერში. კონვენციის მთავარი მიზანია წევრ ქვეყნებში კეთილდღეობისა

27 იხილეთ აქ: https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20web.pdf

28 იხილეთ აქ: https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20web.pdf

29 იხილეთ აქ: https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20web.pdf

და სოციალური პროგრესის განვითარების ზოგადი წესების ჩამოყალიბება. დოკუმენტის მე-14 მუხლი ხაზს უსვამს შესაძლო დისკრიმინაციის შემთხვევებს სოციალური პროგრესის მიღწევის მცდელობისას და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გააუქმონ მისი ყველა ფორმა:

> 1. პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს, რომ დასაქმებულთა შორის აღმოიფხვრას დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, რწმენის, ეთნიკური კუთვნილების ან პროფესიული გაერთიანების საფუძველზე
> ა) იმ შრომითი კანონმდებლობისა და შეთანხმებების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარ ეკონომიკურ დამოკიდებულებას ყველას მიმართ, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ და მუშაობენ ქვეყანაში;
> ბ) კერძო ან საჯარო სამსახურში მიღების მიმართ;
> გ) დაქირავებისა და დაწინაურების პირობების მიმართ;
> დ) პროფესიული განათლების შესაძლებლობების მიმართ.[30]

ეს არის ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან დოკუმენტთაგან, რომელშიც ნახსენებია შესაძლო სქესის ნიშნით დისკრიმინაცია პროფესიული მომზადების პროგრამების დროს. აქედან გამომდინარე, ეს არის მნიშვნელოვანი კანონმდებლობა, რადგან ის მოუწოდებს წევრ ქვეყნებს (ერთ-ერთი მათგანია საქართველო) გააუქმონ გენდერული დისკრიმინაციის ყველა ფორმა ამ სფეროში. ამგვარად, ამ პროგრამებზე გენდერული ზეგავლენის შეფასების ჩატარება აქტუალურია, რადგან უნდა შემოწმდეს, აკმაყოფილებს თუ არა პროგრამების შედეგები საქართველოს წინაშე არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობებს.

ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა საქართველოსათვის 2020-2023. ეს დოკუმენტი ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას განვითარების პროცესში და აღნიშნავს, რომ საქართველო გენდერული სხვაობის 2017 წლის ანგარიშში ჩამორჩება ქალთა პოლიტიკური გაძლიერების კუთხით. მისი მიხედვით:

> „დევნილებსა და ახალგაზრდებს შეზღუდული წვდომა აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და არათანაბარი წვდომა მომსახურებებზე ადგილობრივ დონეზე.“[31]

ვინაიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების არათანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემა ნახსენებია გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის აუცილებლობასთან ერთად, შეგვიძლია ვივარაუდოთ/ვიგულისხმოთ, რომ გენდერული განზომილება ასევე უნდა იყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებების დაძლევის სამოქმედო გეგმის ნაწილი. თუმცა, იგივე პრობლემა აქაც რჩება: კონკრეტულად არ არის ნახსენები გენდერული თანასწორობა ან პროფესიული სწავლება დევნილებთან მიმართებით. დოკუმენტების უმეტესობა მხოლოდ ზედაპირულად აღნიშნავს თანასწორობის აუცილებლობას.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების მე-14 თავი ფოკუსირებულია დასაქმებაზე, სოციალურ პოლიტიკასა და თანაბარ შესაძლებლობებზე და ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას სიღარიბის შემცირების, სოციალური ჩართულობისა და მდგრადი განვითარების მისაღწევად.[32]

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების 359-ე მუხლის თანახმად, მხარეები გეგმავენ თანამშრომლობას განათლებისა და სწავლების სფეროში და ამ მუხლის ერთ-ერთ ქვეთავში წერია, რომ პროფესიული განათლება თანამშრომლობის ერთ-ერთი ასეთი სფეროა. ამ მუხლის მიხედვით, თანამშრომლობა ითვალისწინებს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას.[33] გარდა ამისა, ნათქვამია, რომ გენდერული თანასწორობა უნდა იყოს მიღწეული სიღარიბის შემცირებისა და სოციალური ჩართულობის პროცესში; ორივე მიზანი დევნილთა პროგრამების მიზნებშიც შედის.

30 იხილეთ აქ: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO:12100:P12100_INSTRUMENT_ID:312262:NO

31 იხილეთ აქ: https://rm.coe.int/council-of-europe-action-plan-for-georgia-2020-2023/16809c3f62

32 იხილეთ აქ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)

33 იხილეთ აქ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)

ეროვნული კონტექსტი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ კანონი (N1982-IIს, 2014). 2014 წელს საქართველოში ძალაში შევიდა დევნილთა შესახებ ახალი კანონი. ეს კანონი აყალიბებს დევნილთა და მთავრობას შორის ურთიერთობის ზოგად ჩარჩოს, იცავს დევნილებს იმ შენობებიდან გასახლებისგან, რომლებსაც ისინი კანონიერად ფლობენ; კანონი აწესებს, რომ დევნილებმა უნდა მიიღონ თანაბარი დახმარება, ადგენს დევნილის სტატუსის მიღების გამარტივებულ პროცედურას, აღიარებს დევნილების უფლებას დაიბრუნონ საკუთრება და განსაზღვრავს ოჯახის ცნებას, რათა დაიცვას ოჯახური ერთობის უფლება. კანონის მესამე მუხლის მიხედვით, მთავრობა ვალდებულია:

> ა) უზრუნველყოს დევნილის უფლებების დაცვა დევნილობის პერიოდში;
> ბ) ხელი შეუწყოს დევნილის პრობლემების გადაჭრას;
> გ) ხელი შეუწყოს დევნილის ინტეგრაციას მისი რეგისტრაციის ადგილზე;[34]

უფრო მეტიც, დოკუმენტი ნათლად აღნიშნავს, რომ კანონის მანდატი არ არის დისკრიმინაციული და ყველა დევნილი თანაბარია ამ კანონის წინაშე:

> „დაუშვებელია დევნილთა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია მათ მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, იმ მიზეზით, რომ ისინი არიან იძულებით გადაადგილებული პირები, ისევე როგორც რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის გამო.“ (მუხლი 7)[35].

მთავრობის ზოგად ვალდებულებებთან ერთად მე-16 მუხლი, ასევე, აზუსტებს უფრო კონკრეტულ მოვალეობებს, რომლებიც საჯარო სექტორს გააჩნია დევნილთა წინაშე:

> „სამინისტრო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ეხმარებიან დევნილს მისი უფლებების განხორციელებაში, კერძოდ:
> ა) ეხმარებიან დევნილს დასაქმებაში მისი პროფესიისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით;“

დევნილების პროფესიისთვის საჭირო სახელობო იარაღებით უზრუნველყოფა შეიძლება ჩაითვალოს ქმედებად, რომელიც მხარს უჭერს ამ უმცირესობას პროფესიულ განათლებასთან შესაბამისი ღირსეული სამუშაოს პოვნაში და ასევე, ხელს უწყობს მათ შრომის ბაზარზე ინტეგრაციას. ვინაიდან, მე-7 მუხლის მიხედვით, დისკრიმინაციის ყველა ფორმა აკრძალულია, ეს დოკუმენტი, ასევე, ავალდებულებს სამთავრობო პროგრამებს, უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვა დევნილთა საჭიროებებზე ზრუნვისას.

სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის“. პროგრამა განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის მუშაობის ძირითად მიმართულებებს მომდევნო წლებისათვის. პროგრამა ხაზს უსვამს დევნილებთან ურთიერთობის მნიშვნელობას და დევნილთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ასახელებს.[36] დოკუმენტში, ასევე, ნახსენებია ეკომიგრანტები და ნათქვამია, რომ უახლოეს წლებში იგეგმება 1200 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.[37]

ეს ძალიან ფართო დოკუმენტი, რა თქმა უნდა, ხაზს უსვამს განათლების მნიშვნელობას ქვეყნის საერთო განვითარებისთვის. კონკრეტულად, კვლევის მიზნებისათვის შემდეგი ჩანაწერია მნიშვნელოვანი:

> „გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები.“[38]

34 იხილეთ აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244506?publication=6
35 იქვე.
36 იხილეთ აქ: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf
37 იქვე.
38 იქვე.

დაბოლოს, დოკუმენტი, ასევე, განმარტავს, რომ გენდერული თანასწორობა ძალზე მნიშვნელოვანია განვითარებისთვის და „გატარდება ზომები გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში“.[39] ამ ორის ერთობლიობა გვაძლევს საფუძველს, ვამტკიცოთ, რომ დევნილთა და ეკომიგრანტთა (ორივე მოწყვლად ჯგუფებში შედის) მხარდაჭერა პროფესიული განათლების მიღების პროცესში გენდერული თანასწორობის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან ერთად (ეს უნდა გაძლიერდეს სოციალური ცხოვრების **ყველა სფეროში**) არის მთავრობის მიზანი მომავალი წლებისთვის.

2019-2020 წლებში დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ სამოქმედო გეგმა არ არის შეზღუდული ვადებში (2019-2020) და მისი მოქმედებები შეიძლება გაგრძელდეს მომდევნო წლებში, რადგან დოკუმენტი მუდმივი ხასიათისაა და განსაზღვრავს მთავრობის გრძელვადიან მიზნებს.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (მუხლი 1.6).[40]

სამოქმედო გეგმის 2.2.6 მუხლის მიხედვით, პრიორიტეტულია, დევნილები უზრუნველყონ იმ საჭირო რესურსებზე წვდომით, რომლებიც დევნილებს მისცემს შესაძლებლობას, მოახდინონ საკუთარი სრული პოტენციალის რეალიზება, გახდნენ სახელმწიფოსაგან ფინანსურად დამოუკიდებელი და განვითარდნენ ეკონომიკურად და სოციალურად.[41] დევნილების პროფესიული განათლებით, პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა არის მათი საბოლოო ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში 2013-2020 მოცემულია ამ მიმართულებით არსებული მთავარი პრიორიტეტები; მეორე პრიორიტეტი ახსენებს მოსახლეობის უმცირესობის ჯგუფების, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის საჭიროებას:

> „დაფინანსების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც კონკურენციის საფუძველზე ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსსმპ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან და ა.შ) მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“.[42]

სტრატეგია, ასევე, ხაზს უსვამს თავის ყოვლისმომცველ ბუნებას და განასახიერებს გენდერული თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებს. იგი აღნიშნავს, რომ ყველას, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობის, გეოგრაფიული მდებარეობის, სქესის, ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობისა, ექნება წვდომა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და რესურსებზე.[43] შესაბამისად, დევნილებსა და ეკომიგრანტებს, რომლებსაც ამ პროგრამებით უჭერენ მხარს, არ უნდა შეექმნათ გენდერული დაბრკოლებები სოციალური ჩართულობისკენ სწრაფვისას.

ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებში საჭიროა გენდერული ანალიზის სრულყოფილი ჩართვა. პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით, პასუხისმგებელი სამინისტროებისა და ინსტიტუტების სამოქმედო გეგმებსა და ბიუჯეტებში გენდერული ანალიზის სრული ინტეგრაციის გარეშე გენდერული მეინსტრიმინგისა და გენდერული ხარვეზების აღმოფხვრა/მოგვარება ვერ მიიღწევა.

39 იხილეთ აქ: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf
40 იხილეთ აქ: http://gov.ge/files/495_69712_967817_2566.pdf
41 იხილეთ აქ: http://gov.ge/files/495_69712_967817_2566.pdf
42 იხილეთ აქ: https://www.gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf
43 იქვე.

1.4.
დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოს სააგენტოს მიერ მართული პროგრამები – გენდერული თვალსაზრისით

ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო პასუხისმგებელია დევნილებსა და ეკომიგრანტებზე, ზრუნავს მათ განსახლებასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სააგენტოს შექმნამდე, 2019 წელს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო იყო პასუხისმგებელი ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა, დევნილთა, რეპატრიანტთა, სტიქიის მსხვერპლთა და მათი განსახლების სახელმწიფო პოლიტიკაზე, ასევე, ქვეყანაში მიგრაციის კონტროლზე.[44] საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 1996 წელს დაარსდა და 2018 წლამდე ფუნქციონირებდა. 2018 წელს სამინისტრო გაუქმდა და მისი უფლებამოსილება სხვა სამინისტროებს გადაეცა. განსახლების კომპონენტი გადაეცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მიგრაციის კომპონენტი - შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო სოციალური კომპონენტი - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. პარალელურად 2014-2019 წლებში საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ევალებოდა დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა; სააგენტო ფუნქციონირებდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. 2019 წელს გაუქმდა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და შეიქმნა სსიპ –დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

სააგენტოს მთავარი მიზანია **იძულებით გადაადგილებულ პირთა და სტიქიური მოვლენებით დაზარალებულ პირთა (ეკომიგრანტების) მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და მათთვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, მათ შორის, საარსებო წყაროების შექმნის გზით.**

სააგენტოს ფუნქციები და პასუხისმგებლობები დევნილთა და ეკომიგრანტებთან დაკავშირებით გაწერილია შემდეგნაირად:[45]

ა) დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციისა და ბაზების წარმოება;
ბ) ეკომიგრანტის დაზარალების ფაქტის დადგენა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;
გ) დევნილთა და ეკომიგრანტთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ყველა სამართლებრივი ქმედების განხორციელება, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილი წესით უძრავი ქონების შესყიდვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;
დ) დევნილთათვის გადაუდებელი დახმარების გაწევისა და დროებითი განსახლების ორგანიზება;

44 2010 წელს სამინისტროს დასახელება შეიცვალა და გახდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილების სამინისტრო.

45 წყარო: https://idp.gov.ge/about/

ე) დევნილთა ყოველთვიური შემწეობის ადმინისტრირების პროცესში მონაწილეობა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფიზიკური პირების კუთვნილი უძრავი ქონების აღრიცხვა-დეკლარირება კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) დევნილთა და ეკომიგრანტთა ერთიანი მონაცემთა ბაზ(ებ)ის წარმოება და მისი ადმინისტრირება;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, დევნილთა განსახლების ობიექტების რეაბილიტაციის ღონისძიებათა განხორციელება კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

კ) საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა საარსებო წყაროების შექმნის გზით;

ლ) დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომაროების გაუმჯობესებისა და ინტეგრაციის მიზნით, მიზნობრივი პროექტების/პროგრამების შემუშავება, განხორციელება და შეფასება, ასევე პროექტების/პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების მოძიება და მართვა;

მ) დევნილთა და ეკომიგრანტთა საჭიროებებზე მორგებული საარსებო წყაროების პროექტების/პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და განხორციელების უზრუნველყოფა;

ნ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გრანტების გაცემა;

ო) დევნილთა და ეკომიგრანტთა ჩართულობის ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამებში და მათი ინფორმირება იმ სახელმწიფო დაწესებულებების და საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებისა და პროგრამების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავენ საარსებო წყაროების ხელშეწყობას;

პ) განათლებისა და გადამზადების კურსებში დევნილთა და ეკომიგრანტთა ჩართულობის ხელშეწყობა;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობისათვის საჭირო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება;

რ) სააგენტოს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით, დონორ, საერთაშორისო ან ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება, ერთობლივი პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ს) სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

ტ) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელება.

სააგენტოს ფუნქციებისა და ძირითადი მიზნების განხილვა ცხადყოფს, რომ იმ ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებისას, რომელთა ფარგლებშიც უნდა იმოქმედოს სააგენტომ, პოლიტიკის შემქმნელებს არ გაუთვალისწინებიათ გენდერული ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ **ფუნქციების აღწერა საკმაოდ ზოგადია და მისაღებია გენდერული პერსპექტივის ცალსახად არ მოხსენიება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტში, აშკარაა, რომ არსებობს შესაძლებლობა, რომ სააგენტოს ფუნქციები უფრო ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე გახდეს.**[46] მაგალითად, ყველა ფუნქცია კ-დან პ-მდე შეიძლება გაძლიერდეს გენდერული პერსპექტივით და უფრო ინკლუზიური გახდეს შესაბამის სფეროებში პოტენციური გენდერული სხვაობისა და გენდერულ საჭიროებებზე ფუნქციების მორგების საჭიროების აღიარებით. სააგენტოს

46 გენდერული მგრძნობელობა - იმ საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორების აღქმა და გათვალისწინება, რომლებიც მოქმედებს გენდერული ნიშნით აკრძალვებსა და დისკრიმინაციაში საჯარო და კერძო ცხოვრების მრავალფეროვან სფეროში. წყარო: გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი. იხილეთ აქ: https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1218

ფუნქციებში გენდერული პერსპექტივის ხაზგასმა და მათი გენდერულად მგრძნობიარე ფუნქციებად გარდაქმნამ შეიძლება ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას დევნილთა და ეკომიგრანტთა კონტექსტში და გაზარდოს სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის საერთო გავლენა. აღსანიშნავია, რომ სააგენტო ხელმძღვანელობს პრინციპებით, რომლებიც გამორიცხავს ყველა ფორმით დისკრიმინაციას.[47] ეს პრინციპი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროაქტიული გენდერული ინკლუზიის პოლიტიკის გასატარებლად.

სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა დევნილთა და ეკომიგრანტთა საჭიროებებზე მორგებული **მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების** განხორციელება, რათა უზრუნველყონ ისინი საცხოვრებლითა და საარსებო საშუალებებით. სააგენტო ამ მხრივ მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით:

ა) დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლება;
ბ) ეკომიგრანტი ოჯახების განსახლება;
გ) დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო საშუალებები.

დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლება

სააგენტო დევნილ ოჯახებს საცხოვრებლით უზრუნველყოფს **დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების მიხედვით.** აღნიშნული კრიტერიუმები შემუშავდა 2013 წელს (კრიტერიუმებში ცვლილებები პერიოდულად ხორციელდება) უწყებათაშორისო კომისიის მიერ, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნითა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების სამინისტროს, სხვა სამთავრობო უწყებების, მათ შორის, სახალხო დამცველის სამსახურის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. 2013 წლის შემდეგ დევნილი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებლით გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად - ქულების სისტემა განსაზღვრავს, რა თანმიმდევრობით საჭიროებენ დევნილი ოჯახები საცხოვრებლით უზრუნველყოფას. აღნიშნული კრიტერიუმები ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის მოწყვლადობას: სიღარიბე, შვილთა რაოდენობა, მარტოხელა მშობლები, შეზღუდული უნარები, ოჯახში მოხუცები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ოჯახის წევრი, ა.შ. მოწყვლადობის კრიტერიუმები იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ითვალისწინებს არსებულ გენდერულ უთანასწორობასა და განსხვავებას.

სააგენტოს პრიორიტეტია დანგრეულ და სიცოცხლისთვის საშიშ ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების განსახლება. კომისია უპირობოდ განიხილავს მათ საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხს. 2013 წლიდან 23,000-მდე დევნილმა ოჯახმა უკვე მიიღო საცხოვრებელი სხვადასხვა კრიტერიუმის შესაბამისად სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში.[48]

ეკომიგრანტების ოჯახების განსახლების პროექტები

ეკომიგრანტები უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებლით. ეკომიგრანტი ოჯახების განსახლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სტიქიით დაზარალებული და დევნილი ოჯახების განსახლების მარეგულირებელი კომისია, რომელშიც შედიან სამთავრობო უწყებების, სახალხო დამცველის აპარატისა და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ეკომიგრანტი ოჯახის განმარტება და მათი განსახლების წესი რეგულირდება 2013 წელს გამოცემული მინისტრის N779 ბრძანებით.[49] ეს ბრძანება განსაზღვრავს კრიტერიუმების სამ ჯგუფს: საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხი, სოციალური და სხვა. როგორც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების შემთხვევაში, ეს კრიტერიუმები ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა სახის მოწყვლადობას (სიღარიბე, ბავშვების რაოდენობა, მარტოხელა მშობელი, ინვალიდობა,

47 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 01-109/ნ, 31/10/2019. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ. მუხლი 2.

48 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით. წყარო: დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. იხილეთ აქ: https://idp.gov.ge/idps/

ოჯახში მოხუცები და ა.შ.), რომლებიც ასევე ითვალისწინებს არსებულ გენდერულ უთანასწორობასა და სხვაობებს.

სააგენტოს ვებგვერდის ცნობით, ამ დროისთვის ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულია 6,312 ეკომიგრანტი ოჯახი, ნაწილი უსაფრთხო გარემოშია დასახლებული, ნაწილმა კი საცხოვრებლის მოთხოვნით განაცხადი შეავსო. თუმცა, დაკმაყოფილებული ოჯახების კონკრეტული რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში არ არის მოწოდებული.

საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამები

დევნილი და ეკომიგრანტი ოჯახების განსახლებასთან ერთად სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფაა. 2020 წლამდე საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამები მხოლოდ დევნილებისთვის იყო ხელმისაწვდომი, ხოლო დღეისთვის ეს პროგრამები ხელმისაწვდომია ეკომიგრანტებისთვისაც. სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. ამ მიზნით სააგენტო შეიმუშავებს მათ საჭიროებებზე მორგებულ პროექტებსა და პროგრამებს და გასცემს გრანტებს საარსებო წყაროზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. სააგენტო უზრუნველყოფს დევნილთა და ეკომიგრანტთა წვდომას პროფესიულ განათლებაზე, თვითდასაქმებაზე, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასა და საკვების გადამუშავებაზე. მნიშვნელოვანია, რომ დევნილებსა და ეკომიგრანტებს ჰქონდეთ შემოსავლის საკუთარი წყარო და დროთა განმავლობაში ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო დახმარებაზე.

2016-2021 წლებში დევნილთა და ეკომიგრანტთათვის განკუთვნილი პროგრამებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი საშუალოდ შეადგენდა 89 მლნ ლარს (დიაგრამა 10).[50] 2017-2019 წლებში კლებისა და 2019 წელს სააგენტოს შექმნის შემდეგ ბიუჯეტი სტაბილურად იზრდებოდა - 68 მილიონი ლარიდან 2021 წელს 97 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

დიაგრამა 10:

დევნილებისა და ეკომიგრანტების პროგრამების ბიუჯეტი საქართველოში (ათასი ლარი)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

49 იხილეთ აქ: idp.gov.ge/wp-content/uploads/2021/06/მინისტრის-779-ბრძანება.pdf

50 გამოთვლებისათვის ავტორებმა გამოიყენეს შემდეგი საბიუჯეტო მონაცემები: 2016-2018 წლები წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საარსებო წყაროს და დევნილთა სამინისტროს პროგრამების ბიუჯეტის შეჯამებას. 2019-2021 წლები წარმოადგენს სააგენტოს დევნილთა და ეკომიგრანტთათვის გათვლილი პროგრამების ბიუჯეტის შეჯამებას.

პროგრამები, რომლებიც გენდერული ზეგავლენის ამ შეფასების საგანია, დევნილთა და ეკომიგრანტთა მთლიან ბიუჯეტში წარმოადგენს მცირე წილს, რომელიც მერყეობს 0.07%-დან 0.26%-მდე. ეს პროგრამები სააგენტოს მესამე მიმართულების - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის - ფარგლებში ექცევა. ქვემოთ მე-11 და მე-12 დიაგრამებზე წარმოდგენილია პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი და ფაქტობრივი ხარჯვა. ადვილი მისახვედრია, რომ ყოველი წლის დამტკიცებული ბიუჯეტი საგრძნობლად აღემატება რეალურ ხარჯებს. გამოყოფილი თანხების არასაკმარისი ათვისების მიზეზები შემდეგია:

ა) პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის შემთხვევაში სტუდენტებს თანხა უნაზღაურდებათ დასწრების მიხედვით. სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, პირველ წელს (2016) არასაკმარისი ხარჯვა შეიძლება მივაწეროთ იმ ფაქტს, რომ ეს პროგრამა იმ წელს იყო საპილოტე და რეალურად დაიწყო მოგვიანებით, შემოდგომაზე (მაშინ, როცა ბიუჯეტი მთლიან წელზე იყო გამოყოფილი) და სამიზნე აუდიტორია არასაკმარისად იყო ინფორმირებული. მომდევნო წლებში არსებული სხვაობა აიხსნება იმით, რომ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა პროფესიული კოლეჯის სტუდენტებისთვის გარკვეული ფასდაკლებები შემოიღო. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ასეთი სტუდენტები ტრანსპორტის გადასახადის 50%-ს იხდიან, თბილისში პროფესიული განათლების სტუდენტები მეტროში 10 თეთრს (50 თეთრის ნაცვლად), ხოლო სხვა მუნიციპალურ ტრანსპორტში - 20 თეთრს (50 თეთრის ნაცვლად) იხდიან. ამრიგად, სააგენტომ სატრანსპორტო საფასურის მთელი ოდენობის ანაზღაურების ნაცვლად მხოლოდ სტუდენტების მიერ რეალურად გადახდილი ნაწილი აანაზღაურა. სააგენტო აღნიშნულ ფასდაკლებებს ფინანსური წლის დასაწყისში ვერ გაითვალისწინებდა, რამაც გამოიწვია არასაკმარისი ათვისება. რაც შეეხება 2020 წელს, რადგან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები გადავიდა ონლაინ რეჟიმში, ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურება არ გახდა საჭირო. წლის ბოლოს ამ პროგრამის ბიუჯეტის აუთვისებელი ნაწილი, როგორც წესი, გამოიყენება სხვა პროგრამებში.

ბ) რაც შეეხება დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამას, დამტკიცებულ ბიუჯეტში შედის მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება მოითხოვონ ბენეფიციარებმა. თუმცა, რეალურად ზოგჯერ ბენეფიციარები ითხოვენ უფრო დაბალ თანხას. უფრო მეტიც, სააგენტო სახელობო იარაღებს ტენდერით ყიდულობს და მათ აქვთ შესაძლებლობა დახარჯონ ნაკლები თანხა სტანდარტულ საბაზრო ფასთან შედარებით. 2021 წლის ფაქტობრივი ხარჯები არის 27 სექტემბრის მდგომარეობით და არ წარმოადგენს ამ წლის რეალურ სურათს.

დიაგრამა 11:

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის საერთო ბიუჯეტი და ფაქტობრივი ხარჯები



წყარო: საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (2016-2018 წლები); დევნილთა, ეკომიგრანტებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (2019-2021 წლები).

დიაგრამა 12:

დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის საერთო ბიუჯეტი და ფაქტობრივი ხარჯი



წყარო: საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (2016-2018 წლები); დევნილთა, ეკომიგრანტებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (2019-2021 წლები).
შენიშვნა: დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა დაიწყო 2017 წელს; 2020 წელს პროგრამა არ განხორციელებულა პანდემიით გამოწვეული ლოკდაუნის გამო. 2021 წლის ფაქტობრივი ხარჯები წარმოადგენს 2021 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით გაღებულ ხარჯებს.

საერთო ჯამში, სააგენტოს პროგრამების გენდერული პერსპექტივით შეფასებისას იკვეთება შემდეგი: ა) დევნილთა და ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამების კრიტერიუმები საკმაოდ ფართოა და ითვალისწინებს არსებულ გენდერულ მოწყვლადობას; ბ) რაც შეეხება საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამებს, ისინი ღიაა ყველა მოქალაქისთვის, არ არის გენდერული კვოტები და არ არის გათვალისწინებული ცალკე ბიუჯეტი ქალებისათვის.

ნაწილი 2: შერჩეული პროგრამების აღწერა

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ დევნილთა და ეკომიგრანტთა საცხოვრებელი ადგილიდან საგანმანათლებლო დაწესებულებამდე მგზავრობის ხარჯების დაფინანსებას და მოქმედებს 2016 წლიდან. პროგრამის მიზანია, წაახალისოს დევნილები და ეკომიგრანტები, დაეუფლონ იმ პროფესიებს, რომლებიც აინტერესებთ და თვლიან რომ უფრო მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. თავდაპირველად პროგრამა აფინანსებდა სტუდენტების ქირასაც, თუმცა, 2017 წლიდან ეს კომპონენტი გაუქმდა დაბალი მოთხოვნის გამო. გარდა ამისა, იმ დროს არსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა სააგენტოც აფინანსებდა დევნილთა დროებით განსახლებას (ქირის თანხას) და შესაბამისად, გამოდიოდა ერთი და იგივე სერვისის დუბლირება.

პროგრამის მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება დასაქმების პერსპექტივის შექმნით და მიზნად ისახავს დევნილთა და ეკომიგრანტთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობას სტუდენტების ტრანსპორტირების დაფინანსებით, რათა გაიზარდოს დევნილთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე. **მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზანი ზოგადია და არ ითვალისწინებს რაიმე გენდერულ განზომილებას, ის ფოკუსირებულია იმ სფეროზე – ტრანსპორტირებაზე – რომელიც წარმოადგენს საქართველოში პროფესიული განათლების ერთ-ერთ გამორჩეულ გენდერულ სპეციფიკურ გამოწვევას (გვ. 27 პროფესიული განათლების გამოწვევები საქართველოში: ზოგადი და გენდერულად სპეციფიკური გამოწვევები). უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აღწერაში წლების განმავლობაში არ იყო განხილული პროფესიულ განათლებაში არსებული გენდერული ხარვეზები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დევნილები და ეკომიგრანტები დგანან. ინტერვენციის დასაბუთების განხილვისას სიტყვები „ქალი“ ან „კაცი“ ნახსენებიც კი არ არის.** არსებული მდგომარეობის ანალიზი ტარდება ზოგად დონეზე.

ეს პროგრამა ანაზღაურებს ბენეფიციართა მგზავრობის ხარჯებს. პროგრამა პირველ წელს გამიზნული იყო მხოლოდ სოციალურად დაუცველი დევნილებისთვის, თუმცა, 2017 წლიდან, გავრცელდა ყველა დევნილზე. 2020 წელს ეკომიგრანტებიც გახდნენ პროგრამის პოტენციური ბენეფიციარები. 2020 წლამდე სოციალურად დაუცველ დევნილ სტუდენტებს ყოველთვიურად მაქსიმუმ 150 ლარამდე უნაზღაურდებოდათ მგზავრობის საფასური, რადგან, იმ დროისთვის არსებული რეგულაციების მიხედვით, მათ საბანკო ანგარიშებზე უფრო მეტი თანხის გადარიცხვა აისახებოდა მათ სოციალურ დახმარებასა და ქულაზე. შესაბამისად, თუ სტუდენტი იყო მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები და მისი დასწრების მონაცემებით ტრანსპორტირების ხარჯები აღემატებოდა 150 ლარს, ბენეფიციარების მოთხოვნით მათ მხოლოდ 150 ლარს უნაზღაურებდნენ. სააგენტოს წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ ამ პრობლემის არსებობის შესახებ და ლობირებდნენ მთავრობის დადგენილებაში ცვლილებების შეტანას, რომელიც არეგულირებდა ამ საკითხს. საბოლოოდ, 2020 წლის მაისს განხორციელდა შესაბამისი ცვლილება და პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა მთავრობის დადგენილებით შევიდა გამონაკლისების სიაში და გადარიცხული თანხა აღარ აისახება ბენეფიციართა სოციალურ ქულასა და დახმარებაზე.[51]

51 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილების 2020 წლის 28 მაისის N322 ჩასწორება.

განაცხადების მიღების ვადები დამოკიდებულია განათლების სამინისტროს მიერ პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვის ვადებზე. როგორც წესი, განაცხადის მიღება შეიძლება წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ყოველწლიურად დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში, თუმცა, ზუსტი თარიღი არ არის მითითებული. 2021 წელს განაცხადის მიღების ვადა მხოლოდ ერთხელ გამოცხადდა, შემოდგომაზე, პანდემიის გამო. როგორც კი სააგენტო აცხადებს პროგრამაზე მიღებას, განისაზღვრება განაცხადების მიღების ბოლო ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს ერთ თვეზე ნაკლები. დაინტერესებულმა დევნილმა და ეკომიგრანტმა უნდა წარმოადგინოს შევსებული განაცხადი მითითებულ ვადაში თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად:

- განმცხადებლის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
- ცნობა სასწავლებლიდან, ჩარიცხვის წლისა და სწავლის დასრულების ზუსტი თარიღის მითითებით;
- განმცხადებლის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
- შეზღუდვის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდვის დამადასტურებელი ცნობა, ფორმა N100 და სხვა), იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის შშმ პირი და ითხოვს კერძო ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯის ანაზღაურებას

სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტი შემოსულ განცხადებებს განაცხადების მიღების ბოლო ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღეში განიხილავს. დამუშავების ეტაპზე შესაბამისი დეპარტამენტი ამოწმებს განაცხადში მითითებულ მარშრუტებსა და ტარიფებს მომსახურების მიმწოდებლის/მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში დამტკიცებული ტარიფების მიხედვით. დეპარტამენტი განიხილავს შემოსულ განაცხადებს და ადგენს მათ შესაბამისობას პროგრამის შესარჩევ კრიტერიუმებთან. ამის შემდეგ დეპარტამენტი აკვირდება განმცხადებლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესარჩევ კრიტერიუმებს. მონიტორინგის მიზანია განაცხადში მოცემული ინფორმაციის გადამოწმება. მონიტორინგის შემდეგ დამუშავებული განცხადებები მონიტორინგის ანგარიშებთან ერთად გადაეცემა პროგრამის ფარგლებში სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილ კომისიას. კომისია აფასებს განაცხადს მონიტორინგის ანგარიშებთან ერთად და იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დამტკიცების თაობაზე. მოთხოვნილი თანხა ორჯერ შემოწმდება ადგილობრივ ტრანსპორტზე პასუხისმგებელ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ სატრანსპორტო კომპანიებთან მონიტორინგის ეტაპზე. თუ მოთხოვნილი თანხა განსხვავდება რეალური ორმაგად შემოწმებული ხარჯებისგან, სტუდენტს ხარჯები ანაზღაურდება რეალური ხარჯების მიხედვით. როგორც ზემოთ იყო განხილული, სააგენტო განიხილავს, მოქმედებს თუ არა მუნიციპალური დონის ფასდაკლება პროფესიულ სტუდენტებზე და შესაბამისად ანაზღაურებს დარჩენილ თანხას.

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის შესარჩევი კრიტერიუმები წლების განმავლობაში იცვლება. ყველა მათგანი იყო/არის გენდერულად ნეიტრალური.

დიაგრამა 13:

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მგზავრობის ხარჯების დაფინანსების კრიტერიუმები

	2016	2017	2018	2019	2020	2021
1	რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში და ფლობდეს დევნილის აქტიურ სტატუსს					2020 წლის შემდეგ პროგრამა ასევე გავრცელდა ეკომიგრანტებზე
2	რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში	2017 წლიდან პროგრამა გავრცელდა ყველა დევნილზე, იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა სოციალურად დაუცველის სტატუსი				
3	უნდა სწავლობდეს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში					
4	სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათ-ლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უნდა იყოს 2016 წელს	სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათ-ლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უნდა იყოს 2017 წელს	სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათ-ლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უნდა იყოს 2018 წელს	სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათ-ლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უნდა იყოს 2019 წელს	სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათ-ლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უნდა იყოს 2020 წელს	სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათ-ლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უნდა იყოს 2021 წელს
5	დაშორება ბენეფიციარის საცხოვრებელსა და იმ სასწავლებელს შორის, სადაც იგი ჩაირიცხა უნდა იყოს 2 კმ-ზე მეტი და 60 კნ-ზე ნაკლები	2017 წელს ბენეფიციარის საცხოვრებელსა და სასწავლებელს შორის დაშორების ზედა ზღვარი (60 კმ) გაუქმდა			2020 წელს დაშორების ქვედა ზღვარი (2 კმ) შემცირდა 1 კმ-მდე	

დიაგრამა 14:

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ქირის ანაზღაურებისათვის შესარჩევი კრიტერიუმები

	2016	2017	2018	2019	2020	2021
1	განმცხადებლის ფაქტობრივ და/ან იურიდიულ მისამართსა და იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, სადაც იგი ჩაირიცხა მანძილი 2 კმ-ზე მეტი უნდა იყოს	2017 წლიდან პროგრამა მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯებს ანაზღაურებს და ქირის კრიტერიუმები გაუქმდა				
2	ქირის შემთხვევაში, განმცხადებლის ფაქტობრივ და/ან იურიდიულ მისამართსა და იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, სადაც იგი ჩაირიცხა მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 60 კმ-ს					

სააგენტოს მიერ პროგრამის პოპულარიზაციისთვის გამოყენებული საინფორმაციო არხებია: SMS შეტყობინებები სამიზნე ჯგუფს (პროფესიულ საგანმანათლებლო ცენტრებში ჩარიცხული დევნილები და ეკომიგრანტები) და პროფესიული განათლების ადმინისტრაცია. პანდემიამდე სააგენტო დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში პირისპირ შეხვედრებს ატარებდა და ყველა პროგრამის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. სააგენტოს წარმომადგენლების თქმით, პერიოდულად ისინი მეცხრე კლასის ზემოთ დევნილ მოსწავლეებთანაც აწყობდნენ შეხვედრებს. 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში სააგენტომ სასწავლებლების დახმარებით ჩაატარა საინფორმაციო კამპანია პირისპირ შეხვედრითაც და ონლაინ და მიაწოდა სტუდენტებს ინფორმაცია პროგრამის შესახებ ყველა იმ სასწავლებელში, სადაც დევნილი ან/და ეკომიგრანტი იყო ჩარიცხული.

დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს იმ დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობას სახელობო იარაღებითა და ტექნიკით უზრუნველყოფით, რომლებმაც დაამთავრეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება 2013-2021 სასწავლო წლებში ან/და დაამთავრეს სახელმწიფოს მიერ იმავე წლებში აღიარებული პროფესიული სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამა.

პროგრამის მიზნებია: ა) დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საარსებო პირობების გაუმჯობესება თვითდასაქმების პერსპექტივის შექმნით; ბ) დევნილთა და ეკომიგრანტთა პროფესიული განათლების პოპულარიზაცია. როგორც პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის შემთხვევაში, ამ პროგრამის მიზნებიც ზოგადია. **თუმცა, პროგრამის სამიზნე სფეროა ბენეფიციარების საკუთარი პროფესიით დასაქმება** - პროფესიული განათლების კიდევ ერთი გამოწვევა საქართველოში. წინა პროგრამისგან განსხვავებით, აქ მიზნები შეიძლება იყოს გენდერულად მგრძნობიარე, ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს ქალის სამუშაო ძალაში დაბალი ჩართულობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. როგორც წინა შემთხვევაში, პროგრამის ინტერვენციის დასაბუთებისას, შრომის ბაზარზე არსებული გენდერული განსხვავებები არც მოიხსენიება და არც განიხილება.

ამჟამად პროგრამა აფინანსებს მაქსიმუმ სამ სახელობო იარაღს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ 150 ლარისა. მაქსიმალური მოთხოვნილი ბიუჯეტი ერთ მონაწილეზე შეადგენს 2,000 ლარს. პროგრამის მახასიათებლები წლების განმავლობაში იცვლებოდა (ძირითადად) განმცხადებლებისთვის ბარიერების შესამცირებლად. კერძოდ:

- 2019 წლამდე მაქსიმალური თანხა რისი მოთხოვნაც შეეძლოთ ბენეფიციარებს 1,600 ლარი იყო. 2019 წელს ლიმიტი გაიზარდა 2,000 ლარამდე;
- 2019 წლამდე პროგრამა იძლეოდა ჯგუფური (3 განმცხადებელი) განცხადების შეტანის შესაძლებლობას ინდივიდუალური განაცხადების შეტანასთან ერთად. ჯგუფური განაცხადის შემთხვევაში დაფინანსება ეძლეოდა თითოეულ განმცხადებელს (მაქსიმალური თანხით 1,600 ლარი ჯგუფის თითოეული წევრისათვის). საწყის ეტაპზე ჯგუფური განცხადებების შემთხვევაში ყველა განმცხადებლის აპლიკაცია ცალ-ცალკე ფასდებოდა კრიტერიუმების მიხედვით და მათი ქულების საშუალო გამოიყვანებოდა. 2019 წელს შევიდა ცვლილებები და ჯგუფური განაცხადის შეტანა აიკრძალა; ახლა დაფინანსების მოთხოვნა განმცხადებლებს მხოლოდ ინდივიდუალურად შეუძლიათ.
- ასევე, თავდაპირველად განმცხადებლებს სთხოვეს სამი ინვოისის მიწოდება მოთხოვნილ სახელობო იარაღზე. სამი ინვოისის მიწოდება საკმაოდ რთული იყო განმცხადებლისათვის და სააგენტომ ამ პროცესის მონიტორინგის გამოხმაურების საფუძველზე გადაწყვიტა 2018 წელს საჭირო ინვოისების რაოდენობა ერთამდე შეემცირებინა.
- 2018 წლამდე მოთხოვნილი ნივთების რაოდენობა შეზღუდული არ იყო და მინიმალური მოთხოვნილი თანხა დაწესებული არ იყო. შედეგად, განმცხადებლები ითხოვდნენ უამრავ, ძალიან დაბალ ფასიან ნივთებს, რამაც

დიდი პროცედურული დატვირთვა შეუქმნა სააგენტოს, რადგან თითოეული ნივთის შეძენა დაკავშირებულია კონკრეტულ პროცედურებთან (ანუ ტენდერების გამოცხადება). ამასთან, ამ შემთხვევაში საკმაოდ მაღალი იყო ალბათობა იმისა, რომ მოთხოვნილი ნივთი არ იყო დაკავშირებული განმცხადებლის პროფესიასთან. 2018 წელს სააგენტომ დაადგინა მოთხოვნილი სახელობო იარაღის მაქსიმალური რაოდენობა, სამი, ხოლო ერთი იარაღის მინიმალური ფასი 150 ლარი.

თვითდასაქმების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამაზე განაცხადის მიღების პერიოდი ცხადდება წელიწადში ერთხელ, დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში, მაგრამ როგორც წინა პროგრამის შემთხვევაში, **ზუსტი თარიღი არ არის მითითებული.** პროგრამის განხორციელებისას განისაზღვრება განაცხადების მიღების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებიდან ერთ თვეზე ნაკლები. დაინტერესებულმა დევნილმა და ეკომიგრანტმა ვადის ამოწურვამდე უნდა წარმოადგინოს შევსებული განაცხადი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. თანმხლები დოკუმენტაციაა:

- განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სერტიფიკატი ან დიპლომი, სადაც მითითებულია პროფესია და სწავლის დასრულების თარიღი;
- განაცხადების მიღების ვადაში გაცემული 1 ინვოისი ყველა სახელობო იარაღზე, რომლის შეძენაც მოთხოვნილია წინამდებარე საგრანტო განაცხადით; ინვოისში მოცემული უნდა იყოს სახელობო იარაღის მახასიათებლები, მოდელი და ღირებულება;
- სურვილისამებრ განმცხადებელის მოწყვლადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუ განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი არის სოციალურად დაუცველი ან შშმ პირი, მარტოხელა მშობელი, მარჩენალდაკარგული ან ვეტერანი.

საგრანტო განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს განმცხადებლის მიერ. განაცხადების ონლაინ წარდგენა ასევე შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერით.[52] წარდგენილ საგრანტო განაცხადს ამოწმებს სააგენტო და განიხილავს პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგრანტო კომისია. პირველადი სკრინინგის შემდეგ განმცხადებლებს ეთხოვათ გასაუბრება კომისიის წევრებთან. თუმცა, 2021 წელს კოვიდ შეზღუდვის გამო ეს გასაუბრება არ ჩატარებულა. სააგენტოს ჰყავს ექსპერტთა ჯგუფი პროგრამაში მონაწილე განსაზღვრული პროფესიებისსფეროში.[53] გასაუბრებისასშესაბამისი ექსპერტი და სააგენტოს წარმომადგენელი ხვდებიან განმცხადებელს.

საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება ყველა განმცხადებელს: ა) დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტოს წარმომადგენლები ურეკავენ თითოეულ მათგანს; ბ) უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო უგზავნის ოფიციალურ წერილებს და SMS შეტყობინებებს, რომლებშიც მოცემულია გადაწყვეტილება უარის თქმის მიზეზებთან ერთად. განმცხადებელს, რომელსაც უარი ეთქვა დაფინანსებაზე, შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

სააგენტო ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს მინიმუმ ერთხელ, მას შემდეგ, რაც ბენეფიციარებს მოთხოვნილი სახელობო იარაღები მიეწოდებათ. ამ მონიტორინგის მიზანია შეამოწმოს, იყენებს თუ არა ბენეფიციარი მიღებულ სახელობო იარაღებს თავისი პროფესიისთვის; შეისწავლოს პროგრამის გავლენა სახელობო იარაღების მიმღებთა სო-

52 სააგენტოს წარმომადგენლებთან საუბრის მიხედვით, ელექტრონული აპლიკაციის წარდგენა საკმაოდ გამარტივებულია - განმცხადებლებს შეუძლიათ დოკუმენტების დასკანერება ან ფოტოს გადაღება და გაგზავნა. თუმცა, სააგენტოს წარმომადგენლების თქმით, ონლაინ აპლიკაციები შესაბამისად არ არის შევსებული და საჭიროებს შემდგომ გადამოწმებას განმცხადებლებთან.

53 შესარჩევი პროფესიების სიას სააგენტო პერიოდულად აახლებს და სიაში მოცემულია ქვეყანაში არსებული ყველა პროფესიული საქმიანობა.

ციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე და შეამოწმოს, იცავენ თუ არა მიმღებები ხელშეკრულებას (ანუ მათ არ შეუძლიათ მინიჭებული ნივთების გაყიდვა ხელშეკრულებაში მითითებული პერიოდის განმავ-ლობაში).

დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის შესარჩევი კრიტერიუმები იცვლებოდა დროთა განმავლობაში:

დიაგრამა 15:

დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის შესარჩევი კრიტერიუმები

	2017	2018	2019	2020	2021
1	განმცხადებელი არის დევნილის აქტიური სტატუსის მქონ				2020 წლის შემდეგ პროგრამა ასევე გავრცელდა ეკომიგრანტებზეც
2	განმცხადებელი არის სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2016-2017 სასწავლო წლების კურსდამთავრებული	განმცხადებელი არის სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2015-2018 სასწავლო წლების კურსდამთავრებული და/ან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ სერტიფიცირებული ბენეფიციარი	განმცხადებელი არის სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2015-2019 სასწავლო წლების კურსდამთავრებული და/ან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ სერტიფიცირებული ბენეფიციარი	განმცხადებელი არის სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2013-2020 სასწავლო წლების კურსდამთავრებული და/ან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ სერტიფიცირებული ბენეფიციარი	განმცხადებელი არის სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2013-2021 სასწავლო წლების კურსდამთავრებული და/ან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ სერტიფიცირებული ბენეფიციარი
3	განმცხადებელმა დაასრულა სააგენტოს მიერ განსაზღვრული პროფესიული პროგრამიდან ერთ-ერთი				
4	განაცხადი სრულყოფილადაა შევსებული და წარმოდგენილია ყველა საჭირო თანმდევი დოკუმენტი				

პროგრამის შესახებ ინფორმაცია პოტენციურ ბე-ნეფიციარებს (პროფესიული დაწესებულების კურს-დამთავრებულებს, დევნილებს და ზოგადად, ეკო-მიგრანტებს) ეწოდებათ SMS-ის, ბუკლეტების, პირისპირ შეხვედრების და ა.შ. სახით.

ნაწილი 3: შერჩეული პროგრამების გენდერული შესაბამისობა

იძულებით გადაადგილება აძლიერებს მანამდე არსებულ გენდერულ უთანასწორობას და სოციალურ-ეკონომიკურ არახელსაყრელ პირობებს. საერთაშორისო მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ „ქალები ხშირად აწყდებიან უფრო დიდ გამოწვევებს, ვიდრე კაცები, იძულებით გადაადგილებისას ღირსეული საარსებო წყაროს უზრუნველსაყოფად, რაც გავლენას ახდენს მათ უნარზე, იპოვონ თავშესაფარი და დაცულობა და ჰქონდეთ წვდომა განათლებასა და ჯანდაცვაზე. მათ ასევე ნაკლებად შეუძლიათ ხმის მიწვდენა ან მონაწილეობის მიღება გადაწყვეტილებებში იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ. ისინი ხშირად უფრო მეტად გაურბიან კონფლიქტს, ძალადობას, კატასტროფებს და კლიმატის ცვლილებს და შესაბამისად, იძულებით გადაადგილების უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან“ (IDMC, 2020). პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამები მიზნად ისახავს განათლების ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნულ სფეროებს და სამიზნე მოსახლეობის ღირსეული საარსებო წყაროთი უზრუნველყოფას მათი თვითდასაქმების ხელშეწყობით, რაც გენდერული ზეგავლენის შეფასებას ძალიან მნიშვნელოვანს და აქტუალურს ხდის პოლიტიკის შემქმნელებისთვის. ეს პროგრამები მიზნად ისახავს სფეროებს, რომლებშიც, როგორც წესი, საერთაშორისო ლიტერატურის მიხედვით, იძულებით გადაადგილების შემთხვევაში ხშირია გენდერული უთანასწორობა.

პროგრამების გაანალიზებისას ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონფლიქტები, იძულებით გადაადგილება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანებზე სხვადასხვა გენდერული როლის, პრიორიტეტების და მოწყვლადობის გამო. ისინი იწვევენ ტრავმულ, სტრესულ და რთულ გამოცდილებას, რომელიც დამოკიდებულია დაზარალებულის სქესზე. 1990-იანი წლების დასაწყისში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა (UNHCR) და იძულებით გადაადგილებაზე მომუშავე სხვა საკვანძო ინსტიტუტებმა დაიწყეს მეტი ყურადღების მიქცევა გენდერულ საკითხებზე და დაიწყეს გენდერული განზომილებების ჩართვა თავიანთ პროგრამებში. დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის შერჩეული პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასება ხელს შეუწყობს გენდერული მეინსტრიმინგისა და გენდერული განზომილების პროგრამებში ჩართვას. უფრო მეტიც, ამ შეფასების ფარგლებში შეძენილი გამოცდილება და ცოდნა ირიბად გავლენას მოახდენს სააგენტოს სხვა პროგრამებზეც არსებული გენდერული უთანასწორობისა და საჭიროებების ხაზგასმით.

ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების პროგრამების გენდერული ანალიზის დროს იკვეთება შემდეგი გენდერული სხვაობები:

- კონფლიქტები ქალებსა და კაცებზე სხვადასხვა სახით მოქმედებს (Uvarova, E., & Yasenovskaya, M., 2020); **კაცები ომის მთავარი მონაწილეები არიან** და შესაბამისად, მათზე მოქმედებს მისი პირდაპირი შედეგები - კაცების სიკვდილის ალბათობა კონფლიქტების დროს ძალზე მაღალია ქალებთან შედარებით. ქალები იძულებით გადაადგილებისა და საცხოვრებელი სახლიდან გაძევების მსხვერპლნი არიან ერთის მხრივ როგორც ქვრივები და ოჯახის მარჩენალები და მეორეს მხრივ, როგორც მეუღლეები, რომლებიც აწყდებიან კაცებისაგან განსხვავებულ სირთულეებსა და საჭიროებებს ძალადობის, საცხოვრებელი სახლების მიტოვებისა და გადარჩენის პროცესში (Meertens, D., & Stoller, R., 2001);
- **მანამდე არსებული გენდერული უთანასწორობა და დისკრიმინაცია აძლიერებს კონფლიქტის ზეგავლენას** ქალებსა და გოგოებზე. სიღარიბის ფემინიზაცია ხშირად ამცირებს ქალების შესაძლებლობებს, გაუმკლავდნენ ამგვარ შედეგებს (Uvarova, E., & Yasenovskaya, M., 2020);
- **ინფორმაციაზე, რესურსებსა და მომსახურებებზე წვდომის ნაკლებობა** (განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში გენდერული

სტერეოტიპების, უთანასწორობისა და კულტურული შეზღუდვების გამო) და შესაბამისად, სიღარიბის გაზრდილი რისკი ქალებსა და გოგოებს უფრო მოწყვლადს ხდის იძულებითი მიგრაციისა და ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში (იქვე)

- **სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის გაზრდილი რისკი.** რადგანაც დევნილებისა და ლტოლვილების დიდ ნაწილს წარმოადგენენ ქალები და ბავშვები, კონფლიქტის მიმდინარეობისას და შემდეგ პერიოდში იზრდება სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციის და ტრეფიკინგის რისკები (IDMC, 2020).
- იძულებით გადაადგილება ნიშნავს **სოციალური კავშირებისა და სტრუქტურების რღვევას.** სოციალური მხარდაჭერის სისტემებისა და თემის სოლიდარობის დაკარგვა დევნილებს უფრო მოწყვლადს ხდის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი კაშირები მნიშვნელოვანია და შემჭიდროვებული სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს მოქმედებს ადამიანების შრომის ბაზრის მაჩვენებლებსა და მათი დასაქმების დონეზე (Benjamin, 1998). ქალები სოციალური იდენტობის დაკარგვის უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგანან, ვიდრე კაცები, რადგანაც ქალები, კაცებთან შედარებით, ნაკლებად მობილურები არიან, მათ ნაკლები სოციალური და პოლიტიკური გამოცდილება აქვთ.

იძულებით გადაადგილების ზემოხსენებული ძირითადი გენდერული განზომილებებიდან გამომდინარე, ადვილია იმის დადგენა, თუ რა მიმართულებები უნდა გამოიკვლიონ მკვლევარებმა განათლებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების გენდერული შესაბამისობის გაანალიზებისას. ინფორმაციის, რესურსებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობა, სოციალური კავშირებისა და სტრუქტურის რღვევა, გაძლიერებული გენდერული ნორმები და სტერეოტიპები გავლენას მოახდენს იძულებით გადაადგილებულ პირთა შრომის ბაზრის მაჩვენებლებზე და შეაფერხებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას საზოგადოებაში. შესაბამისად, შერჩეულ პროგრამებს, თუ ზემოაღნიშნული გენდერული ასპექტები განხორციელებისას კარგად იქნება გათვალისწინებული, აქვთ არსებული გენდერული უთანასწორობის შემცირების პოტენციალი.

საქართველოში ჩატარებული წინა კვლევები მიუთითებს შრომის ბაზრის მაჩვენებლებში დევნილებსა და ზოგადად მოსახლეობას შორის ამგვარ განსხვავებებზე. ეს კვლევები ასახავს მთავარ აზრს, რომ დევნილები საქართველოში არიან არახელსაყრელ მდგომარეობაში, როდესაც საქმე ეხება შრომის ბაზრის მაჩვენებლებს. 2018 წლის კვლევა, რომელიც ეფუძნება 2004-2016 წლებში შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის მონაცემებს, აჩვენებს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა შრომის ბაზრის მაჩვენებლები ბევრად უარესია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობის (Torosyan, K., Pignatti, N., Obrizan M., 2018). კერძოდ:

1. დევნილები 3.9%-დან 11.2%-მდე არ იქნებიან ჩართული შრომის ბაზარზე დევნილის სტატუსის მოქმედების პერიოდში;
2. დევნილები 11.6%-მდე ალბათობით იქნებიან უმუშევარი მათი იძულებით გადაადგილებიდან 25 წლის შემდეგაც კი;
3. დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ ერთ ადგილას ხუთ წელზე მეტხანს, მუდმივად ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე ადგილობრივი მაცხოვრებლები მსგავსი მახასიათებლებით; მათ შორის სხვაობა უფრო და უფრო იზრდება და ბოლო პერიოდის ანალიზის ფარგლებში 16%-მდე გაიზარდა.

ადრინდელი კვლევები ასევე მიუთითებდა იმაზე, რომ დევნილებს უმუშევრობა განსაკუთრებით აზარალებდათ. 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები უმუშევრობის გაცილებით ხანგრძლივი პერიოდის წინაშე დგანან და ქალები უფრო მეტად დაზარალდნენ, ვიდრე კაცები (IDMC, 2012).

საერთაშორისო და ეროვნული ლიტერატურის მიმოხილვა აჩვენებს, რომ გენდერი მართლაც მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც გასათვალისწინებელია იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისას. ასეთ პროგრამებს აქვს დიდი პოტენციალი, გააუმჯობესოს სამიზნე მოსახლეობის საარსებო პირობები და ხელი შეუწყოს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას და ეს ვერ მოხერხდება, თუ არსებული გენდერული საჭიროებები კარგად არ იქნება მოგვარებული.

პროგრამების გენდერული ანალიზი: პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამები

2

ნაწილი 4.1. პროგრამების გენდერული ანალიზი – რაოდენობრივი ანალიზი

შემდეგ ქვეთავში მოცემულია შერჩეული პროგრამების შესახებ სააგენტოს მონაცემების რაოდენობრივი ანალიზის შედეგები. სააგენტო აგროვებს ინფორმაციას ორივე პროგრამის განმცხადებლებისა და ბენეფიციარების შესახებ და აქვს მონაცემები მათი სქესის, საცხოვრებელი ადგილის, განაცხადის წლისა და პროგრამასთან დაკავშირებული ზოგიერთი მახასიათებლის შესახებ.

4.1.1. პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის რაოდენობრივი ანალიზი

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სტუდენტების მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას. ჯამში, 2017-2021 წლებში პროგრამას ჰყავდა 889 ბენეფიციარი, აქედან 463 კაცი და 426 ქალი (შესაბამისად, 52% და 48%). პროგრამა მიმდინარეა. ქალი და კაცი ბენეფიციარების განაწილება წლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ (დიაგრამა 16).

დიაგრამა 16:
პროგრამის ბენეფიციარების საერთო რაოდენობა (პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა)



წყარო: სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები.

სააგენტოს მონაცემები პროგრამის ბენეფიციარების შესახებ არ შეიცავს მონაცემებს ინდივიდუალურ დონეზე დაფინანსების შესახებ. სააგენტოს შეეძლო მოეწოდებინა მონაცემები ინდივიდუალური დაფინანსების შესახებ თითოეული ინდივიდისთვის გადახდილი თანხის სახით, თუმცა, რადგანეს დაყოფა მოითხოვდა დიდ დროს და რესურსებს, ხოლო მისი მოსალოდნელი დამატებული ღირებულება არც თუ

ისე მაღალი იყო (რადგან ტრანსპორტის ხარჯები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება რეგიონებში), გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გადაწყვიტა, ანალიზში გამოეყენებინა საშუალოდ დახარჯული თანხა ერთ ბენეფიციარზე. პირველი წლის განმავლობაში პროგრამა ითვალისწინებდა ტრანსპორტირებისა და ქირის დაფინანსებას. თუმცა, იმის გამო, რომ გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდს არ გააჩნდა ქირასთან დაკავშირებული მონაცემები ინდივიდუალურ დონეზე და ასეთი ბენეფიციარების რაოდენობა ძალიან დაბალი იყო, გუნდმა გადაწყვიტა ეს უკანასკნელი არ ჩაეთვალა ანალიზში და აქცენტი მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯებზე გააკეთა. სამომავლოდ, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდის რეკომენდაციაა ინდივიდუალურ დონეზე დაფინანსების მონაცემების დაფიქსირება, რათა შესაძლებელი იყოს უფრო ზუსტი და დეტალური ანალიზი.

საშუალო ხარჯების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი საშუალო წლიური გადახდები 2019 წელს განხორციელდა - 447 ლარი ინდივიდზე წელიწადში, რომელიც შეადგენს დაახლოებით 45 ლარს თვეში (ათთვიან სწავლაზე გადანაწილების შემთხვევაში). 2020 და 2021 წლები ხასიათდებოდა დაბალი დაფინანსებით, რადგან იყო პანდემიის რამდენიმე ტალღა, რომელთა დროსაც, სხვადასხვა პერიოდში, დაიხურა საგანმანათლებლო ცენტრები და აგრეთვე შეიზღუდა სატრანსპორტო სისტემა და სწავლა დიდწილად ონლაინ რეჟიმზე გადავიდა (დიაგრამა 17). რადგანაც პროფესიული განათლების სტუდენტები სარგებლობენ მგზავრობის მხარდაჭერის სხვადასხვა სქემით ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, სააგენტოს მიერ ანაზღაურებული მგზავრობის საშუალო ღირებულება კარგად არ ასახავს მგზავრობის საერთო ღირებულებას.

დიაგრამა 17:
ბენეფიციარის საშუალო წლიური დაფინანსება (პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

პროგრამის გენდერული ზეგავლენის უფრო დეტალურად გასაანალიზებლად გენდერული ზეგავლენის შეფასების ჯგუფმა დევნილი განმცხადებლები დაყო სამ დიდ რეგიონულ ჯგუფად: თბილისი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და სხვა რეგიონები. ეს დაყოფა გამოწვეულია იმით, რომ, ძირითადად, დევნილები სახლობენ თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. არ არსებობს მესამე რეგიონი, რომელიც ისე მჭიდროდ არის დასახლებული დევნილებით, როგორც ეს პირველი ორი. ამ

პროგრამის მონაცემების მიხედვით, 2017-2021 წლებში განმცხადებლების 42% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან იყო, 29% თბილისიდან და 29% დანარჩენი საქართველოდან (დიაგრამა 18). საინტერესოა, რომ განმცხადებლების განაწილება რეგიონებში მსგავსია 2019-2020 წლებში პროფესიულ განათლებაში დევნილი სტუდენტების რეალური განაწილების. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარების გეოგრაფიული განაწილება ზუსტად იგივეა, როგორიც განმცხადებლების განა-

წილება (42% სამეგრელო-ზემო სვანეთიდან და 29-29% თბილისიდან და სხვა რეგიონებიდან). ასევე, სააგენტოსგან მიღებული მონაცემების მიხედვით, 2019 და 2020 წლებში დევნილთა 41%-მა სწავლა დაიწყო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 28%-მა დაიწყო თბილისში, 31%-მა კი საქართველოს სხვა რეგიონებში (დიაგრამა 18). **განმცხადებლების განაწილებას, ბენეფიციართა განაწილებასა და ჩარიცხულ დევნილ სტუდენტთა განაწილებას შორის მსგავსება შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ სააგენტოს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამაზე განაცხადის შეტანისას არ არსებობს თვითშერჩევის ცდომილება (self-selection bias) გეოგრაფიულ საფუძველზე, ე.ი. სამიზნე მოსახლეობას აქვს თანაბარი შანსი და შესაძლებლობა, შეიტანოს განაცხადი.**

დიაგრამა 18:

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პროგრამის განმცხადებლების წილი (პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა) 2017-2021 წლებში და პროფესიული განათლების პროგრამებზე ჩარიცხულ დევნილ სტუდენტთა განაწილება რეგიონების მიხედვით (2019-2020 წლები).[54]



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

პროგრამის განმცხადებლების განაწილება სქესის მიხედვით უფრო დაბალანსებული იყო პირველი სამი წლის მანძილზე (2017-2019), თუმცა, 2020 წლიდან კაცების წილი ოდნავ გაიზარდა (დიაგრამა 19). 2020 წელს ქალებისაგან შემოსული ცოტა განცხადება (თუმცა, როგორც ჩანს, 2021 წელს სხვაობა მცირდება) შეიძლება მიეწეროს პანდემიას. ქალებისაგან შემოსული განცხადებების შემცირების რამდენიმე მიზეზი არსებობს. ორი ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს: 1) ქალების მზრუნველობითი მოვალეობების გაზრდა, რაც დაკავშირებულია – მაგალითად – საბავშვო ბაღებისა და სკოლების დახურვასთან; 2) რისკისადმი უფრო მაღალი მიდრეკილება - მათ შორის, COVID-ის რისკისადმი - კაცის მხრიდან. მთლიანობაში, პროფესიულ განათლების პროგრამაზე დევნილი სტუდენტების ჩარიცხვის მონაცემებიდან ჩანს, რომ იძულებით გადაადგილებულ კაცებს ისტორიულად უფრო მეტად აქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ტენდენცია. მაგალითად,

54 სამუშაო ძალის გამოკვლევაში ეკომიგრანტების რაოდენობა უკიდურესად დაბალია, ამიტომ, შეუძლებელია მათი ცალკე განხილვა. უფრო მეტიც, დევნილებთან შედარებით, პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ეკომიგრანტი ბენეფიციარების რაოდენობა ძალიან ცოტაა და მათი ჩართვა არ ცვლის საერთო სურათს.

2019 და 2020 წლებში ჩარიცხულთა 61% იყო კაცი (2019 და 2020 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული ქალების წილი დაახლოებით 39-40% იყო).[55]

საინტერესოა ის, რომ **პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა განაწილება ქალების უფრო დიდი წილით ხასიათდება, ჩარიცხულ სტუდენტთა რეალურ განაწილებასთან შედარებით (მიუხედავად იმისა, მიმართავენ თუ არა ისინი პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას).** იმის გათვალისწინებით, რომ - როგორც მოგვიანებით იქნება ნაჩვენები - თითქმის ყველა განმცხადებელი დაფინანსდა (როგორც კაცები, ასევე ქალები), **ეს შედეგი მიუთითებს, რომ პროგრამის გავლენა ქალებზე დადებითია, რადგანაც პროგრამაზე მათ უფრო მეტი განაცხადი შეაქვთ და როგორც თვისებრივი ინტერვიუები აჩვენებს, მათ უფრო უჭირთ მგზავრობის ხარჯების გაღება.** აღნიშნული შედეგი ხაზს უსვამს ამ კონკრეტული პროგრამის წვლილს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა შორის გენდერული სხვაობის აღმოფხვრაში. პროგრამა უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ქალი და კაცი სტუდენტებისათვის.

დიაგრამა 19:
განაცხადების განაწილება წლების მიხედვით (პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ეს გენდერული ტენდენცია შენარჩუნებულია რეგიონული ანალიზის დროსაც. თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სხვა რეგიონებში განმცხადებლები თითქმის თანაბრად არიან განაწილებული ორ გენდერულ კატეგორიაში: თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში განმცხადებელთა 52% კაცი იყო, ხოლო სხვა რეგიონებში განმცხადებელთა 53% იყო კაცი (დიაგრამა 20). იმის გათვალისწინებით, რომ კაცები უფრო მეტად ირიცხებიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, შეიძლება მიეწეროს განმცხადებელთა შორის მცირე გენდერული სხვაობა პოტენციური ბენეფიციარების არათანაბარ საწყის განაწილებას და არ არსებობს კაცების სასარგებლოდ მიკერძოებული შერჩევითობის მტკიცებულება.[56] უფრო მეტიც, შეიძლება იყოს ქალების სასარგებლოდ მიკერძოებული შერჩევითობა.

55 წყარო: სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები.
56 პოტენციური ბენეფიციარები გულისხმობს დევნილებს, რომლებიც პროფესიული განათლების ცენტრებში მოქმედი სტუდენტები არიან.

დიაგრამა 20:

განმცხადებელთა განაწილება სხვადასხვა რეგიონის მიხედვით (პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა) 2017-2021 წლები



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

პროგრამა განსაკუთრებით ხელგაშლილია **განმცხადებელთა დაფინანსების თვალსაზრისით.** თითქმის ყველგან განმცხადებელთა 90%-ზე მეტმა მიიღო დაფინანსება და ეს ეხება ორივე სქესს. გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა დაფინანსების მაჩვენებლები სქესის მიხედვით, რათა გაერკვია, იყო თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება რომელიმე კონკრეტული სქესისთვის უპირატესობის მინიჭების კუთხით და გარკვეული შერჩევის ცდომილება (selection bias) სააგენტოს მხრიდან. **შედეგები აჩვენებს, რომ პროგრამა გენდერულად ნეიტრალურია ყველა რეგიონში, რადგან განსხვავება კაც და ქალ ბენეფიციართა წილს შორის (განმცხადებლები, რომლებიც დაფინანსდნენ) სხვადასხვა რეგიონში უმნიშვნელოა** (დიაგრამა 21) და შეესაბამება განაცხადის წარდგენის ტენდენციებს. დაფინანსდა ყველა განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებდა პროგრამის კრიტერიუმებს. სააგენტოს მონაცემებმა მოგვცა საშუალება აღგვერიცხა უარყოფის მიზეზები დაწუნებული განაცხადების 50%-ის შემთხვევაში. მონაცემების მიხედვით, განმცხადებლების მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო უარი, ხოლო უარის ყველაზე გავრცელებული მიზეზი იყო საჭირო დოკუმენტაციის არქონა. ზოგიერთ განმცხადებელს არ გააჩნდა მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ზოგმა სააგენტოს ვერ მიაწოდა დეტალური მარშრუტი საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლო დაწესებულებამდე, ზოგმა უბრალოდ არ უპასუხა სატელეფონო ზარებს და ვერ მოხერხდა მათთან დაკავშირება, ზოგმა კი არ მიაწოდა ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დოკუმენტაციის სწორად წარმოდგენის შემთხვევაში განმცხადებელი ფინანსდებოდა.

დიაგრამა 21:

დაფინანსებულ განმცხადებელთა წილი (პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა) 2017-2021



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

მაშინაც კი, როდესაც ვუყურებთ გენდერულ განსხვავებებს წლების მანძილზე, ორ სქესს შორის განსხვავება დაფინანსების პროპორციაში უმნიშვნელო ჩანს; ზოგიერთ წლებში უფრო მეტი კაცი ფინანსდება, ზოგ შემთხვევაში უფრო მეტი ქალი. პროგრამაში დაფინანსების საერთო მაჩვენებელი არის 93% კაცებისთვის და 92% ქალებისთვის (დიაგრამა 22).

დიაგრამა 22:

დაფინანსებული განმცხადებლების წილი სხვადასხვა წელს (პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ამ ზოგადი დონის ანალიზის გარდა, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების ქვეჯგუფი. პროგრამის 889 ბენეფიციარიდან 189 (მთლიანი რაოდენობის 21%) იღებს მიზნობრივ დახმარებას. ბენეფიციარი კაცებიდან 19% სოციალურად დაუცველია, ხოლო ქალების შემთხვევაში ეს რიცხვი 23%-მდე ადის (დიაგრამა 23). გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების განაწილება სქესის მიხედვით ყოველწლიურად და დაადგინა, რომ ხუთიდან სამ წელიწადში ქალებს აქვთ სოციალურად დაუცველი ადამიანების უფრო მაღალი წილი ბენეფიციარებს შორის. მთლიანობაში, როგორც ჩანს, სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ქვეჯგუფში ქალების უმნიშვნელო უმრავლესობაა (სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა 52% ქალია). ეს შეესაბამება მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებ დევნილთა საერთო განაწილებას. ასევე, ამ შემთხვევაში ფიქსირდება ქალების უმრავლესობა (2019, 2020 და 2021 წლის პირველ ცხრა თვეში მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებ დევნილთაგან 54% ქალი იყო, ხოლო 46% კაცი). ამრიგად, ამ სეგმენტში ქალების მცირე უმრავლესობა აიხსნება სოციალურად დაუცველი დევნილი მოსახლეობის განაწილებით. საინტერესოა, რომ განაწილება (54% და 46%) სტაბილურია წლების მანძილზე ისევე, როგორც რეგიონულ ჭრილში (განაწილება თითქმის იდენტურია თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და სხვა რეგიონებშიც).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2021 წელს სოციალურად დაუცველი ადამიანების წილი ბენეფიციარებს შორის იზრდება ორივე სქესისთვის. 28% და 30% ქალებისა და კაცებისთვის, შესაბამისად (დიაგრამა 24). ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ პროგრამის მნიშვნელობას სტუდენტების ყველაზე დაუცველი ჯგუფის მხარდასაჭერად, განსაკუთრებით კი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. სოციალურად დაუცველი განმცხადებლებისა და ბენეფიციართა გაზრდილი ხვედრითი წილი, სავარაუდოდ, განპირობებულია აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებაში (ზემოთ განხილული) 2020 წლის 28 მაისის N332 შესწორებით. პროგრამის პირველ წლებში სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები ყოველთვიურად მაქსიმუმ 150 ლარს იღებდნენ. სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, ბევრი სოციალურად დაუცველი პირი ფრთხილობდა პროგრამაში განაცხადის შეტანისას, რადგან ეშინოდათ, რომ ეს ფინანსური სარგებელი მათ სოციალურ სტატუსს მოუხსნიდა. 2020 წლის ცვლილებების შემდეგ, დაფინანსება, რომელსაც სოციალურად დაუცველი პირი იღებს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამიდან, გამონაკლისად იქნა მიჩნეული და შესაბამისად, ეს გავლენას არ მოახდენს ბენეფიციარების სოციალურ სტატუსზე. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ბოლო პერიოდში სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები უფრო მეტნი არიან.

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გადაწყვიტა, გაეანალიზებინა სოციალურად დაუცველი განმცხადებლების დაფინანსების მაჩვენებლები სქესის მიხედვით, რათა გამოეკვლია თუ როგორ/განსხვავდებოდა თუ არა ეს მაჩვენებლები საერთო დაფინანსებისგან. არ გამოვლინდა დიდი განსხვავება გენდერებს შორის, გარდა 2018 და 2019 წლებისა. 2018 წელს უფრო მეტი სოციალურად დაუცველი კაცი დაფინანსდა (კაცების 100% და ქალების 88%), ხოლო 2019 წელს უფრო მეტი ქალი (ქალების 94% და კაცების 69%). დარჩენილი წლები აჩვენებს სრულყოფილ გენდერულ ბალანსს. სოციალურად დაუცველად კლასიფიცირებული დევნილების დაფინანსების საერთო მაჩვენებელი იდენტურია პროგრამის ანალოგიური მაჩვენებლის (დაფინანსებული იყო კაცების 93% და ქალების 92%) (დიაგრამა 25).

დიაგრამა 23:

სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების რაოდენობა (პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 24:

ბენეფიციარებს შორის სოციალურად დაუცველი პირების წილი წლების მიხედვით (პროფესიული განთლების ხელშეწყობის პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 25:

დაფინანსებულთა წილი სოციალურად დაუცველ ჯგუფში (პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

4.1.2.

დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის რაოდენობრივი ანალიზი

დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის მიზანია დევნილთა და ეკომიგრანტთა აღჭურვა მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო სახელობო იარაღით და ამრიგად, თვითდასაქმების წახალისებით მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. დევნილებსა და ეკომიგრანტებს, რომლებმაც დაასრულეს პროფესიული განათლების პროგრამა, შეუძლიათ მოითხოვონ ის იარაღები, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი თვითდასაქმებისთვის. შესაძენი სახელობო იარაღების მაქსიმალური რაოდენობაა სამი, ხოლო მაქსიმალური მოთხოვნილი დაფინანსების ლიმიტი ერთ პირზე არის 2,000 ლარი.[57]

პროგრამის პირველ სამ წელიწადში (2017-2019) განმცხადებელთა განაწილება იყო მეტ-ნაკლებად გენდერულად დაბალანსებული, კაცი განმცხადებლების მხოლოდ მცირე უმრავლესობით (დიაგრამა 26). საშუალოდ, განმცხადებლების 52% იყო კაცი, ხოლო 48% - ქალი. პროექტის დაფინანსება 2020 წელს გაუქმდა პანდემიის გამო, ამიტომ, 2020 წელს შემოსული ყველა განაცხადი განიხილებოდა 2021 წელს 2021 წლის განცხადებებთან ერთად. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ანალიზი წარმოადგენს ამ ორი წლის განმცხადებლებს ერთად. 2020-2021 წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა გენდერული შემადგენლობა, შესამჩნევად გაიზარდა პროგრამაში მონაწილე კაცების წილი. 2020-2021 წლებში პროგრამაში კაცი განმცხადებლების წილი შეადგენდა საერთო განმცხადებლების 59%-ს (დიაგრამა 26).

57 იმ შემთხვევაში, თუ იარაღის შესყიდვის დროს ფასი იზრდება, სააგენტო დააფინანსებს საბოლოო ფასს, რომელიც შეიძლება 2,000 ლარს აჭარბებდეს.

დიაგრამა 26:

განმცხადებლების რაოდენობა წლების მიხედვით (სულ) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.
შენიშვნა: 2020 წელს პროგრამა შეჩერდა 2020 წელს შემოსული განაცხადები განიხილეს 2021 წლის განაცხადებთან ერთად.

შემდეგი ნაწილი ეთმობა ტენდენციების ანალიზს რეგიონულ დონეზე. პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მსგავსად, პროგრამის უფრო დეტალური ანალიზის მიზნით განმცხადებლები დაიყო სამ განსხვავებულ ჯგუფად (თბილისი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და სხვა რეგიონები) და შევაჯამეთ გენდერულად ჩაშლილი სტატისტიკა ამ სამი ქვეჯგუფიდან. მაშინ, როცა თბილისში კაცი და ქალი განმცხადებლების მაჩვენებლები საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან (განმცხადებელთა 52% იყო კაცი და 48% ქალი); თბილისს გარეთ სქესთა შორის სხვაობა უფრო დიდია (სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სხვა რეგიონებში, შესაბამისად, განმცხადებლების 59% და 57% იყვნენ კაცები) (დიაგრამა 27). სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემებით, 2015-2020 წლებში პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრები პროგრამის განმცხადებელთა 91%-მა დაამთავრა. განმცხადებლების ასაკობრივი ინფორმაციის არარსებობის გამო დამატებით დასკვნებს ვერ გავაკეთებთ.

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელთა წილი ოდნავ დაუბალანსებელი ჩანს კაცების სასარგებლოდ, რაც შეესაბამება ბოლო წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო ცენტრებში ჩარიცხული დევნილი ახალგაზრდების უფრო მეტ წილს (61% კაცი და 39% ქალი 2019 და 2020 წლებში),[58] მაგრამ სიტუაცია პოტენციურად უფრო პრობლემური ჩანს იმის გათვალისწინებით, რომ საქსტატის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ პროფესიული განათლების მქონე ყველა დევნილი კურსდამთავრებულებიდან 61% ქალია.[59] ზოგადად, იმის გათვალისწინებით, რომ პოტენციურ ბენეფიციარებში ქალი უფრო მეტია ვიდრე კაცი (სავარაუდოა, რომ უფრო მეტი ქალია, ვიდრე კაცი, იმ ასაკობრივ კატეგორიებში, რომლებსაც შეუძლიათ განაცხადი შეიტანონ მხარდაჭერაზე), ის ფაქტი, რომ უფრო მეტ კაცს შეაქვს განაცხადი, მეტყველებს **დამატებითი გამოკვლევის საჭიროებაზე, რათა გავიგოთ მიზეზები, რომლის გამოც ქალებს, კაცებთან შედარებით, ნაკლებად შეაქვთ განაცხადი ამ პროგრამაზე. იმისათვის, რომ პროგრამა უფრო ინკლუზიური გახდეს და პროგრამაში გათვალისწინებული იყოს გენდერული თანასწორობის ასპექტი, საჭიროა ამ მიზეზების გამოკვლევა და მოგვარება.** როგორც ჩანს, სააგენტოს მხრიდან დამატებითი ძალისხმევაა საჭირო, რათა მოიზიდოს ქალი განმცხადებლები, განსაკუთრებით თბილისის ფარგლებს გარეთ და ის ქალებიც, რომლებმაც პროფესიული ცენტრები დაამთავრეს რამდენიმე წლის წინ.

58 წყარო: სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები.
59 15+ ასაკის მოსახლეობის საგანმანათლებლო შედეგები. მონაცემთა წყარო: საქსტატი, სამუშაო ძალის გამოკვლევა, 2020.

დიაგრამა 27:

სამ სხვადასხვა რეგიონულ ჯგუფში განმცხადებლების გენდერული განაწილება (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დაფინანსებული პირების წილი გენდერის მიხედვით არ არის ზედმეტად დაუბალანსებელი. საერთო ჯამში დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამით დაფინანსდა კაცების 39% და ქალების 35% (2017-2021 წლებში). **აშკარა გამონაკლისი არის 2020-2021 წლები. 2020-2021 წლებში დაფინანსებული განმცხადებლების წილი მკვეთრად შემცირდა; კაცების მხოლოდ 28% და ქალების მხოლოდ 14% დაფინანსდა - ამგვარად სხვაობამ მიაღწია 14 პროცენტულ პუნქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ კაცების დაფინანსების ალბათობა 2-ჯერ მაღალია.** 2021 წლის შედეგებით აიხსნება 4%-იანი საშუალო სხვაობა (დიაგრამა 28).

ზოგადად, მნიშვნელოვანია დაფინანსებული განმცხადებლების საერთო წილის შემცირების მიზეზების გამოკვლევა. 2021 წელს დაფინანსებული განაცხადების წილის კლების ორი შესაძლო ახსნა მოიპოვება: ა) სააგენტოს ჰქონდა ფიქსირებული ბიუჯეტი წლების მანძილზე და დროთა განმავლობაში, განაცხადების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ბუნებრივია, ვერ მოხერხდა დაფინანსების მუდმივი მაჩვენებლის შენარჩუნება; ბ) დროთა განმავლობაში განაცხადების ხარისხი შემცირდა (რამაც გამოიწვია არადაკმაყოფილებული განაცხადების მაჩვენებლის გაზრდა), რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ უფრო ძლიერმა კანდიდატებმა განაცხადები ადრეულ წლებში ჩატარებული პროგრამების დროს შემოიტანეს.

თუმცა, გენდერის კუთხით, ქალებსა და კაცებს შორის გენდერული სხვაობის ზრდა ყველაზე საყურადღებო ფაქტია. ამგვარი არათანაბარი შედეგების გამომწვევი მიზეზის მოკვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა არ შენარჩუნდეს ამგვარი მდგომარეობა და გენდერული სხვაობა კიდევ უფრო არ გაიზარდოს.

დიაგრამა 28:

დაფინანსებულ განმცხადებელთა წილი (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დაფინანსების ალბათობა ასევე იქნა შესწავლილი რეგიონების მიხედვით. თბილისში 2017-2021 წლებში ქალების დაფინანსების ალბათობა უფრო მაღალი იყო: დაფინანსდა ქალების 52% და კაცების 47% (დიაგრამა 29). 2020-2021 წლებშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსებული ქალი განმცხადებლების წილი კაცებზე დაბალი იყო, სხვაობა მაინც საკმაოდ მცირე რჩებოდა. თბილისის ფარგლებს გარეთ კი სურათი მკვეთრად იცვლება, განსაკუთრებით 2020-2021 წლებში. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საშუალოდ დაფინანსებული იყო კაცების 35% და ქალების 24% (დიაგრამა 30), ხოლო სხვა რეგიონებში - კაცების 45%-მა და ქალების 34%-მა მიიღო დაფინანსება (დიაგრამა 31).[60] ეს რიცხვები აძლიერებს აზრს, რომ ქალთა სამიზნე ჯგუფები რეგიონებში ყოველთვის უფრო რთული გამოწვევების წინაშე დგანან და დამატებითი ბარიერები აქვთ, ასევე ეს გამოწვევები კიდევ უფრო რთული გადასალახი გახდა 2020-2021 წლებში, რადგან პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა უკვე მოწყვლადი ჯგუფები (UNDP, UNFPA, UN Women, 2021). 2020-2021 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთში ქალი განმცხადებლების დაფინანსების წილი, კაცებთან შედარებით, თითქმის 20 პროცენტული პუნქტით ნაკლები იყო (2020-2021 წლებში ქალების მხოლოდ 13% იყო დაფინანსებული, კაცების 31%-თან შედარებით). ვითარება კიდევ უფრო რთული იყო სხვა რეგიონებში მყოფი ქალი განმცხადებლებისთვის, რომლებსაც კაცი განმცხადებლების დაფინანსების ალბათობის მესამედი ჰქონდათ.

აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა დაფინანსების სიხშირე რეგიონებში უფრო დაბალია თბილისთან შედარებით (ორივე სქესისათვის) და ქალების შემთხვევაში ეს სხვაობა უფრო თვალსაჩინოა. მაშინ, როდესაც თბილისში, 2017-2021 წლებში, საშუალოდ განმცხადებლების 49% ფინანსდებოდა, სამეგრელო-ზემო სვანეთში ეს რიცხვი შეადგენდა 30%-ს, ხოლო დანარჩენ რეგიონებში - 40%-ს.

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდის ჰიპოთეზის მიხედვით, მცირე რაოდენობის განაცხადების წარდგენის გარდა, რეგიონებში მცხოვრები ქალები ნაკლებად კონკურენტუნარიან განაცხადებს წარადგენენ, რასაც შედეგად დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი მოჰყვება. ამ ჰიპოთეზას დამატებითი კვლევა სჭირდება. თუ საქმე ასეა და თბილისს გარეთ ქალების დაფინანსების დაბალი მაჩვენებლის მიზეზი სწორედ ეს აღმოჩნდება, მაშინ საჭირო გახდება ქალების ხელშეწყობა განაცხადების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

60 დაფინანსების მაჩვენებლის კლება გამოწვეულია ყოველ მომდევნო წელს განმცხადებელთა რაოდენობის ზრდით.

დიაგრამა 29:

დაფინანსებულთა წილი (თბილისი) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 30:

დაფინანსებულთა წილი (სამეგრელო-ზემო სვანეთი) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 31:

დაფინანსებულთა წილი (სხვა რეგიონები) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოიკვლია განმცხადებლებისა და ბენეფიციარების განაწილება რეგიონების მიხედვით, რათა შეემოწმებინა, იყო თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორს შორის. ყველა განმცხადებლის 36% თბილისიდან იყო, ეს რიცხვი სამეგრელო-ზემო სვანეთისთვის იყო 24%, ხოლო საქართველოს დანარჩენი კუთხეებიდან განმცხადებლები შეადგენდნენ 40%-ს (დიაგრამა 32). **რაც შეეხება ბენეფიციარებს, მათი თითქმის ნახევარი თბილისიდან იყო (პროგრამის ბენეფიციარების 44%).** სამეგრელო-ზემო სვანეთი აქ კვლავ უმცირესობაშია (18%), ხოლო დანარჩენი რეგიონებიდან ყველა ბენეფიციარის დარჩენილი 38% გვხვდება (დიაგრამა 32). ამრიგად, ეს შედეგები, როგორც ჩანს, მხარს უჭერს ჰიპოთეზას, რომ თბილისს გარეთ კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების კონკურენტუნარიანობა - საშუალოდ - ნაკლებია (კონკურენტუნარიანობა გულისხმობს განაცხადის ხარისხს, კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელ ბიზნეს გარემოსა და სხვა დაბრკოლებებს).

დიაგრამა 32:

განმცხადებელთა (მარცხნივ) და ბენეფიციართა (მარჯვნივ) განაწილება რეგიონების მიხედვით (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია, რომელიც შეიძლება შეინიშნოს ყველა რეგიონულ ჯგუფში არის ის, რომ იმ ადამიანებიდან, რომლებმაც დაფინანსება მიიღეს, ქალები ითხოვენ უფრო მაღალ საშუალო დაფინანსებას. ხშირ შემთხვევაში ეს ხდება **მიუხედავად იმისა, რომ საშუალოდ, ქალი განმცხადებლები ითხოვენ ნაკლებ თანხას პროგრამისგან.** ეს ტენდენცია შეესაბამება საერთო შედეგებს, რომლებიც არ არის ჩაშლილი რეგიონების მიხედვით: **საშუალოდ, კაცი განმცხადებლები ითხოვენ 1,457 ლარის ღირებულების სახელობო იარაღებს, ხოლო ქალები 1,412 ლარის ღირებულების იარაღებს** (დიაგრამა 33). თუმცა, თუ გადავხედავთ პროგრამით დაფინანსებულთა მოთხოვნილ დაფინანსებას, დავინახავთ, რომ ქალები საშუალოდ ითხოვენ 1,698 ლარს, ხოლო კაცები მხოლოდ 1,643 ლარს (დიაგრამა 34).

დიაგრამა 33:

განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი საშუალო დაფინანსება (ყველა რეგიონი) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 34:

ბენეფიციარების მიერ მოთხოვნილი საშუალო დაფინანსება (ყველა რეგიონი) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება ცალკეული რეგიონების შემთხვევაშიც (იხ. დიაგრამები 37-42 დანართში 4). ეს საინტერესო ტენდენცია საყურადღებოა და შემდგომ განხილვას საჭიროებს. **ასეთი ტენდენციის შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს ზოგადი დაკვირვება, რომ კაცები უფრო მეტად არიან რისკის მოყვარულნი, ხოლო ქალები უფრო ფრთხილები არიან** (Le, Miller, Slutske, & Martin, 2011). ეს შეიძლება იყოს კაცების მიერ პროგრამის ბიუჯეტიდან მოთხოვნილი უფრო მაღალი საშუალო თანხის მიზეზი (ისინი ცდილობენ მოითხოვონ რაც შეიძლება მეტი, მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების მიღების შანსი არ არის მაღალი, თუ დაფინანსების მოთხოვნა არ არის სათანადოდ არგუმენტირებული). მეორე მხრივ, ქალები შეიძლება ცდილობენ, მოითხოვონ მინიმალური (ზოგჯერ ზედმეტად დაბალი მოთხოვნაა, რომ იყოს სანდო). მაშასადამე, ზედმეტად მომთხოვნი კაცები და ნაკლებად მომთხოვნი ქალები შეიძლება წაგებულები დარჩნენ. თუმცა, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა და გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდი დასკვნებს ვერ აკეთებს.

გარდა ამისა, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა, ასევე, განიხილა პროგრამით დაფინანსებული ადამიანების პროფესიები. გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა პროფესიების რამდენიმე ჯგუფი და ამის მიხედვით ჩაატარა ანალიზი (დიაგრამა 35). გასაკვირი არ არის, რომ არსებობს პროფესიები, რომლებშიც მხოლოდ ერთი სქესი არის წარმოდგენილი. მაგალითად, ელექტრიკოსები და მუშები მხოლოდ კაცები არიან, ხოლო კერვა აშკარად არის სამუშაო, სადაც მთლიანად ქალები დომინირებენ. **მნიშვნელოვანია, ვნახოთ სხვადასხვა პროფესიის განმცხადებლების რა წილი ფინანსდება. როგორც აღმოჩნდა, ელექტრიკოსები ყველაზე მეტად იღებენ დაფინანსებას (64%, მეორე ყველაზე ხშირად დაფინანსებადი კატეგორიის - საინფორმაციო ტექნოლოგიების 48%-ის ფონზე), ხოლო მზარეულები და სტილისტები ყველაზე იშვიათად ფინანსდებიან (თითოეული 21%)** (დიაგრამა 36). ცხადია, სრულფასოვანი ანალიზისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ცალკეულ პროფესიებში გენდერული განაწილება. თუმცა, ასეთი მონაცემის არარსებობა აბრკოლებს სრულფასოვან შეფასებას.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რა მიზეზი დგას განცხადებების დაწუნების უკან. თუ არსებობს სისტემატური ტენდენცია, რომელიც იწვევს განაცხადების დაწუნებას, უნდა გავარკვიოთ, არის თუ არა ის გენდერულად მიკერძოებული, თუ ასოცირდება სხვა პიროვნულ ან სამუშაო მახასიათებლებთან. ძირითად მონაცემებთან ერთად სააგენტომ, ასევე, მოგვაწოდა მონაცემები ინდივიდუალურ დონეზე უარის თქმის მიზეზების შესახებ. გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა დააფიქსირა, რომ კაცებში დომინირებულ პროფესიებზე იყო უარის თქმის დაბალი მაჩვენებელი და გადაწყდა ღრმად მოკვლეულიყო და გარკვეულიყო, იყო თუ არა გენდერით განსაზღვრული მიზეზები სხვადასხვა პროფესიის დაწუნების შემთხვევებში. მზარეულების შემთხვევაში არ ჩანს დაწუნების ახსნადი ტენდენცია, უარის უმეტესობა ინდივიდუალური შემთხვევებია. ხშირად ხდება, რომ განმცხადებლები ვერ არწმუნებენ ექსპერტთა კომიტეტს, არის თუ არა საჭირო/საკმარისი ის იარაღი, რომელსაც მოითხოვენ თვითდასაქმებისთვის. თუ ექსპერტები გადაწყვეტენ, რომ განმცხადებლის არგუმენტაცია არ არის დამაჯერებელი, მაშინ განმცხადებელს უარს ეუბნებიან დაფინანსებაზე. იგივე ეხება ბუღალტრებსა და სტილისტებს (რომელიც ასევე მოიცავს სხეულის მოვლის სპეციალისტებს): არდაფინანსებული განმცხადებლები ვერ ამტკიცებენ, რომ მათ მიერ მოთხოვნილი იარაღი აუცილებელია/საკმარისია მათი მუშაობისთვის და ეს ხელს შეუწყობს თვითდასაქმებას. კონკრეტული მიზეზები მრავალფეროვანია.

დიაგრამა 35:

განმცხადებლები პროფესიების მიხედვით (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 36:

დაფინანსებულ განმცხადებელთა წილი (სხვადასხვა პროფესიის მიხედვით) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

საერთო ჯამში, პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა 2017 წლიდან 2019 წლამდე აჩვენებს სოლიდურ გენდერულ ბალანსს, როდესაც განვიხილავთ განმცხადებლებისა და ბენეფიციარების რაოდენობას. თუმცა, მნიშვნელოვანია გვესმოდეს გენდერის არსებული განაწილება პოტენციურ ბენეფიციართა პოპულაციაში. ირკვევა, რომ ახალგაზრდა დევნილთა უმეტესობა კაცია და კაცები უფრო მეტად ირიცხებიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (61% კაცი და 39% ქალი 2019 და 2020 წლებში), თუმცა, უფრო მეტი ქალია ხანდაზმულ მოსახლეობაში (25+ ასაკი). მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, რომლებმაც სრულად მიიღეს პროფესიული განათლება, შეადგენენ საერთო კურსდამთავრებულთა 61%-ს. სამწუხაროდ, განმცხადებელთა ასაკის შესახებ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი და მხოლოდ გამოსაშვები წელი შეგვიძლია გამოვიყენოთ ანალიზისთვის. ეს არ არის ძალიან კარგი ჩამნაცვლებელი ცვლადი, რადგან ყველა ასაკის ადამიანს შეუძლია ისწავლოს ცენტრებში და განმცხადებლები ძირითადად ბოლო პერიოდში კურსდამთავრებულები არიან (2000-იანი წლების დასაწყისის კურსდამთავრებულები რომ ყოფილიყვნენ, შეგვეძლო გვეთქვა, რომ სამიზნე მოსახლეობა შედარებით უფროსია). ამიტომ, მხედველობაში უნდა მივიღოთ მსურველთა საშუალო ასაკი. თუ საშუალო ასაკი დაბალია, მაშინ ეს ნიშნავს, რომ სამიზნე პოპულაცია შედარებით ახალგაზრდაა კაცების ჭარბი წარმომადგენლობით. ასე რომ, ბალანსი განაცხადების აბსოლუტურ რაოდენობაში მიუთითებს ქალების უფრო მაღალ აქტივობაზე. მეორე მხრივ, თუ აპლიკანტთა საშუალო ასაკი მაღალია, ეს ნიშნავს, რომ სამიზნე პოპულაცია ძირითადად ქალებისგან შედგება და გენდერული „ბალანსი“ აბსოლუტური თვალსაზრისით გადაჭარბებით აფასებს ქალების ჩართულობას.

2020 და 2021 წლები მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ქაოტური იყო, ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ამ პროგრამის გენდერული ბალანსი ასევე დაირღვა. ქალებზე მკვეთრი ზემოქმედება მიუთითებს მათ შედარებით დაუცველობაზე კრიზისულ პერიოდებში და ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს მომავალი კრიზისებისთვის, რადგან შესაძლოა სერიოზული გენდერული დისბალანსი მივიღოთ, თუ ეს დარღვევა საერთოდ არ იქნება გათვალისწინებული. თბილისის ფარგლებს გარეთ ქალთა განაცხადების დაბალი რაოდენობა და დაბალი ხარისხი, ასევე, შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ საჭიროა ამ რეგიონებში ქალებზე უფრო მეტი კონცენტრაცია და საჭიროა განაცხადების დამუშავება და პროგრამის პოპულარიზაცია მათ საჭიროებებს მოერგოთ.

დაფინანსების კუთხით მხოლოდ მცირე სხვაობაა კაცებსა და ქალებს შორის და ეს ძირითადად გამოწვეულია პანდემიის შეფერხებით. თბილისში ქალები ოდნავ უფრო მეტად იღებენ დაფინანსებას, ვიდრე კაცები, მაგრამ სხვა რეგიონებში პირიქით ხდება. ყველა რეგიონში კაცები ითხოვენ უფრო მეტ დაფინანსებას, მაგრამ ბენეფიციარებს შორის საბოლოო ჯამში ქალები იღებენ უფრო მეტ დაფინანსებას. ეს ტენდენცია აიხსნება პროგრამის განმცხადებლების პიროვნული მახასიათებლებით ან/და არჩეული პროფესიის მახასიათებლებით. რომ შევაჯამოთ, მიუხედავად იმისა, რომ თვითშერჩევა შეიძლება იყოს მიკერძოებული რომელიმე მიმართულებით, პროგრამის დაფინანსების გენდერულად ჩაშლილი უშუალო მაჩვენებელი მიუთითებს, რომ პროგრამა დაფინანსების თვალსაზრისით გენდერულად ნეიტრალურია.

ნაწილი 4.2. პროგრამების გენდერული ანალიზი – თვისებრივი ანალიზი

გენდერული ზეგავლენის შეფასების პროცესში შეფასების გუნდმა რაოდენობრივი ანალიზი თვისებრივი ანალიზით შეავსო. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო ინახავს მონაცემებს ამ პროგრამების მონაწილეთა შესახებ და აკვირდება შედეგებს, ეს მონაცემები მაინც არ იყო საკმარისი სათანადო გენდერული ანალიზის ჩასატარებლად, რადგან ინფორმაცია არ იძლეოდა საშუალებას, გაგვეგო ბენეფიციარების საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი და ის, შეცვალა თუ არა პროგრამაში მონაწილეობამ გენდერული როლები, ღირებულებები და აღქმები. ასევე, ასეთი მონაცემები არ იძლევა ინფორმაციას განმცხადებლებისა და ბენეფიციარების მოსაზრებების შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ პროგრამების გაუმჯობესება. არდაფინანსებული მონაწილეების მოსაზრებების შეგროვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თვითდასაქმების მხარდაჭერის პროგრამისთვის, სადაც უარის თქმის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალი იყო და გენდერულ თანასწორობაზე პოტენციური ნეგატიური გავლენა გაცილებით მაღალი. ამ მიზეზით, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გადაწყვიტა, ჩაეტარებინა გასაუბრება იმ განმცხადებლებთან, რომლებმაც არ მიიღეს დაფინანსება თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში. უარის თქმის უკიდურესად დაბალი მაჩვენებლებისა და პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის დამახასიათებელი ბევრად უფრო დაბალანსებული გენდერული შედეგების გათვალისწინებით გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გადაწყვიტა, არ გასაუბრებოდა იმ განმცხადებლებს, რომლებიც არ დაფინანსებულან ამ პროგრამით. გარდა ამისა, ჩატარდა ინტერვიუები სააგენტოს პარტნიორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, რათა გამოვლენილიყო პროგრამების გენდერული სპეციფიკა და განხორციელების გამოწვევები.

ჯამში, 20 ნახევრად სტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუ (ათი კაცი და ათი ქალი) ჩატარდა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარებთან, 18 ნახევრად სტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუ (ათი ქალი და რვა კაცი) ჩატარდა დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ბენეფიციარებთან და 17 ნახევრად სტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუ (ცხრა ქალი და რვა კაცი) ჩატარდა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამის არდაფინანსებულ განმცხადებლებთან. დაბოლოს, ხუთი ნახევრად სტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუ ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან.

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა მოამზადა საინტერესო საკითხების შესახებ ინტერვიუს სახელმძღვანელო მითითებები. სახელმძღვანელო მითითებებში მოცემული იყო სხვადასხვა ტიპის კითხვა: ზოგიერთი იყო ღია კითხვა, ზოგიერთი საჭიროებდა დამატებით დაზუსტებას, ზოგიერთი კითხვის ფარგლებში მოცემული იყო შეფასების სკალა და რესპონდენტებს უნდა აერჩიათ შესაბამისი პასუხი. ნახევრად სტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუს ჩატარების დადებითი მხარე იყო ის, რომ ამით ინტერვიუერს ეძლეოდა შესაძლებლობა, ყოფილიყო უფრო მოქნილი კითხვების დასმის დროს ან შეეცვალა კითხვების თანმიმდევრობა პასუხებიდან გამომდინარე და უფრო ჩაღრმავებულიყო საინტერესო საკითხებს.

4.2.1.
პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარებთან და პროფესიული განათლების დაწესებულებების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

ა) პროგრამის ბენეფიციარებთან გამართული ინტერვიუების შედეგები

ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუები გაიმართა შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- პროგრამის ზეგავლენა ბენეფიციართა დასაქმების სტატუსზე, მათ ეკონომიკურ მდგომარეობასა და განათლების შედეგებზე;
- პროგრამის ზეგავლენა ბენეფიციართა საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობაზე, ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, ოჯახში გენდერულ როლებსა და დამოკიდებულებაზე და ოჯახისა და საზოგადოების წევრების მხრიდან აღქმაზე;
- განაცხადის დამუშავებისა და იმ საკომუნიკაციო არხების შეფასება, რომლითაც ბენეფიციარებმა მიიღეს ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
- პროგრამაზე განაცხადის შევსებისას წარმოქმნილი გამოწვევები და მათი გადალახვის გზები;
- პროგრამით ბენეფიციარებისა და სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებით კმაყოფილების დონე;
- პროგრამის გაუმჯობესების იდეები ბენეფიციარების მხრიდან.

პროგრამის ზეგავლენა ბენეფიციართა დასაქმების სტატუსზე, ეკონომიკურ მდგომარეობასა და განათლების შედეგებზე

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლე ბენეფიციართა მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება შრომის ბაზარზე მათი წარმატებული შესვლის ხელშეწყობის მიზნით. თუმცა, ბენეფიციარებზე ზეგავლენის შეფასება რთულია. პროგრამის ადრინდელი ბენეფიციარების უმეტესობამ პროფესიული განათლების კოლეჯები ახლახანს დაასრულა და პროფესიული განათლების სრული გავლენა მათი შრომის ბაზრის მაჩვენებლებზე ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი. **პროგრამის ზეგავლენის უფრო ინფორმაციული ანალიზისთვის გარკვეული პერიოდი უნდა გავიდეს კოლეჯის დამთავრების მომენტიდან. გარდა ამისა, პერიოდის განმავლობაში სხვა შესაბამისი ცვლადების წარმოქმნა, ასევე, საჭიროებს მონიტორინგს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველა ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს შრომის ბაზრის მაჩვენებლებზე, კონტროლდება მკვლევრების ჯგუფის მიერ.** ცხადია, 2020 და 2021 წლის კურსდამთავრებულების წინაშე ძალიან რთული შრომის ბაზარი იყო, რომელიც ძლიერ დაზარალდა პანდემიით და პროგრამის ზეგავლენის შეფასება ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე სრულად ვერ განხორციელდება, თუ შრომის ბაზარი ნორმალურ მდგომარეობას არ დაუბრუნდება. **ამიტომ, სიფრთხილით უნდა იქნას მიღებული ის შედეგი, რომ ოცი რესპონდენტიდან მხოლოდ ოთხმა (ერთი ქალი და სამი კაცი) თქვა, რომ ისინი მუშაობენ თავიანთი პროფილის მიხედვით.** დარჩენილი რესპონდენტებიდან თითქმის ნახევარი ჯერ კიდევ სტუდენტია და უმუშევრობა სტუდენტებში საკმაოდ ხშირი მოვლენაა. დაბოლოს, კურსდამთავრებულთა უმეტესობა, რომელიც არ მუშაობს მიღებული განათლების პროფილის მიხედვით, იყენებს სწავლის წლებში მიღებულ ცოდნას პირად საქმიანობაში, ან ნათესავების/მეგობრების დახმარებისას. დასასრულს, ამ მიმართულებით პროგრამის წარმატების შეფასება ამჟამად რთულია.

პროგრამის ზეგავლენა ბენეფიციართა საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობაზე, ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, ოჯახში გენდერულ როლებსა და დამოკიდებულებაზე და ოჯახისა და საზოგადოების წევრების მხრიდან აღქმაზე

ინტერვიუებმა, ასევე, მოგვცა საშუალება, შეგვეფასებინა ბენეფიციარების პირადი შეფასება მათი სოციალური და ოჯახური მდგომარეობის შესახებ პროგრამის დაწყებამდე და მის შემდეგ. რესპონდენტ ქალთა ერთი მესამედი ამტკიცებდა, რომ მათი როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაიზარდა მას შემდეგ, რაც ისინი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაირიცხნენ. თითქმის იგივე თანაფარდობა შეინიშნება კაცი რესპონდენტების შემთხვევაშიც.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება კაცებსა და ქალებში, როდესაც მათ ეკითხებიან, თუ როგორ

შეუწყო ხელი პროფესიულმა განათლებამ მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას და ოჯახში კაცებსა და ქალებს შორის როლების გადანაწილებას. ორივე ჯგუფში პასუხების უმეტესობა არის ის, რომ პროგრამას დიდი წვლილი არ მიუძღვის ამ საკითხის განვითარებაში - ან არ არის ცვლილებები, ან არის ცვლილებები, რომლებიც არ მიეწერება პროფესიულ განათლებას.

პროგრამის ყველაზე აშკარა ზეგავლენა - განსაკუთრებით ქალებზე - შესამჩნევია, როდესაც ბენეფიციარებს ეკითხებიან, როგორ აფასებს/ხედავს მათ საზოგადოება და ოჯახი. ქალების უმეტესობამ (ცხრიდან რვამ) თქვა, რომ ისინი გრძნობენ, რომ სხვა ადამიანები უფრო მეტად აფასებენ მათ პროფესიული განათლების მიღების შემდეგ. კაცების შემთხვევაში ათიდან მხოლოდ ორმა თქვა, რომ გარშემომყოფებისგან განსხვავებულ დამოკიდებულებას გრძნობდა ან მოელოდა. დანარჩენებმა თქვეს, რომ ცვლილება არ უგრძვნიათ. ამ თვალსაზრისით **შეგვიძლია ვთქვათ, რომ - მონაწილეთა თვალში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც ჩანს, ძირითადად გავლენას ახდენდა საზოგადოებაში ქალის სოციალური როლისა და ღირებულების აღქმაზე, ხოლო კაცის როლისა და ღირებულების აღქმაზე, როგორც ჩანს, უმეტეს შემთხვევაში არ იმოქმედა.**

განაცხადის დამუშავებისა და იმ საკომუნიკაციო არხების შეფასება, რომლითაც ბენეფიციარებმა მიიღეს ინფორმაცია პროგრამის შესახებ;

განაცხადი

გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობამ უპასუხა, რომ განაცხადის შევსება იყო ან მარტივი, ან ძალიან მარტივი. მათგან მხოლოდ ორმა თქვა, რომ გაუჭირდათ განაცხადის შევსება. უფრო ღრმა ანალიზის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ იმ განმცხადებლებსაც კი, რომლებსაც არ უჭირთ განაცხადის ფორმის შევსება, ზოგჯერ ესაჭიროებოდათ სხვისი დახმარება. გამოკითხულებიდან რვა აცხადებდა, რომ ისინი დაუკავშირდნენ სააგენტოს ან პროფესიული განათლების ცენტრს დახმარების მისაღებად მთელი პროცესის განმავლობაში, ხოლო თორმეტმა პირმა თავად შეავსო ფორმა ყოველგვარი გარე დახმარების გარეშე. **ირკვევა, რომ ყველას - გამოკითხულ ბენეფიციარებს შორის - ვისაც დახმარება სჭირდებოდა პროცესის განმავლობაში, ჰქონდა სააგენტოს საკონტაქტო პირის ინფორმაცია, რომელიც მზად იყო დახმარებოდა მათ სირთულეების დაძლევაში. ყველა განმცხადებელმა სააგენტოს დახმარება შეაფასა, როგორც სასარგებლო, ან, სულ მცირე, როგორც ნეიტრალური.**

განმცხადებელთა უმეტესობა იღებს პირდაპირ დაფინანსებას. არ არის რთულად გასავლელი ეტაპები, ამიტომ, თითქმის ყველასათვის პროგრამაში მონაწილეობა მარტივი იყო.

გენდერული თვალსაზრისით ანალიზის დროს გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა აღმოაჩინა, რომ არც ერთი ქალი ბენეფიციარისათვის არ იყო რთული განაცხადის შევსება და მათგან **მხოლოდ სამი (იმ რვა პირიდან, რომლებიც სააგენტოს დაუკავშირდა)** დაუკავშირდა სააგენტოს რამდენიმე კითხვის დასაზუსტებლად. **საერთო ჯამში ქალი ბენეფიციარები კმაყოფილნი იყვნენ სააგენტოს დახმარებით განაცხადის შევსების დროს.**

კომუნიკაციის არხები

სააგენტო იყენებს კომუნიკაციის რამდენიმე არხს, რათა იმ დევნილებსა და ეკომიგრანტებს, რომელთაც პოტენციურად შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამების შესახებ. ეს არხები მოიცავს SMS შეტყობინებებს, კომუნიკაციას პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრის ადმინისტრაციისა და ფეისბუქის მეშვეობით. გამოკითხულთა ნახევარი ამბობდა, რომ ინფორმაცია თავად კოლეჯის ადმინისტრაციისგან მიიღო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაციის ეს წყარო შეიძლება იყოს ყველაზე პროდუქტიული. ხუთმა გამოკითხულმა განაცხადა, რომ ინფორმაცია SMS შეტყობინების საშუალებით მიიღო, ოთხმა მეგობრისგან ან ნათესავისგან გაიგო, სამმა - ინტერნეტიდან (ფეისბუქის გვერდიდან) და მხოლოდ ერთმა - უშუალოდ სააგენტოსაგან (საინფორმაციო შეხვედრა პროფესიული განათლების შესახებ). რამდენიმე გამოკითხულმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია პროგრამის შესახებ ინფორმაციის ერთზე მეტი არხიდან მოიპოვა; ძირითადად, SMS შეტყობინებითა და ადმინისტრაციული არხებით. როგორც ჩანს, ეს მიგვითითებს ამ პროცესში პროფესიული განათლების კოლეჯების ადმინისტრაციის გაზრდილ ჩართულობაზე, რადგან

განმცხადებლების უმეტესობა მათგან იღებს ინფორმაციას პროგრამის შესახებ და ისინი საკმაოდ ეფექტურია პოტენციურ განმცხადებლებთან დასაკავშირებლად. მიუხედავად იმისა, რომ SMS შეტყობინება იგზავნება ბევრ პოტენციურ ბენეფიციართან, შედარებით ცოტა მათგანი ასახელებს მათ, როგორც ძირითად საინფორმაციო წყაროს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ბევრ ადამიანს შეუძლია უბრალოდ უგულებელყოს SMS შეტყობინება და წაშალოს იგი მისი შინაარსის გაანალიზების გარეშე (ასევე ხშირია ტელეფონის ნომრების შეცვლის შემთხვევებიც). სააგენტომ იცის, რომ პოტენციურ ბენეფიციარებთან SMS შეტყობინების გაგზავნა შესაძლოა არ იყოს მათთან დასაკავშირებლად ყველაზე ეფექტური გზა, ამიტომ, ისინი SMS შეტყობინების გარდა იყენებენ ინფორმაციის მიწოდების რამდენიმე არხს, როგორებიცაა ბუკლეტების და სტიკერების დაბეჭდვა და მიწოდება დევნილთა დასახლებებში პროგრამაში პოტენციური მონაწილეობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

ტექნოლოგიურ ეპოქაში, ვებგვერდის ან სოციალური მედიის გამოყენება პოტენციურ ბენეფიციარებთან დასაკავშირებლად, ასევე, შეიძლება იყოს პროდუქტიული. რამდენიმე განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია ფეისბუქზე იპოვა. ვინაიდან ფეისბუქი არის ძალიან პოპულარული სოციალური ქსელი საქართველოში, მისი სარეკლამო თვისებების გამოყენება შესაძლებელია პოტენციური ბენეფიციარების მოსაზიდად.

ინფორმაციის გაზიარების ძალიან მნიშვნელოვანი გზაა თავად ბენეფიციარების ქსელი. წინა ან ამჟამინდელ ბენეფიციარებს შეუძლიათ შესთავაზონ „ახლებს“ ჩაერთონ პროგრამაში, ამიტომ, ბენეფიციართა ქსელის გაფართოების მიზნით უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამჟამინდელი ბენეფიციარები იყვნენ კმაყოფილი პროგრამით. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ სააგენტომ მიიღოს უკუკავშირის ყოფილი ბენეფიციარებისაგან. ამ ინფორმაციამ შესაძლოა სააგენტოს საშუალება მისცეს შეაფასოს, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან ისინი და წვლილი შეიტანოს მომავალი ბენეფიციარების ქსელის შექმნაში.

გამოკითხულთა უმეტესობა (ოციდან თვრამეტი) ამბობს, რომ სხვა პოტენციურ ბენეფიციარებს რეკომენდაციას მისცემს ამ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ (ერთი ინტერვიუ დასრულდა მანამ, სანამ ამ კითხვას დავსვამდით).

მნიშვნელოვანია, ვახსენოთ, რომ საინფორმაციო არხების შემთხვევაში აშკარა გენდერული სხვაობა არ ფიქსირდება. თითოეული საკომუნიკაციო არხის სამიზნე აუდიტორია თანაბრადაა გაყოფილი ორ გენდერულ ჯგუფს შორის.

პროგრამაზე განაცხადის შევსებისას წარმოქმნილი გამოწვევები და მათი გადალახვის გზები

ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილებაც, რომ განაცხადის შევსება ძალიან რთული არ იყო. რაიმე კონკრეტული გამოწვევები არ გამოკვეთილა.

პროგრამის ბენეფიციარებისა და სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებით კმაყოფილების დონე

გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ **ამ პროგრამის გარეშე ისინი ვერ შეძლებდნენ გაკვეთილებზე დასწრებას,** რადგანაც ისინი საერთოდ ვერ გასწვდებოდნენ მგზავრობის ხარჯებს ან ძალიან გაუჭირდებოდათ მგზავრობის ხარჯების გაღება. **აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარები, რომლებიც ვერ გასწვდებოდნენ მგზავრობის ხარჯებს ამ პროგრამის გარეშე, ცხოვრობენ რეგიონებში და უმეტესობა ქალია.**

გარდა ერთი ქალისა, რომელმაც აღნიშნა, რომ გადახდა ზოგჯერ აგვიანებდა და პროგრამა ნეიტრალურად შეაფასა, დანარჩენი ქალები აღნიშნავდნენ, რომ პროგრამა მათთვის სასარგებლო იყო. მათი კმაყოფილების დონე აისახება იმ ფაქტში, რომ **ყველა ქალმა** აღნიშნა, რომ ურჩევდა ამ პროგრამაში მონაწილეობას სხვა პოტენციურ ბენეფიციარებს.

პროგრამის გაუმჯობესების იდეები ბენეფიციარების მხრიდან

თავად პროგრამის სტრუქტურა საკმაოდ მარტივია. მასში ბევრი განზომილება არ არის, ამიტომ გაუმჯობესების შესაძლებლობა საკმაოდ დაბალია. რესპონდენტთა უმეტესობამ ვერ შემოგვთავაზა პროგრამის გაუმჯობესების გზები და განაცხადა, რომ ის უკვე ძალიან კარგია.

მათ, ვინც შემოგვთავაზა გაუმჯობესების მცირე ელემენტები, აღნიშნეს შემდეგი:

ბიუროკრატიის გაუმჯობესება განსაკუთრებით შშმ პირებისთვის. ერთ-ერთი მონაწილის ოჯახის წევრმა (გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა თავად ვერ ჩაატარა ინტერვიუ უშუალოდ მონაწილეს-თან) განაცხადის პროცედურა გართულებულად შეაფასა, რადგან ოჯახს რამდენჯერმე მოუწია სააგენტოს ოფისში მისვლა და განმცხადებლის მიყვანა ხელმოწერისთვის (რაც არ იყო მარტივი განმცხადებლების ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე). მიუხედავად იმისა, რომ რეს-პონდენტმა ეს შემთხვევა დაასახელა, როგორც ბიუროკრატიის გაუმჯობესების საჭიროება, შეიძ-ლება ვივარაუდოთ, რომ ეს შემთხვევა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ განმცხადებლის ოჯახის წევრებს ვერ მიაწოდეს საკმარისი ინფორმაცია (ოჯახს შეეძლო განაცხადის ონლაინ წარმოდგენა).

მხოლოდ ერთმა პირმა შემოგვთავაზა, რომ დაფინანსებულიყო ინტერნეტზე წვდომა, რად-განაც ამ პირისათვის კლასების უმეტესობა ონლაინ ჩატარდა. თუმცა, რესპონდენტების უმეტესობამ ახსენა, რომ პანდემიის დროსაც მათ უწევდათ პრაქტიკულ სესიებზე დასწრება და ინტერნეტი ამ მიზნით არ იქნებოდა სასარგებლო (სწავლების უმეტესი ნაწილი პირდაპირი კომუ-ნიკაციაა).

დაფინანსების დაგვიანება/შეწყვეტა ან მცირე მოცულობა - ერთ-ერთმა რესპონდენტმა გამოთქვა წუხილი იმაზე, რომ სააგენტო მოთხოვნილი თანხის მხოლოდ ნახევარს ანაზღაურებს. გენდერული ზეგავლენის ჯგუფმა ეს ფაქტი ორჯერ გადაამო-წმა სააგენტოს წარმომადგენლებთან და შემდეგი ახსნა-განმარტება წარმოადგინა: როდესაც მუნიცი-პალიტეტები პროფესიულ სტუდენტებს მგზავრობის ფასდაკლებებს სთავაზობს, მხოლოდ ნარჩენი თანხა ანაზღაურდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტო აღნიშნულ ინფორმაციას ადგილობ-რივ მუნიციპალიტეტებთან ამოწმებს. სააგენტოს ცნობით, ბენეფიციარებს ამ ინფორმაციას ხელშეკ-რულების გაფორმებისას აწვდიან. **თუმცა, შესაძ-ლოა, ეს განმარტებები გაუგებარი იყოს რეს-პონდენტებისთვის ან მათ არ იცოდნენ მათ ტერიტორიაზე არსებული ფასდაკლებების შე-სახებ და არ ისარგებლონ ამით.** გარდა ამისა, კონტრაქტის მოქმედების პერიოდში, ტრანსპორ-ტის ტარიფის ცვლილების შემთხვევაში ბენე-ფიციარმა უნდა აცნობოს სააგენტოს შესაბამისი კორექტირების შესახებ.

სამმა პირმა (ერთი ქალი და ორი კაცი) განაცხადა, რომ **დაფინანსება მოულოდნელად შეწყდა და ვერ გაიგეს, რატომ.** ერთ-ერთი მათგანი დაუკავშირდა სააგენტოს და მოაგვარა პრობლემა, რადგან ანაზღაურების შეფერხება პანდემიით გამოწვეული ლოკდაუნის გამო დაფიქსირდა. დაფინანსება აღდგა, რადგან ამ ბენეფიციარმა შეატყობინა სააგენტოს, რომ სასწავლო პროცესი უკვე აუდიტორიებში გადავიდა. დანარჩენი შემთხვევები ორჯერ გადამოწმდა სააგენტოში და შესაძლო ახსნა შემდეგია: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა ითვალისწინებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემოწმებულ სწავლის ხანგრძლივობას. ბენე-ფიციარი ვალდებულია, შეატყობინოს სააგენტოს სასწავლო პროცესის გახანგრძლივების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში ანაზღაურება შეწყდება ხელშეკრულებაში თავდაპირველად მითითებული თარიღისთვის. **შესაძლოა, ხელშეკრულების ეს პუნქტიც ყოველთვის კარგად არ ესმით ბენეფი-ციარებს და მათ უბრალოდ არ იციან, რომ ასეთ შემთხვევებში სააგენტოს უნდა დაუკავშირდნენ. როგორც ჩანს, საჭიროა ბენეფიციარებისთვის ასეთი თავისებურებების წინასწარ ახსნა ან პერიოდულად შეხსენება (მაგალითად, SMS-ით), ან შეხსენება იმ შემთხვევებში, როდესაც სააგენტომ იცის, რომ ასეთი გაუთვალისწინე-ბელი ცვლილებების ალბათობა მაღალია (მაგა-ლითად, პანდემია).**

იყო საჩივარი, რომ რამდენჯერმე ანაზღაურება დაგვიანდა.

დამატებითი დაფინანსება - როგორც მოსალო-დნელი იყო, იმათგან, ვინც შემოგვთავაზა გაუმ-ჯობესება, ყველაზე პოპულარული შეთავაზება იყო პროექტის ბიუჯეტის გაზრდა, რითაც, მათი თქმით, მეტი მოისურვებდა პროგრამაში ჩართვას და ბე-ნეფიციარების რაოდენობა გაიზრდებოდა.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებუ-ლების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა ჩაატარა ნახევრად სტრუქტურირებული სატელეფონო ინ-ტერვიუები პროფესიული დაწესებულებების წარ-მომადგენლებთან, რათა შეესწავლა, თუ როგორ იმოქმედა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამამ დევნილი სტუდენტების გაკვეთილებ-

ზე დასწრებასა და დაწესებულებაში მიღებულ განათლებაზე. ინტერვიუ ჩატარდა იმ ხუთი პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლებთან, რომლებშიც პროგრამის ყველაზე მეტი ბენეფიციარი ირიცხებოდა. ინტერვიუს სახელმძღვანელო შემუშავდა შემდეგი თემების ირგვლივ:

ა) პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მნიშვნელობა - ქმნის თუ არა პროგრამა დამატებით მოტივაციას, რომ ბენეფიციარები პროგრამებზე ჩაირიცხონ;
ბ) მგზავრობა, როგორც განათლების მიღების ბარიერი - არის თუ არა მგზავრობის ხარჯები განათლების მიღების ბარიერი და არსებობს თუ არა სხვა ბარიერები; პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციები;
გ) სააგენტოსთან თანამშრომლობა და პროგრამის განხორციელება;
დ) პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის ცვლილებების ტენდენციების შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი.

ყველა კითხვა დაისვა გენდერული პერსპექტივით, რათა მოკვლეულიყო, იყო თუ არა გენდერული სხვაობები.

ა) პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მნიშვნელობა

არ არსებობს ჩამოყალიბებული აზრი, ქმნის თუ არა პროგრამა პროფესიული განათლების პროგრამებზე ჩარიცხვის მოტივაციას. ხუთი რესპონდენტიდან სამი მიიჩნევს, რომ პროგრამა არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც დევნილები აბარებენ პროფესიულ კოლეჯში, რადგან მგზავრობის ხარჯების დაფინანსება მათი მხარდაჭერის მნიშვნელოვანი მექანიზმია. ერთი რესპონდენტი არ იყო დარწმუნებული, მოქმედებს თუ არა ეს პროგრამა ჩარიცხვაზე, მეორე კი არ ეთანხმებოდა – „თუ ადამიანს არ სურს (პროგრამის) შესწავლა, ეს პროგრამა არ დაეხმარება“. თუმცა, ყველა თანხმდება, რომ მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება **დადებითად აისახება დამსწრეებზე და ზოგადად სასწავლო პროცესზე.** ინტერვიუების მიხედვით, ზოგიერთ **დასახლებაში დევნილები უფრო ხშირად ესწრებიან გაკვეთილებს არადევნილებთან შედარებით.** რესპონდენტების თქმით, ამ მხრივ გენდერული განსხვავება არ არის.

ბ) მგზავრობა, როგორც განათლების მიღების ბარიერი და პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციები

რესპონდენტები ფიქრობენ, რომ იმის გამო, რომ **დევნილთა და ეკომიგრანტთა გარკვეული ნაწილი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა, მათთვის მგზავრობის ღირებულება მნიშვნელოვანი ბარიერია სწავლისთვის.** რეგიონებში მცხოვრები რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ **მათ სამეზობლოში ტრანსპორტი არ არის საკმარისად განვითარებული და ამის გამო სტუდენტებმა უფრო მაღალი ხარჯები უნდა გაიღონ.** მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც არ არსებობს კონკრეტული სატრანსპორტო სერვისი, რომელიც სტუდენტს პირდაპირ საცხოვრებელი ადგილიდან კოლეჯში მიიყვანს და ამ სტუდენტებმა უნდა ისარგებლონ საქალაქთაშორისო ტრანსპორტით და გადაიხადონ საქალაქთაშორისო გადასახადი, რაც უფრო ძვირია. აქედან გამომდინარე, ასეთ განსხვავებულ შემთხვევებში რესპონდენტებმა შესთავაზეს დევნილთა კოლექტიური დასახლებიდან სპეციალური ტრანსპორტის გამოყოფა სამეგრელო-ზემო სვანეთის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებამდე (მუჟავას თემიდან ჯვარამდე). ეს კონკრეტული შემთხვევა მოგვიანებით სააგენტოს წარმომადგენლებთანაც განიხილეს. სააგენტომ იცოდა ეს პრობლემა, შეისწავლა და გადაწყვიტა, ტრანსპორტი არ გამოეყო, რადგან ეს ბევრად მეტი დაჯდებოდა, ვიდრე ამ ბენეფიციარების ხარჯების ინდივიდუალურად დაფინანსება.

რაც შეეხება დანარჩენ ბარიერებს, ერთმა რესპონდენტმა შემოგვთავაზა **ქირისა და კვების ხარჯების** ანაზღაურება, რადგან - სატრანსპორტო მომსახურებების განუვითარებლობის გამო - ზოგიერთი სტუდენტი ბევრ საათს ხარჯავს გადაადგილებაში. ზოგიერთმა რესპონდენტმა, ასევე, ხაზი გაუსვა COVID-19-ის პანდემიის გავლენას სასწავლო პროცესზე და ონლაინ სწავლით გამოწვეულ ახალ ბარიერებს. მათი თქმით, ამ პერიოდში სტუდენტებისთვის ინტერნეტის ხარჯების ანაზღაურება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება. გარდა ამისა, სტუდენტების უმეტესობა ონლაინ გაკვეთილებს ესწრებოდა ტელეფონების გამოყენებით და არ ჰქონდათ წვდომა პერსონალურ კომპიუტერებსა და ლეპტოპებზე. გენდერული განსხვავებები ამ საკითხთან დაკავშირებით არ იყო ხაზგასმული.

გ) სააგენტოსთან თანამშრომლობა და პროგრამის განხორციელება

ყველა გამოკითხული ინსტიტუტი ჩართული იყო პროგრამაში პროგრამის დაწყებიდან. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც გამოკითხულმა ბენეფიციარებმა აღნიშნეს, მოქმედებენ, როგორ პროგრამის შესახებ ინფორმაციის გაზიარების არხი, სამიზნე აუდიტორიისათვის. კოლეჯები ატარებენ ღია კარის დღეებს, ავრცელებენ ინფორმაციას ტელევიზიით, ვებგვერდებით, სოციალური მედიით და ბეჭდავენ ბუკლეტებს, რომლებშიც ზოგადი ინფორმაციაა მათი პროგრამების შესახებ, ასევე, ავრცელებენ ინფორმაციას სააგენტოს პროგრამების შესახებ (მათ შორის, პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ). პანდემიის დაწყებამდე ღია კარის დღეები წელიწადში ორჯერ ტარდებოდა, ახლა კი მხოლოდ წელიწადში ერთხელ ტარდება ღია კარის დღე ონლაინ რეჟიმში. ზოგიერთი გამოკითხული კოლეჯი პანდემიამდე **პირისპირ შეხვედრებს დევნილთა დასახლებებშიც ატარებდა.** თუმცა, ეს შეხვედრები და ინფორმაცია, როგორც ჩანს, არ ეხება კონკრეტულ ჯგუფებს და მიზნად არ ისახავს ქალთა მონაწილეობის გაზრდას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში და აქვს ზოგადი ხასიათი. რაც შეეხება რეკომენდაციებს, რესპონდენტთა თქმით, სააგენტომ დროებით უნდა გაამახვილოს ყურადღება ონლაინ შეხვედრებზე, რადგან პანდემიის გამო პირისპირ კომუნიკაცია შეზღუდულია, მაგრამ განაახლოს პირისპირ ღია კარის დღეები, როგორც კი რეგულაციები ამის საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ეს შეხვედრები გამიზნული უნდა იყოს პოტენციურ ქალ კანდიდატებზე, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა პროგრამაში და ამ გზით გაიზარდოს მათი ჩართულობა პროფესიულ განათლებაში.

კოლეჯები სააგენტოს ყოველთვიურად უგზავნიან ინფორმაციას დევნილი სტუდენტების დასწრების შესახებ და სააგენტო სტუდენტებს მგზავრობის ხარჯებს უნაზღაურებს. **სააგენტომ დაწესებულებებს გადასცა სპეციალური Excel ცხრილის შაბლონი.** პროგრამამდეც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები აწარმოებდნენ დასწრების აღრიცხვას. ამ პროგრამის ფარგლებში ახლა მათ უბრალოდ უნდა ჩასვათ მონაცემები Excel-ის ცხრილში და დაუმატონ გაცდენის მიზეზი. შესაბამისად, **ისინი არ თვლიან სააგენტოსთვის დასწრების შესახებ ინფორმაციის გაგზავნას მნიშვნელოვან დამატებით ადმინისტრაციულ ტვირთად და არ დასჭირდათ პროგრამის ადმინისტრირებისათვის დამატებითი რესურსების გამოყოფა.**

დ) პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის ცვლილებების ტენდენციების შესახებ ზოგადი ინფორმაცია

კოლეჯები მუდმივად აახლებენ პროგრამებს შრომის ბაზრის ტენდენციებზე დაყრდნობით. ბოლო წლების განმავლობაში მათ დაამატეს ბაზრის მოთხოვნაზე დაფუძნებული ახალი ორმაგი და ინტეგრირებული პროგრამები, როგორიცაა IT უნარ-ჩვევები, შედუღება, მზარეულობა, სტილისტობა, ბეჭდვის ტექნოლოგია, ფინანსური მომსახურება. პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არ არსებობს დადგენილი „კაცის“ ან „ქალის“ პროფესიები. მაგალითად, ექთნების პროგრამაზე, რომელიც სტერეოტიპულად აღიქმება როგორც „ქალის“ პროფესია, ასევე, ირიცხებიან კაცები; ასევე, ისეთ პროგრამებში, რომლებიც განიხილება, როგორც „კაცის“ პროფესიები, როგორიცაა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების და ქვესადგურების ოსტატები ან მანქანის ინჟინრები, არიან ქალი სტუდენტებიც. თუმცა, ეს ძირითადად გამონაკლისია და გენდერული სხვაობა მაინც შესამჩნევია.

ორმაგი პროგრამები, რომლებიც ხორციელდება კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით, რესპონდენტების აზრით, ძალიან წარმატებულია, რადგან ისინი ხასიათდებიან თითქმის 100%-იანი დასაქმებით.[61] იმის გამო, რომ სტუდენტებს აქვთ კომპანიებში პრაქტიკული გამოცდილება, დამთავრების შემდეგ ეს კომპანიები ასაქმებენ მათ. მაგალითად, „ენგურჰესი“ და „ენერგო პრო ჯორჯია“ ასაქმებენ ენერგეტიკის სპეციალისტებს და ენერგეტიკასთან დაკავშირებული სხვა პროფესიების კურსდამთავრებულებს, ხოლო ქუთაისის სამკერვალო ქარხანა ასაქმებს სამკერვალო პროგრამის კურსდამთავრებულებს.

61 2020 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით, ორმაგ პროგრამებს დასაქმების უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვს. 2019 წელს ორმაგი პროგრამის კურსდამთავრებულთა 60% დასაქმდა ერთი წლის შემდეგ, ხოლო საგნობრივი პროგრამების კურსდამთავრებულთა შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 47.6% იყო, ხოლო მოდულებიანი პროგრამის კურსდამთავრებულთა - 49.6% (ACT, 2020).

დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე სხვა პროგრამებია საექთნო საქმე, სასტუმროს მომსახურება, რესტორნების მომსახურება და ხის მხატვრული დამუშავება. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, არის პროგრამები, რომლებშიც დასაქმების მაჩვენებელი დაბალია, როგორიცაა ფერმერობა, მებაღეობა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სხვა პროგრამები (დაახლოებით 30% კურსდამთავრებულებში), რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ სახელობო იარაღს თვითდასაქმების დასაწყებად და დამატებით ფინანსურ რესურსებს ფიზიკური პირებისგან. ამავე რესპონდენტის თქმით, თუ კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი იქნებოდნენ შესაბამისი სახელობო იარაღებით, ამან შეიძლება გაზარდოს მათი თვითდასაქმების მაჩვენებლები და მოჰყავს შემდეგი მაგალითი. **მეფუტკრეობის პროგრამის დასასრულს კურსდამთავრებულებს ეძლევათ სკა და აქვთ შესაძლებლობა დაუყოვნებლივ დაიწყონ თვითდასაქმება. თუმცა დაწესებულებას არ გააჩნია საკმარისი რესურსი სხვა კურსდამთავრებულებს გადასცეს შესაბამისი იარაღები.** ამ მხრივ, სააგენტოს პროგრამა დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის შესახებ, როგორც ჩანს, ავსებს არსებულ ხარვეზს და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელი იმ დაწესებულებებში, რომელთა წარმომადგენლებიც გამოიკითხნენ, 60-70%-ს შეადგენს. ზოგიერთ კოლეჯში არის გენდერული სხვაობა დასაქმების მაჩვენებლებსა და კურსდამთავრებულთა მაჩვენებლებშიც კი. რესპონდენტების აზრით, ეს მოვლენა აიხსნება ქორწინებით; ზოგიერთი გოგო, რომელიც ქორწინდება, **სწავლას შუა პროცესში წყვეტს.** რესპონდენტებს არ უხსენებიათ არც ერთი შემთხვევა, რომ სწავლის შეწყვეტა ოჯახს დაეძალებინოს. **თუმცა, თუნდაც პროფესიული განათლების ადმინისტრაციას არ შეემჩნია პირდაპირი ზეწოლა დაქორწინებულ ქალ სტუდენტებზე, აშკარაა, რომ ეს არის კომპლექსური ფენომენი, რომელიც დაკავშირებულია ოჯახებისა და საზოგადოების მხრიდან დაოჯახებული ქალების შესახებ სოციალურ დამოკიდებულებებთან, აუნაზღაურებელი შრომის ტვირთთან, დაოჯახებული ქალების პროფესიული განათლების, გენდერული ნორმებისა და ღირებულებებისა და მოლოდინების შესახებ სტერეოტიპებთან.**

რაც შეეხება რეკომენდაციებს, გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ სააგენტო უკეთ უნდა თანამშრომლობდეს დაწესებულებებთან და იკვლევდნენ ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზებს, რათა მიმართონ რესურსები ამ პრობლემების გადასაჭრელად, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში დაწესებულებებს არ აქვს რესურსები.

ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი.

სამწუხაროდ, არც ერთი კოლეჯი არ აკვირდება დასაქმების მაჩვენებლებს სოციალური სტატუსის მიხედვით, ხოლო მათი უმეტესობა არ აკვირდება დასაქმების მაჩვენებლებს გენდერულ ჭრილშიც. **კოლეჯები დასაქმების შესახებ ზოგად ინფორმაციას აგროვებენ. იმის გათვალისწინებით, რომ მარტივია კურსდამთავრებულთა შესახებ ინფორმაციის გენდერულად ჩაშლა, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციებს არ აქვთ ინტერესი ამ საკითხის მოკვლევაში.**

4.2.2. დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ბენეფიციარებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

ა) პროგრამის ბენეფიციარებთან გამართული ინტერვიუების შედეგები

- პროგრამის ზეგავლენა ბენეფიციართა დასაქმების სტატუსზე, მათ ეკონომიკურ მდგომარეობასა და განათლების შედეგებზე;
- საინფორმაციო არხები;
- განაცხადის დამუშავებისა და გამოვლენილი გამოწვევების შეფასება;
- პროგრამით მიღებული იარაღებითა და სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებით ბენეფიციარების კმაყოფილების დონე;
- პროგრამის გაუმჯობესების იდეები ბენეფიციარების მხრიდან;
- პროგრამის ზეგავლენა ბენეფიციართა საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობაზე, ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, ოჯახში გენდერულ როლებსა და დამოკიდებულებაზე და ოჯახისა წევრებისა და საზოგადოების აღქმაზე;

პროგრამის ზეგავლენა ბენეფიციართა დასაქმების სტატუსზე, მათ ეკონომიკურ მდგომარეობასა და განათლების შედეგებზე

მთლიანობაში, ინტერვიუების მიხედვით, თვითდასაქმების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ბენეფიციარების **დასაქმებაზე** რამდენიმე კუთხით: ა) ბენეფიციარებმა გადაწყვიტეს თვითდასაქმება პროგრამის გამო; ბ) ბენეფიციარებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაეფართოებინათ საკუთარი ბიზნესი პროგრამის ფარგლებში, რადგან მათ მიიღეს სახელობო იარაღები; გ) ბენეფიციარებმა შეცვალეს დასაქმების სტატუსი დასაქმებულიდან თვითდასაქმებულზე.

აღნიშნული მიგნებები ზემოთ განხილულ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებთან (პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი წილი არ მუშაობს თავიანთ განათლებასთან დაკავშირებული სპეციალობებით) და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაცია (იმის შესახებ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კურსდამთავრებულები ვერ იწყებენ სამუშაოს იარაღების არ არსებობის გამო) **აჩვენებს, რომ თვითდასაქმების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა ხელს უწყობს პროფესიულ განათლებაზე სახელმწიფოს ხარჯვის ეფექტიანობას და უნარების შეუსაბამობის შემცირებას.**

ინტერვიუების მიხედვით, პროგრამის მხარდაჭერის გარეშე ბენეფიციარებისთვის თითქმის შეუძლებელი იქნებოდა საკუთარი ბიზნეს საქმიანობის დაწყება, რადგან **ეს სამიზნე ჯგუფი მიეკუთვნება საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს.** დევნილებს აქვთ **შეზღუდული წვდომა ფინანსებზე** და როგორც ჩანს, ეს პრობლემა **უფრო მწვავეა ქალების შემთხვევაში.** გამოკითხულმა ქალმა ბენეფიციარებმა განაცხადეს, რომ - სახელობო იარაღების ნაკლებობის გამო - სანამ პროგრამით ისარგებლებდნენ, ისინი ძირითადად იძულებულნი იყვნენ თავიანთი სამუშაო (კერვა, ქარგვა და ა.შ.) ხელით შეესრულებინათ, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მათი პროდუქტიულობა და მოითხოვა დიდი ძალისხმევა და დრო. კაცების შემთხვევაში (რომლებიც ხელოსნები არიან), ისინი, ვისაც არ ჰქონდა სახელობო იარაღი, ახერხებდნენ ეთხოვათ იარაღი ან სხვების მიერ იყვნენ დასაქმებულნი. ორივე ჯგუფისთვის პროგრამით მოწოდებულმა სახელობო იარაღმა განაპირობა სამიზნე აუდიტორიის პროდუქტიულობის გაზრდა და მათ საშუალება მისცა გაეფართოებინათ თავიანთი საქმიანობა.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროფესიონალური აღჭურვილობის მიღებამ მათ **მნიშვნელოვანი დახმარება** გაუწია საკუთარი ბიზნეს საქმიანობის დაწყების ან გაფართოების კუთხით. რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ მათ შეეძლოთ გამხდარიყვნენ თვითდასაქმებულები ან გაეგრძელებინათ მუშაობა პროგრამის არარსებობის შემთხვევაშიც კი, მაგრამ ძნელად, რადგანაც ისინი ვერ შეიძენდნენ სახელობო იარაღს ან იმავე ხარისხის იარაღს. ეს კი გამოიწვევდა შესრულებული სამუშაოს ხარისხის კლებას ან/და გაახანგრძლივებდა მუშაობის პროცესს. უფრო მეტიც, იმ ბენეფიციარებმაც კი, რომლებიც შეძლებდნენ იმავე აღჭურვილობის შეძენას, აღნიშნეს, რომ პროგრამა მათ დაეხმარა, რადგან იარაღის დამოუკიდებლად შესაძენად მათ გაცილებით მეტი დრო, ფული და ძალისხმევა დასჭირდებოდათ. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც, ამ პროგრამამ **შეამცირა ტექნოლოგიური ცვლილებებისთვის საჭირო დრო** და გააუმჯობესა სამუშაო პრაქტიკა.

პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ ბენეფიციარების **ეკონომიკური მდგომარეობა** გაუმჯობესდა (ბენეფიციარები აღნიშნავენ უმნიშვნელოდან მნიშვნელოვან გაუმჯობესებას). აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის პანდემიამ, რომელმაც მძიმედ დააზარალა საქართველოს ეკონომიკა, გავლენა მოახდინა ბენეფიციარებსა და მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. თუმცა, ისინი მაინც მიიჩნევენ, რომ მათი ეკონომიკური სტატუსი და პერსპექტივა გაუმჯობესდა და აქვთ პოზიტიური მოლოდინი მომავლის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამას, როგორც ჩანს, აქვს **დადებითი გავლენა დასაქმებაზე,** რადგან პროგრამის ზოგიერთმა ბენეფიციარმა დაიქირავა ან აპირებს ახალი თანამშრომლების დაქირავებას. ეს გავრცელების ეფექტი შესამჩნევია ქალების, ასევე, კაცების შემთხვევაში.

ინტერვიუს კიდევ ერთი მიზანი იყო იმის გარკვევა, წაახალისა თუ არა პროგრამამ მონაწილეები, ჩარიცხულიყვნენ პროფესიული განათლების პროგრამებზე. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მონაწილეებმა გაიგეს **პროგრამის შესახებ, როდესაც ჩაირიცხნენ**

პროფესიული განათლების პროგრამებში ან განათლების მიღების შემდეგ.

როგორც ჩანს, ამ სამიზნე აუდიტორიას პროფესიული განვითარების კურსებზე ჩარიცხვით პროფესიული განვითარების შედარებით დაბალი სურვილი და შესაძლებლობა აქვს. შეკითხვის დროს ისინი გამოხატავენ პროფესიული განვითარების კურსებზე ჩარიცხვის სურვილს, მაგრამ სიღრმისეული კითხვების შემდეგ ირკვევა, რომ მათ არ გადაუდგამთ ნაბიჯები ამ მიმართულებით და ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავების ალბათობაც ძალიან დაბალია.

მოკლედ რომ ვთქვათ, დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა ხელს უწყობს მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას და აუმჯობესებს მათ საცხოვრებელ პირობებს დასაქმების პერსპექტივის შექმნით. პროგრამის მხარდაჭერის გარეშე ბენეფიციარები ან ვერ შეძლებდნენ იმავე წარმატების მიღწევას, ან რომც შეეძლოთ, წარმატების მიღწევა იქნებოდა უფრო რთული და მას უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა. **ეს ზეგავლენა კიდევ უფრო დიდია ქალების შემთხვევაში, როგორც წესი, ისინი ფიზიკურად უფრო მეტს მუშაობენ და ნაკლები წვდომა აქვთ ფინანსებზე. ამრიგად, ეს პროგრამა ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას ამ კუთხით. პროგრამა, როგორც ჩანს, არც ისე ეფექტიანია დევნილთა და ეკომიგრანტთა შორის პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიღწევის კუთხით.**

საინფორმაციო არხები

სამიზნე აუდიტორიისათვის პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის სააგენტო ***რამდენიმე არხს*** იყენებს: SMS შეტყობინებები, საინფორმაციო შეხვედრები დევნილებთან (ფორუმი, პირისპირ შეხვედრები, ბეჭდვითი მასალები და ა.შ.), ინფორმაციის გაზიარება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით და მჭიდრო თანამშრომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს გამოყენება გადამწყვეტია თვითდასაქმების მხარდამჭერი პროგრამისა და ამ პროგრამის პროფესიულ განათლებასთან კავშირების შესახებ ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული განათლების შესახებ საქართველოში არ არის საკმარისი ინფორმაცია (და პროფესიული განათლება უარყოფითად აღიქმება). იმის გათვალისწინებით, რომ ქალებს და განსაკუთრებით დევნილ ქალებს ნაკლებად აქვთ სოციალური ქსელები, სხვადასხვა წყაროს გამოყენება ზრდის მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ალბათობას. **ინტერვიუების მიხედვით, ბენეფიციარებმა ინფორმაცია მიიღეს ძირითადად SMS შეტყობინებით და პროფესიული დაწესებულებების ადმინისტრაციის წყალობით.** ისინიც კი, რომლებმაც ინფორმაცია მიიღეს SMS შეტყობინებით და საბოლოოდ ჩაირიცხნენ, თავიდან არ აქცევდნენ შეტყობინებას ყურადღებას. მათ მხოლოდ რამდენიმე შეტყობინების მიღების შემდეგ გადაწყვიტეს მოქმედება. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ SMS არ არის ინფორმაციის გაზიარების ძალიან ეფექტიანი წყარო, რადგან გავრცელებული პრაქტიკაა მისი გამოყენებით ბევრი ინფორმაციის რეკლამირება და პირები ხშირად შლიან მათ წაკითხვის გარეშე. აქედან გამომდინარე, SMS შეტყობინებებთან ერთად უნდა არსებობს სხვა ინფორმაციის გაზიარების წყარო. ერთ-ერთ ინტერვიუში იყო ამგვარი შემოთავაზება: ა) ადგილობრივი **არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსების** გამოყენება პროგრამის შესახებ ინფორმაციის კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებში გასავრცელებლად, რადგან ასეთი ორგანიზაციები უკეთ იცნობენ ადგილობრივ კონტექსტს და იცნობენ ადგილობრივ საჭიროებებს; ბ) სააგენტოს პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების პროაქტიულობის გაზრდა; გ) სოციალურ მედიაში, განსაკუთრებით ფეისბუქზე, ხილვადობისა და ინტერაქციის დონის გაზრდა.

როგორც ზემოთ იყო განხილული, საჭიროა პოტენციური ბენეფიციარებისათვის ინფორმაციის მიწოდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ ჩარიცხვამდე.

კვლევამ აჩვენა, რომ, ასევე **არსებობს ინფორმაციის გაზიარების კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი არხი - თავად პროგრამის ბენეფიციარები.** ყველა ბენეფიციარმა უკვე გააზიარა ინფორმაცია პროგრამის შესახებ და ურჩია მეგობრებსა და ახლობლებს მონაწილეობა მიიღონ ამ პროგრამაში. ზოგიერთი კი დაეხმარა განაცხადის შეტანაში. ამრიგად, **კმაყოფილი ბენეფიციარის ყოლას შეუძლია გააძლიეროს პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება**

და გაზარდოს ცნობიერების დონე სამიზნე აუდიტორიაში. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, „ცოცხალი ბენეფიციარი საუკეთესო რეკლამაა“ - ბენეფიციარი ქალი იმერეთიდან.

განაცხადის დამუშავებისა და გამოვლენილი გამოწვევების შეფასება

ზოგადად, ბენეფიციარების შეხედულებით, **განაცხადის შევსება მარტივი პროცესია.** კვლევას არ დაუდგენია რაიმე გენდერული სხვაობა ამ შეხედულებაში. თუმცა, გარკვეული გამოწვევები გამოიკვეთა. ძირითადად, ეს გამოწვევები დაკავშირებული იყო ფინანსურ გამოთვლებთან და ინვოისის წარდგენასთან. ფინანსურ გათვლებთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში ბენეფიციარებს საშუალება ჰქონდათ, მიემართათ სააგენტოსათვის და მიეღოთ შესაბამისი მითითებები. გარდა ამისა, სააგენტომ მათ საშუალება მისცა აეხსნათ თავიანთი გამოთვლები გასაუბრების პროცესში, რაც მონაწილეებს ძალიან დაეხმარათ.

მონაწილეთა შერჩევის პროცესში ინტერვიუს ჩართვას მონაწილეები დადებითად განიხილავენ, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა, უკეთ წარმოაჩინონ თავი და ახსნან განაცხადის მოტივები. ამ სამიზნე ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს სირთულეები განაცხადში საკუთარი მოტივების გამოხატვის კუთხით და შეიძლება იყვნენ უფრო დამაჯერებელი ინტერვიუების დროს.

პროგრამის თავდაპირველი მოთხოვნა **სამი ინვოისის** მიწოდების შესახებ ბენეფიციარებმა მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნიეს. როგორც წესი, მონაწილეებს სჭირდებოდათ სახელობო იარაღი, რომელიც შემოტანილი იყო ერთი ან ორი მომწოდებლის მიერ და სამი ინვოისის მიწოდება შეუძლებელი ან ხელოვნური იყო, რადგან სააგენტოს ეს იარაღი ხელმისაწვდომ ფასად მხოლოდ ამ კონკრეტული მომწოდებლებისგან უნდა ეყიდა. აღნიშნული განმცხადებლები დაუკავშირდნენ სააგენტოს და აუხსნეს ეს საკითხი და მათივე თქმით, სააგენტომ გაამარტივა მოთხოვნა დასაბუთების მიღების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სააგენტომ 2018 წლიდან მოხსნა სამი ინვოისის მოთხოვნა მონაწილეთა გამოხმაურების შედეგად.

მოთხოვნილ ინვოისებთან (ახლა ერთი ინვოისი) დაკავშირებით რამდენიმე გამოწვევა მაინც რჩება. კერძოდ,

ა) შორი მანძილი - ზოგიერთი იარაღი არ იყიდება ბენეფიციართა სიახლოვეს და ისინი უნდა ესტუმრონ დედაქალაქს ან სხვა დიდ ქალაქს ინვოისის მისაღებად. ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებით პრობლემური იმ ქალი განმცხადებლებისათვის, რომლებსაც აქვთ ოჯახური პასუხისმგებლობა და ჩვეულებრივ, ნაკლებად გადაადგილდებიან.

ბ) დრო - ზოგიერთ მონაწილეს შეექმნა შემდეგი პრობლემა: განაცხადების მიღებისას მომწოდებლებს არ ჰქონდათ აღნიშნული იარაღი და მონაწილეებს უწევდათ სასურველის შეცვლა დაბალი ხარისხის იარაღით. ბენეფიციარების თქმით, ზოგიერთ მაღაზიას აქვს ძალიან ხანმოკლე ვადით მოქმედი ინვოისი. გარდა ამისა, ერთ ბენეფიციარს, რომელიც გეგმავს პროგრამაში ხელახლა მიიღოს მონაწილეობა, აქვს შემდეგი პრობლემა - საჭირო იარაღი არ არის საქართველოში, მაღაზია ვერ აწვდის ინვოისს და ვერ სთავაზობს წინასწარ ფასს. ამრიგად, მონაწილე არ არის დარწმუნებული, გადააჭარბებს თუ არა ფასი პროგრამის გრანტის ოდენობას.

გ) ინფორმაციის ნაკლებობა - ზოგიერთ მონაწილეს ჰქონდა საჭირო იარაღების გამყიდველი მაღაზიების შესახებ ინფორმაციის მიღების სირთულე.

საერთო ჯამში, ინტერვიუების მიხედვით, სააგენტომ ითამაშა და თამაშობს მნიშვნელოვან როლს განმცხადებლებისათვის განაცხადის შევსების პროცესში სირთულეების გადალახვის მხარდაჭერის კუთხით. თუმცა, ყველა განმცხადებელს არ ჰქონდა სააგენტოს წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაცია განაცხადის ეტაპზე. მათ საკონტაქტო ინფორმაცია მიიღეს მონიტორინგის საწყის ეტაპზე.[62] სააგენტოს შეუძლია მეტი რესურსი

62 საწყისს მონიტორინგში იგულისხმება მონიტორინგი შერჩევის პროცესის დროს. საწყისი მონიტორინგის მიზანია განაცხადების რეალურ პირობებთან შესაბამისობის შემოწმება - აქვთ თუ არა განმცხადებლებს რეალური შესაძლებლობა და პირობები, დაიწყონ/გააფართოონ საკუთარი ბიზნესი, როგორ შეუძლიათ საჭირო პირობების დაკმაყოფილება (მაგ. ჰიგიენის დაცვა საჭმლის კეთების დროს), ა.შ.

გამოყოს განაცხადის წარდგენის დროს, რათა გაავრცელოს ინფორმაცია კონტაქტის შესახებ ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში.

პროგრამით მიღებული იარაღებითა და სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებით ბენეფიციარების კმაყოფილების დონე

პროგრამის მთლიანი კმაყოფილება უნდა გაანალიზდეს ორ განზომილებაში: პირველი, ბენეფიციარები, რომლებმაც უკვე მიიღეს იარაღები; მეორე, ბენეფიციარები, რომლებმაც მიიღეს გრანტი და ჯერ კიდევ ელოდებიან იარაღებს. გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა ვერ იპოვა გენდერული სხვაობა კმაყოფილების საერთო დონეში.

პირველი კატეგორია დადებითად აფასებს პროგრამას. უმეტესობა ძალიან კმაყოფილია, დანარჩენი კი კმაყოფილი არიან მიწოდებული იარაღების ხარისხით. ბენეფიციარები აცხადებენ, რომ მიღებული იარაღები სწორედ ისაა, რაც მათ მოითხოვეს. **თუმცა, ბენეფიციარები დადებითად არ აფასებენ სააგენტოს მიერ სახელობო იარაღების შესაძენად და გადაცემისთვის დახარჯულ დროს.** უმრავლესობისთვის გაუგებარია, რატომ მოითხოვს სააგენტო ამხელა დროს იარაღების გადასაცემად, როცა მათ აქვთ იარაღების ზუსტი პარამეტრები, მომწოდებელი და ფასი. ბენეფიციარები, რომლებმაც მიიღეს იარაღები პანდემიის დროს, უფრო ხვდებიან დაგვიანების მიზეზებს და დროის პრობლემას არ უჩივიან, სხვები კი ამას პრობლემურ საკითხად აღიქვამენ.

რაც შეეხება ამჟამინდელ ბენეფიციარებს, რომლებიც ჯერ კიდევ ელოდებიან სახელობო იარაღების გადაცემას, ისინი მოხარულნი არიან გრანტით და მოუთმენლად ელიან იარაღების მიღებას. მათთვის რთულია ამ ეტაპზე პროგრამით კმაყოფილების დონის გამოხატვა. **თუმცა, ხანგრძლივი პერიოდი და გადაცემის ზუსტი თარიღის გაურკვევლობა განმცხადებლებს შემდეგ გამოწვევებს უქმნის:**

ა) ზოგიერთ შემთხვევაში, ზოგიერთ სახელობო იარაღს სჭირდება დამატებითი ელემენტები, რომლებსაც განმცხადებელი ახლა არ იყენებს. ამჟამად განმცხადებლებმა არ იციან, როგორ დაგეგმონ პროცესი - რამდენი დამატებითი ელემენტი იყიდონ. მაგალითად, ქალბატონმა, რომელიც ელოდება საკერავ მანქანას, არ იცის, რამდენი საკერავი ძაფი იყიდოს. მისი ახლანდელი მანქანისათვის სხვა საკერავი ძაფია საჭირო; თუ ახალი მანქანა ჩამოვა, მაშინ შეიძლება ახალი საკერავი ძაფის ყიდვა დასჭირდეს.

ბ) ზოგიერთმა არ იცის, მიიღებენ თუ არა ყველა მოთხოვნილ სახელობო იარაღს, რადგანაც იარაღების ფასი გაიზარდა განაცხადის შევსების შემდეგ (და ფასმა შეიძლება გრანტის ზედა ზღვარს გადააჭარბოს);

გ) როდესაც განმცხადებლები ითხოვენ სახელობო იარაღს, როლის ხარისხი ხშირად იცვლება (მაგალითად, ლეპტოპები), დიდხნიანი ლოდინი ნიშნავს, რომ ახლა მათ უკეთესი ხარისხის პროდუქტის შეკვეთა შეეძლოთ.

დ) საერთო ჯამში, განმცხადებლები ვერ გეგმავენ ბიზნესს.

გასაუბრების პროცესში დასმულმა დამატებითმა კითხვებმა ცხადყო, რომ ამჟამად ბენეფიციარები, რომლებიც ელოდებიან სახელობო იარაღის გადაცემას, არ ფლობენ საჭირო ინფორმაციას. **სააგენტოს წარმომადგენელს არ შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია სახელობო იარაღების ამჟამინდელი მდგომარეობის (შეძენილია თუ არა, ან კონკრეტულად რომელი ნაწილია შეძენილი) და გადაცემის ზუსტი თარიღის შესახებ. ეს ამცირებს პროგრამის მიმართ ნდობას და ზოგიერთი იმედგაცრუებული ჩანდა.** გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა იცის, რომ სააგენტოს აქვს სახელობო იარაღის გადაცემის ვადის გაჭიანურების ობიექტური მიზეზები, რადგან მათ უწევთ ტენდერების გამოცხადება და ზოგჯერ ერთი ტური არ არის საკმარისი და დამატებით დროს მოითხოვს. **სააგენტო კარგად ათვითცნობიერებს ამ პრობლემას და უკვე შეეცადა ამ გამოწვევის ნაწილობრივ დაძლევას იაფი პროდუქციის ვაუჩერის სისტემის დანერგვით. თუმცა, მეტი ძალისხმევაა საჭირო შესყიდვების სტატუსის შესახებ მონაწილეთა პერიოდული ინფორმირებისათვის. მონაწილეებს ეს ინფორმაცია სჭირდებათ, რათა დრო არ დაკარგონ და შესაბამისად დაგეგმონ თავიანთი ბიზნეს საქმიანობა.**

გარდა ამ პრობლემისა, ბენეფიციარები ძალიან კმაყოფილნი არიან სააგენტოს მიერ მოწოდებული მომსახურებით და დადებითად აფასებენ მათთან კომუნიკაციას. „რაც არ უნდა კითხვები მქონოდა მუდამ იყვნენ ხელმისაწვდომები (სააგენტოს წარ-

მომადგენლები). თუ ვერ მპასუხობდნენ, აქეთ მირეკავდნენ“ - მონაწილე ქალი თბილისიდან; „ვფიქრობ, ყველა (სააგენტოში) მოწადინებულია ხელი გაგიმართოს“ - მონაწილე ქალი ქვემო ქართლიდან. პროგრამის ზოგიერთი მონაწილე სააგენტოდან საკონტაქტო პირების სახელებსაც კი იხსენებს.

პროგრამის გაუმჯობესების იდეები ბენეფიციარების მხრიდან

პროგრამის გაუმჯობესების შესახებ ბენეფიციარების შემოთავაზებების ანალიზის დროს არ გამოკვეთილა კონკრეტული გენდერული მოდელები. ქალ და კაც მონაწილეებს მსგავსი მოსაზრებები ჰქონდათ. კერძოდ:

- **მოსათხოვნი სახელობო იარაღების რაოდენობის გაზრდა** - რადგანაც მოსათხოვნი სახელობო იარაღების რაოდენობა ფიქსირებულია (სამი), ბენეფიციარები პრიორიტეტებს ანაწილებენ იარაღების ფასების და არა საჭიროების მიხედვით. ისინი თავდაპირველად ითხოვენ მაღალფასიან იარაღებს გრანტის ოდენობის შესავსებად. რაოდენობა შეზღუდული რომ არ ყოფილიყო, ზოგიერთი შეძლებდა უფრო მეტი იარაღის მოთხოვნას რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე;
- **სახელობო იარაღის გადაცემისათვის საჭირო დროის შემცირება** - როგორც ზემოთ იყო განხილული, ვადების გაჭიანურება ბენეფიციარებზე უარყოფითად მოქმედებს, ჰქმნის გაურკვევლობას და ართულებს სამომავლო მოქმედებების დაგეგმვას;
- **დაფინანსების გაზრდა (ოდნავაც კი გამონაკლის შემთხვევებში) ან თანადაფინანსების შესაძლებლობა** - მონაწილეები აცნობიერებენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი შეზღუდულია და ცდილობენ გონივრული იდეები შესთავაზონ. მონაწილეები სთავაზობენ ბიუჯეტის ინფლაციით კორექტირებას - სახელობო იარაღების ფასების გაზრდის გამო. ზოგიერთი მონაწილე ახსენებს, რომ გარკვეული სპეციალობა მოითხოვს ერთ იარაღს, რომლის ფასი საგრანტო თანხაზე მეტია. ამ შემთხვევებში მონაწილეები სთავაზობენ, იყოს თანადაფინანსება (მონაწილეები გადაიხდიან სხვაობას) ან დაუშვან გამონაკლისი გარკვეულ დიაპაზონში.
- **ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება, თუ პროდუქცია ინოვაციურია და ახალია ქართულ ბაზარზე** - ერთ-ერთმა ქალმა მონაწილემ ახსენა, რომ, როდესაც პროდუქტი ინოვაციური და ახალია, სააგენტოს შეუძლია, განიხილოს საგრანტო თანხის გაზრდა და დაუშვას გამონაკლისი ან განიხილოს მესამეჯერ დაფინანსების გაცემის შესაძლებლობა.
- **ცნობიერების ამაღლება და პოტენციური მონაწილეების დარწმუნება** - ინტერვიუების დროს ზოგიერთმა ბენეფიციარმა ახსენა, თავიდან არც ელოდნენ გრანტის მიღებას და გაუკვირდათ მოგება. ასეთი დაბალი აღქმა გამარჯვების შანსებთან დაკავშირებით უნდა მოგვარდეს სააგენტოს მიერ, რადგანაც ამის გამო პოტენციურმა ბენეფიციარებმა განაცხადები შეიძლება არ შემოიტანონ.

როგორც უკვე განვიხილეთ, მონაწილეებს არ მოსწონთ გაურკვევლობა, რომელიც უკავშირდება სახელობო იარაღის მისაღებად საჭირო დროს და ხანგრძლივ ლოდინის დროს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მუშაობა ამ დროის შესამცირებლად, მონაწილეების ინფორმირება შესყიდვების პროგრესის შესახებ და ამ მხრივ გაურკვევლობის შემცირება. როგორც ერთ-ერთმა ბენეფიციარმა შემოგვთავაზა, **შესაძლოა სასურველი იყოს, რომ მონაწილეებს მიეცეთ მოქნილობა,** რათა დამოუკიდებლად აიღონ სახელობო იარაღი (თუ მათ ასე ურჩევნიათ). ბენეფიციარები ვერ ხედავენ იარაღების დაგვიანებისა და სხვა მონაწილეებთან ერთად ოფიციალურ დაჯილდოების ცერემონიაზე მათი მიღების სარგებელს. მეორე მხრივ, სააგენტოს შეუძლია პროგრამის პოპულარიზაცია წარმატებული ისტორიების ჩვენებით. **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის გადამწყვეტი იქნება, თუ ასეთ გამოფენებში წარდგენილი იქნება ქალი მონაწილეების წარმატებული ისტორიები. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ასეთმა ისტორიებმა არ გააძლიეროს არსებული სოციალური ნორმები (მაგალითად, თავი აარიდოს ვარაუდს, რომ ქალებს მხოლოდ დამატებითი წვლილი შეაქვთ ოჯახის შემოსავალში, არიან მთავარი მზრუნველები, ძირითადად პასუხისმგებელნი არიან საოჯახო საქმეებზე და ა.შ.). ეს ისტორიები უნდა იყოს შთამაგონებელი, უნდა აჩვენოს ქალების განსაკუთრებული ინიციატივები, უნდა იყოს მისაბაძი მაგალითი სხვებისთვის და ჰქონდეს**

გარდამტეხი ძალა. ასევე, სასურველია, სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, სააგენტომ ხელი შეუწყოს დევნილი ქალების მაღალანაზღაურებად პროფესიებში ჩართვას.

პროგრამის ზეგავლენა ბენეფიციართა საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობაზე, ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, ოჯახში გენდერულ როლებსა და დამოკიდებულებაზე და ოჯახისა და საზოგადოების წევრების აღქმაზე

როგორც ჩანს, პროგრამა ორივე გენდერზე ერთნაირად მოქმედებს, ერთი გამონაკლისის გარდა: დადებითი გავლენა ქალი მონაწილეების პროდუქტიულობაზე შეიძლება იყოს უფრო მაღალი, რადგან ბევრი მათგანი თავის საქმეს ხელით აკეთებდა. განსხვავებები ვლინდება გადაწყვეტილების მიღების, ეკონომიკური დამოუკიდებლობის, გენდერული როლებისა და დამოკიდებულებების შესწავლის დროს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბენეფიციარებს - თავდაპირველად - მკაფიოდ არ ესმოდათ ინტერვიუერების კითხვები სახლში გადაწყვეტილების მიღების პროცესის, გენდერული როლებისა და დამოკიდებულებების შესახებ. თითქმის ყოველთვის მკვლევარებს უწევდათ აეხსნათ, რას ნიშნავდა თითოეული ცნება. დამატებით გამოწვევას წარმოადგენდა სატელეფონო გამოკითხვა, რადგან ინტერვიუერებს არ შეეძლოთ რესპონდენტებზე დაკვირვება და დამატებითი დასკვნების გამოტანა. მიუხედავად ამ გამოწვევისა, ხაზგასმული იყო შემდეგი გენდერული სხვაობები:

პროგრამა ზოგადად ხელს უწყობს ოჯახის წევრებისა და საზოგადოების მხრიდან ბენეფიციარების მიმართ მადლიერების გაზრდას, მაგრამ განსხვავებული ხარისხით კაცებისა და ქალების შემთხვევაში.
ყველა ბენეფიციარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოზიტიური ცვლილება ორ ძირითად ფაქტორს უკავშირდება: ა) პროფესიულ წარმატებას და თანაშემწეების ან ახალი თანამშრომლების აყვანის უნარს; ბ) გაუმჯობესებული ფინანსური მდგომარეობის გამო ზოგადად საზოგადოების და თუნდაც ოჯახის წევრების მხრიდან მეტ პოზიტიური დამოკიდებულებას. **თუმცა, ბენეფიციარმა ქალებმა ასევე ხაზი გაუსვეს, რომ პროგრამამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათი ნდობის დონისა და თვითშეფასების ამაღლებაში. ბენეფიციარმა ქალებმა აღიქვეს, რომ ამ პროგრამის გამო ისინი თავს უფრო „ხილულად“ და „დაფასებულად“ გრძნობდნენ ადგილობრივ თემებში.** აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარმა ქალებმა ამ კითხვას **დიდი ენთუზიაზმით, მღელვარებით** და უფრო დეტალურად უპასუხეს, კაცებთან შედარებით. **კაცი ბენეფიციარებისთვის ეს კითხვა თავდაპირველად გაუგებარი იყო, რადგან მათ არ ესმოდათ, როგორ ან რატომ შეეძლო პროგრამას, შეეცვალა მათ მიმართ დამოკიდებულება და ღირებულებები. მხოლოდ ინტერვიუერის დამატებითი ახსნა-განმარტების შემდეგ აძლევდნენ ისინი პასუხებს.** როგორც ჩანს, რამდენადაც ქართულ ოჯახებში კაცი მთავარ მარჩენლად აღიქმება, თავად კაცებს და ზოგადად ადგილობრივ საზოგადოებას მათ მიმართ უფრო მაღალი მოლოდინები აქვთ და პროგრამის წვლილი ამ მხრივ მცირეა. ამიტომაა, რომ ქალ მონაწილეებში პროგრამის წვლილი უფრო მაღალია.

ამ თვისებრივმა ინტერვიუებმა, ასევე, გამოავლინა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული არსებული სტიგმა. სამეგრელო-ზემო სვანეთიდან ერთმა მონაწილე ქალმა, რომელსაც თავდაპირველად უმაღლესი განათლება ჰქონდა და პროფესიულ განათლებაზე ჩააბარა, აღნიშნა, რომ ადგილობრივი საზოგადოება უარყოფითად იყო გაკვირვებული მისი გადაწყვეტილებით. თუმცა, წარმატების შემდეგ ეს დამოკიდებულება შეიცვალა. ამრიგად, დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამას ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებითა და წარმატებული ისტორიების ჩვენებით შეუძლია **შეარბილოს ზოგადად პროფესიული განათლების სტიგმა და ხელი შეუწყოს ქალთა ეკონომიკაში ჩართვის და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.**

პროგრამის ბენეფიციარები, რომლებიც გამოიკითხნენ, **თანაბრად იყვნენ ჩართულნი თავიანთი ოჯახების გადაწყვეტილების მიღების პროცესში.** როგორც კაცმა, ასევე, ქალმა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემდეგ გაიზარდა მათი ფინანსური წვლილი ოჯახის შემოსავალში.

ინტერვიუების დროს გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდს არ უკითხავს მონაწილეების შემოსავლების ზუსტი ფინანსური ცვლილების შესახებ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ბენეფიციარმა ქალმა აღნიშნა, რომ ოჯახებს მხოლოდ დამოუკიდებლად ვერ შეინახავდნენ. **ამრიგად, მიუხედავად მონაწილეთა გაზრდილი ეკონომიკური დამოუკიდებლობისა, პროგრამის ზემოქმედება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ქალებს მიეცეს ეკონომიკური დამოუკიდებლობა იმ დონით, რომ მარტო შეძლონ ოჯახების შენახვა.** ერთ-ერთმა მონაწილე ქალმა აღნიშნა პროგრამის დამატებითი უპირატესობა - ახლა მას შეუძლია შეუკეროს ტანსაცმელი ოჯახის წევრებს და შეამციროს ოჯახის ხარჯები.

რაც შეეხება ოჯახის წევრებს შორის საყოფაცხოვრებო საქმიანობის დანაწილებას, მონაწილეები არ ასახელებენ ამ კუთხით პროგრამით გამოწვეულ რაიმე ცვლილებას. ორივე გენდერის მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ ეხმარებიან მეუღლეებს ან ოჯახის სხვა წევრებს. ერთ-ერთმა მონაწილე ქალმა თბილისიდან აღნიშნა, რომ ქმარი აქტიურად ეხმარება მას მუშაობისას (მოაქვს მასალები) და უვლის ბავშვებს, სანამ ის მუშაობს.

ზოგადად, პროგრამა, როგორც ჩანს, ხელს უწყობს ქართულ საზოგადოებაში არსებული სოციალური ნორმებისა და დამოკიდებულების შეცვლას, ქალების ღირებულების (და დაფასების) აღქმის გაზრდას, მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. შესაძლებელია, რომ, თუ ეს ასპექტი გამოკვეთილი იქნება პროგრამის პოპულარიზაციის ეტაპზე, პროგრამის წვლილი ამ კუთხით კიდევ უფრო მაღალი იყოს.

ბ) ჩატარებული ინტერვიუების შედეგები განმცხადებლებთან რომლებსაც უარი ეთქვათ გრანტზე

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- დასაქმების სტატუსი - არსებული სტატუსი და პროფესია (აქვთ თუ არა იგივე პროფესია, რომლითაც პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა);
- დაფინანსებაზე უარის თქმის მიზეზები - არდაფინანსებული განმცხადებლების მოსაზრებები და სააგენტოსაგან მიღებული ოფიციალური ახსნა-განმარტება უარის თქმის შესახებ;
- მეორეჯერ მონაწილეობის მიღების მცდელობა - მიმართეს თუ არა პროგრამას მეორეჯერ ან რა გარემოებებში მიმართავდნენ ისინი პროგრამას მეორეჯერ;
- განაცხადების დამუშავებისა და დაკავშირებული გამოწვევების შეფასება;
- ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა

დასაქმების სტატუსი

პროგრამის ბენეფიციარებთან შედარებით, არდაფინანსებული განმცხადებლების დასაქმების სტატუსის მნიშვნელოვანი ვარიაცია გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. არდაფინანსებული განმცხადებლებიდან ისინიც კი აწყდებიან სირთულეებს ვინც თვითდასაქმებულია:

ა) ზოგიერთ მათგანს უწევს სახელობო იარაღების დაქირავება, რაც ზრდის მათ ხარჯებს და ამცირებს მოგების წილს;
ბ) ზოგიერთი დროებით ითხოვს სახელობო იარაღს ნათესავისა და მეგობრებისაგან. ეს ამცირებს მათ შესაძლებლობას, დროულად დაიწყონ მუშაობა და ზოგჯერ ჰქმნის ბარიერებს, რომ მოიზიდონ ახალი კლიენტები (იმიტომ, რომ სახელობო იარაღი შეიძლება ყოველთვის არ იყოს ხელმისაწვდომი).

შედეგად არდაფინანსებული განმცხადებლები, რომლებიც აგრძელებენ თვითდასაქმებით მუშაობას საკუთარი სახელობო იარაღის გარეშე, ზარალდებიან დაკარგული შემოსავლის გამო. არდაფინანსებული განმცხადებლებისთვის თითქმის შეუძლებელია თავად შეიძინონ სახელობო იარაღები, რადგან შემოსავალი, რომელსაც ისინი გამოიმუშავებენ, თითქმის არაა საკმარისი ყოველდღიური ოჯახის ხარჯების დასაფარად. შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ ფინანსების დაგროვება შემდგომი ინვესტიციის მიზნით.

ერთ-ერთი გამოკითხული არდაფინანსებული განმცხადებელი, რომელსაც უჭირს სახელობო იარაღის დაქირავება ან დროებით სესხება, ამჟამად გამოთიშულია სამუშაო ძალას და სახელობო იარაღის გარეშე მუშაობას ვერ იწყებს. სხვა მონაწილეებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც დაეუფლნენ ახალ პროფესიებს და მუშაობენ განსხვავებულ სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ არდაფინანსებული განმცხადებლების შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა ხაზს უსვამს გენდერულ სხვაობებს. კერძოდ, ქალი განმცხადებლები უფრო ხშირად ტოვებენ სამუშაო ძალას დაფინანსებაზე უარის თქმის (დემოტივაცია) ან ოჯახური პრობლემების გამო (დაქორწინების შემდეგ).

უარის თქმის მიზეზები და მეორეჯერ მონაწილეობის მიღების მცდელობები

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ არდაფინანსებული განმცხადებლების უმეტესობამ არ იცის უარის თქმის მიზეზები. იყო შემთხვევები, როცა არდაფინანსებულმა განმცხადებლებმა იცოდნენ მიზეზი და წინასწარ ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ არ იყვნენ კვალიფიცირებული, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს განაცხადის შეტანა. ზოგიერთი განმცხადებელი დაუკავშირდა სააგენტოს და ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელმა განუმარტა უარის თქმის მიზეზები, ზოგი კი აცხადებს, რომ სააგენტომ რეკომენდაციაც კი გაუწია სხვა პროგრამაზე, რომლის კრიტერიუმებსაც უფრო მეტად აკმაყოფილებდა მათი განაცხადი. თუმცა, იყო რამდენიმე განმცხადებელი, რომლებმაც არ მიიღეს მიზეზები სააგენტოდან ან/და არ უკითხავთ სააგენტოსათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ უარის თქმის შემდეგ ბევრი განმცხადებელი ხდება იმედგაცრუებული და არ აქვს სტიმული და მოტივაცია ხელახლა შეიტანოს განაცხადი. ეს საკითხი განსაკუთრებით ეხება ქალ განმცხადებლებს. გენდერული ზეგავლენის შეფასებისგუნდისდასკვნაემთხვევასაერთაშორისო მტკიცებულებებს, რომლის მიხედვითაც, ქალები უფრო მეტად იმედგაცრუებულნი იქნებიან და მათთვის ხელახლა მიმართვის ალბათობა დაბალია, რადგან ისინი მიდრეკილნი არიან წარუმატებლობა მიაწერონ საკუთარ უუნარობას (Deaux & Farris, 1977). უფრო მეტიც, რადგან არდაფინანსებულმა განმცხადებლებმა არ იციან უარის კონკრეტული მიზეზები, მათთვის უფრო რთულია მომავალში განაცხადის ხარისხის გაუმჯობესება. ეს დასკვნა ხაზს უსვამს სააგენტოს მხრიდან უფრო აქტიური კომუნიკაციის მნიშვნელობას, რათა უზრუნველყოს განმცხადებლებისთვის უარის თქმის მიზეზების ცნობა.

საინტერესოა, რომ 2020-2021 წლების განმცხადებლებმა არ იციან, რომ მათ უარი უთხრეს დაფინანსებაზე. ამან შეუქმნა ბარიერები მათ სამომავლო აქტივობების დაგეგმვისა ან/და პროგრამაში ხელახალ მონაწილეობას. გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა ორჯერ გადაამოწმა ის ფაქტი, რომ გამოკითხულმა არდაფინანსებულმა განმცხადებლებმა 2020-2021 წლიდან არ იციან თავიანთი სტატუსის შესახებ. სააგენტოს წარმომადგენლების თქმით, ყველა ამ განმცხადებელთან ოფიციალურად გაიგზავნა უარის წერილები და SMS შეტყობინებები. ამდენად, საჭიროა დამატებითი გამოკვლევა სააგენტოს მხრიდან, რათა გაირკვეს, რა არის განმცხადებლებს შორის ინფორმირებულობის ნაკლებობის მიზეზები. ამ კუთხით საჭიროა კომუნიკაციის ეფექტიანობისა და დროის გაუმჯობესება.

განაცხადის დამუშავებისა და დაკავშირებული გამოწვევების შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარების უმეტესობა თვლიდა, რომ განაცხადის წარდგენის პროცესი მარტივია, არდაფინანსებულ განმცხადებლებს შორის არ არსებობს ერთსულოვანი მოსაზრება ამ მხრივ. ზოგი მას მარტივ პროცესად აფასებს, ზოგი ამტკიცებს, რომ არც ადვილი იყო და არც რთული, ზოგი კი ამტკიცებს, რომ რთული იყო. ასევე, იყო შემთხვევა, როდესაც განცხადება განმცხადებელმა დამოუკიდებლად არ შეავსო. ასევე, იყო პრეტენზიები კითხვების ძალიან დეტალურ ხასიათზე. ფინანსური გამოთვლები, როგორც ჩანს, რთულია ამ სამიზნე ჯგუფისთვის, რადგან ისინი ხასიათდებიან შემოსავლის უზარმაზარი პოტენციური ცვალებადობით, რაც დამოკიდებულია მოთხოვნაზე და უმეტეს შემთხვევაში გაურკვეველია. მათი შემოსავლების გაურკვეველი ბუნება ართულებს ამ სამიზნე ჯგუფის მომავალი ფინანსური ნაკადების პროგნოზირებას და ფინანსური გამოთვლების გაკეთებას.

ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა

პროგრამის ბენეფიციარებთან შედარებით, არდაფინანსებული განმცხადებლების მდგომარეობა გაუარესდა: გამოკითხულ არდაფინანსებულ განმცხადებლებს შორის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა ან იგივე დარჩა მხოლოდ რამდენიმესთვის, ხოლო უმეტესობისთვის ის გაუარესდა. ეკონომიკური მდგომარეობის ეს ცვლილება დასაქმების შეზღუდულ პერსპექტივასა და პანდემიას მიაწერეს. ამრიგად, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს სამიზნე ჯგუფი ძალიან

დაუცველია ეკონომიკური შოკების მიმართ, განსაკუთრებით პანდემიის დროს.

არდაფინანსებული განმცხადებლების ამჟამინდელი პირობების შედარება ბენეფიციარების მდგომარეობასთან, მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამამ შეიძლება ხელი შეუწყოს ბენეფიციარების ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას უკეთესი დასაქმების პერსპექტივის შექმნით, მონაწილეების მიერ სახელობო იარაღის ქირაობის/სესხების ხარჯების შემცირებით, მათი ბიზნესის გაფართოებისთვის სტიმულის მიწოდებით და მეტი მომხმარებლის მოზიდვით.

მთლიანობაში, არდაფინანსებული განმცხადებლები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. რომლებიც იყვნენ ნაკლებად მოტივირებულები, გააცნობიერეს, რომ არ იმსახურებდნენ გრანტს ან/და შეიცვალეს პროფესია; 2. რომლებსაც ესაჭიროებათ სახელობო იარაღი და უჭირთ მუშაობა საკუთარი იარაღების გარეშე. შეიძლება იყოს მესამე ჯგუფიც, რომელიც შეიძლება აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს, მაგრამ შეცდომით მიიჩნია, რომ არ იმსახურებს გრანტს და თავი დაანებეს სამსახურს (არსებული ლიტერატურის მიხედვით, ქალები უფრო ხშირად ჩნდებიან ასეთ ჯგუფში). ვინაიდან ბოლო ორი ჯგუფი, როგორც ჩანს, ძალიან მოწყვლადი (და პოტენციურად გრანტის მიმღები) ჯგუფებია, დამატებითი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული მათ დასახმარებლად, რათა გააუმჯობესონ განაცხადი და წაახალისონ, რომ წარმოადგინონ განაცხადი ხელახლა. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ადამიანს უარი ეთქვა გრანტზე, რადგან ის არ აკმაყოფილებდა იმ წლის მოთხოვნებს. თუმცა, ახლა ამ პროგრამის მოთხოვნების ცვლილებებით, მას შეუძლია მოთხოვნის დაკმაყოფილება. იმის გამო, რომ მან არ იცის უარის მიზეზი ან/და მოთხოვნების ცვლილებების შესახებ, მას ხელახლა არ წარმოუდგენია განაცხადი, მიუხედავად მისი მონაწილეობის სურვილისა. ამრიგად, ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ არსებობს გაუმჯობესების შესაძლებლობა მოწყვლადი სამიზნე ჯგუფისათვის. ერთ-ერთი გამოსავალია, სააგენტომ განიხილოს ძველი განაცხადები და პროაქტიული ფორმით აცნობოს უფლებამოსილ განმცხადებლებს, როგორ შეუძლიათ წარმატებული განაცხადის წარმოდგენა.

ნაწილი 5. გენდერულად სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენა

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამები დაფინანსების თვალსაზრისით გენდერულად დაბალანსებულია, რადგან გენდერის მიხედვით დაფინანსების მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის. პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამაში არ ფიქსირდება განსხვავება დაფინანსების დონეში გენდერის მიხედვით გეოგრაფიულ და დროით ჭრილში. ეს ტენდენცია არც ისე აშკარაა დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის შემთხვევაში, რადგან გარკვეული ცვლილებები შეინიშნება რეგიონულ დონეზე და წლების განმავლობაში. გარდა ამისა, გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა, ასევე, გამოავლინა გენდერული გამოწვევები, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს სხვა საარსებო წყაროთი უზრუნველყოფის პროგრამებზეც. ასეთ პროგრამებში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გენდერული ასპექტები.

მონაწილეობა

ქალთა დაფინანსების მაჩვენებლები დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაში ნაკლებად დაბალანსებულია თბილისს გარეთ. ეს რიცხვები შეიძლება მიუთითებდეს, რომ დედაქალაქის გარეთ მცხოვრები ქალები ამ პროგრამაში მონაწილეობისას დამატებით დაბრკოლებებს აწყდებიან. ეს შედეგი შეიძლება მიუთითებდეს, რომ ქალების მიერ წარდგენილი განაცხადების ხარისხი დაბალია რეგიონებში, საჭიროა დამატებითი მხარდაჭერა მათი განაცხადის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ასევე, საჭიროა უფრო ეფექტიანი კომუნიკაცია იმ განმცხადებლებთან, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, რათა დავრწმუნდეთ, რომ უარი უარყოფითად არ იმოქმედებს მათ შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე და მომავალში პროგრამაში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილებებზე. ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის, რადგან საერთაშორისო ლიტერატურაში წარმოდგენილი მტკიცებულებები და პროგრამის იმ განმცხადებლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები, რომლებიც ვერ გახდნენ ბენეფიციარები, ცხადყოფს, რომ ქალები უფრო მეტად იმედგაცრუებულნი არიან და მსგავს პროგრამებზე ხელახალი განაცხადის/განაცხადის შეტანის ალბათობა ძალიან დაბალია.

გენდერული ნორმები და სტერეოტიპები

ზოგიერთი პროფესია განიხილება, როგორც სპეციფიკური გარკვეული გენდერისათვის და ითვლება ქალის ან კაცის პროფესიებად. იგივე ტენდენცია შეინიშნება დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის მიხედვით. ეს საკითხი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, რადგან კაცებით დომინირებულ პროფესიებს აქვთ დაფინანსების უფრო მაღალი ალბათობა პროფესიის სპეციფიკური მახასიათებლების გამო, როგორიცაა ფართო ბაზრის ათვისება და მობილურობა. „კაცის პროფესიები“, როგორიცაა ელექტრიკოსები და სხვა სახის ხელოსნები, უფრო მობილური და მოქნილია; აღნიშნული პროფესიები არ იზღუდება კონკრეტული ადგილით და აქვთ შესაძლებლობა მოიცვან მომხმარებელთა ფართო სპექტრი. მეორე მხრივ, „ქალის პროფესიებს“ აქვთ დაფინანსების დაბალი ალბათობა თვითდასაქმების უფრო შეზღუდული პერსპექტივის გამო (რაც არ არის დაკავშირებული მათ სქესთან). თუ ქალები აირჩევენ ასეთ პროფესიებს არსებული სოციალური ნორმებიდან გამომდინარე, მათ შეიძლება ჰქონდეთ უარის მიღების სისტემატურად მაღალი მაჩვენებელი და შრომის ბაზრის უფრო ცუდი

მოსალოდნელი მაჩვენებლები (შრომის ბაზრის სეგრეგაცია, სახელფასო სხვაობა).

ქართული საზოგადოება, ზოგადად, კაცებს აღიქვამს, როგორც მთავარ მარჩენალს და უფრო მაღალი მოლოდინი აქვს მათ პროფესიულ წარმატებაზე, ვიდრე ქალების. ეს გამოიხატება იმაში, რომ ქორწინების შემდეგ მდედრობითი სქესის სტუდენტები წყვეტენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სიარულს და ასევე, როგორც დევნილთა ისეთ მთლიან მოსახლეობაში ქალების სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე დაბალია. აქედან გამომდინარე, საჭიროა ქალთა ნდობისა და თვითშეფასების დონის ამაღლება, მათი წახალისება შრომის ბაზარზე აქტიურად ჩართვისათვის და თვითდასაქმების მაღალი პერსპექტივის მქონე პროფესიების არჩევაში.

რესურსებზე არათანაბარი წვდომა და რესურსების არათანაბარი კონტროლი

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდის ანალიზმა ცხადყო, რომ შერჩეული პროგრამების სამიზნე ჯგუფს აქვს მნიშვნელოვნად შეზღუდული წვდომა ფინანსურ რესურსებზე და მიეკუთვნება საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს. ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა აისახება სახელობო იარაღებზე შეზღუდულ წვდომაში, რაც ამცირებს პროდუქტიულობას და მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და დროს. ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას ქალებისათვის, რადგან სახელობო იარაღების არარსებობის პირობებში ბენეფიციარი ქალები ძირითადად ხელით მუშაობდნენ და არ გააჩნიათ საჭირო სახელობო იარაღის თხოვების ან ქირაობის შესაძლებლობა, კაცებისაგან განსხვავებით.

თვისებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ რეგიონებში მცხოვრები ქალები უფრო მოწყვლადი არიან მგზავრობის მაღალი ხარჯის მიმართ. ყველა ბენეფიციარი, ვინც პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის გარეშე მგზავრობას ვერ ახერხებდა, რეგიონებში ცხოვრობს და მათი უმრავლესობა ქალია. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ოჯახის მზრუნველობის ტვირთის არათანაბარ განაწილებასთან, ტრანსპორტის არათანაბარ ხელმისაწვდომობასთან, ან/და სტერეოტიპულ შეზღუდვებთან.

მონაცემთა შეზღუდვები

მიუხედავად სააგენტოს ძალისხმევისა, შეაგროვოს და შეინახოს პროგრამების შესახებ გენდერულად ჩაშლილი მონაცემები, რაც საშუალებას გვაძლევს, წარმოვადგინოთ პროგრამების განხორციელების მთავარი ასპექტები, ქვეყანაში დევნილთა და ეკომიგრანტთა მოწყვლადობისა და გენდერული თუ სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ კომპეტენცია შეზღუდულია. გარდა ამისა, ეკომიგრანტების შესახებ ნაკლებად არის გენდერულად ჩაშლილი მონაცემები.

დევნილთა გენდერულ ჭრილში მოწყვლადობაზე ჩატარებული კვლევების შეზღუდული რაოდენობა მთლიანობაში გენდერულად ჩაშლილ შეზღუდულ მონაცემებთან (მათ შორის პროფესიების მიხედვით) ერთად ხელს უშლის მსგავს პროგრამებზე გენდერული ზეგავლენის შეფასების ჩატარების პროცესს, რადგან - წინასწარი ცოდნის გარეშე - მკვლევარებს სჭირდებათ დამატებითი ძალისხმევა რათა ჩაატარონ ყველა მიმართულებით უფრო სიღრმისეული ანალიზი.

მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება

3

ნაწილი 6. მიგნებების შეჯამება

პრობლემისა და მიზნების განსაზღვრება:

- რის მიღწევას ისახავს მიზნად პროგრამები გენდერული თანასწორობის კუთხით (პროგრამებისა და საერთო სტრატეგიების ფარგლებში);
- გენდერულად სპეციფიკური განსხვავებული საჭიროებებისა და დამაბრკოლებელი ფაქტორების გაგება;
- პროგრამების შესაძლებლობის დონის შეფასება გენდერულ თანასწორობაში წვლილის შეტანის კუთხით.

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება დასაქმების უკეთესი პერსპექტივის შექმნით. პროგრამის მიზანია დევნილთა და ეკომიგრანტთა პროფესიული განათლების ხელშეწყობა, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება შრომის ბაზარზე. რაც შეეხება დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამას, მისი მთავარი მიზანია დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება თვითდასაქმების პერსპექტივის შექმნით და დევნილთა და ეკომიგრანტთა პროფესიული განათლების ხელშეწყობა. შერჩეული პროგრამები მონაწილეებს განიხილავენ როგორც ჰომოგენურ ჯგუფს, არ არსებობს გენდერული კვოტები და გენდერულად სპეციფიკური კრიტერიუმები და სააგენტო შეგნებულად არ ახალისებს კონკრეტული სქესის მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, ორივე პროგრამა განიხილება გენდერულად ნეიტრალურად. თუმცა, დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის შემთხვევაში არსებული გენდერული განსხვავებებისა და ქალებისა და კაცების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით, მიზნები შეიძლება განისაზღვროს უფრო გენდერულად სენსიტიურად.

დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა აღწევს თავის მთავარ მიზანს - მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას და აუმჯობესებს მათ საცხოვრებელ პირობებს დასაქმების პერსპექტივის შექმნით. პროგრამის მხარდაჭერის გარეშე ბენეფიციარები ან ვერ შეძლებდნენ იმავე წარმატების მიღწევას, ან თუნდაც რომ შეძლონ, წააწყდებოდნენ უფრო დიდ სირთულეებს და დასჭირდებოდათ უფრო მეტი დრო. თუმცა, როგორც ჩანს, ეს პროგრამა არ არის მსგავსად ეფექტიანი დევნილთა და ეკომიგრანტთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნის მიღწევაში, რადგან მონაწილეები იღებენ ინფორმაციას პროგრამის შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შემდეგ ან პროფესიული განათლების მიღების შემდეგ.

რაც შეეხება პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას, არსებობს შეზღუდული მტკიცებულება, რომ ეს პროგრამა ქმნის დასაქმების პერსპექტივებს და ხელს უწყობს დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას, რადგან პროგრამის ბენეფიციართა უმეტესობას ახალი დამთავრებული აქვს სწავლა და შესაბამისად პროფესიული განათლების სრული გავლენის შეფასება რთულია. გარდა ამისა, პანდემია ქმნის დამატებით ბარიერებს და აფერხებს პროგრამის გავლენის შეფასებას. თუმცა, ეს პროგრამა, რა თქმა უნდა, აღწევს თავის სპეციფიკურ მიზანს, ხელი შეუწყოს პროფესიულ განათლებას სამიზნე აუდიტორიაში, რადგან მგზავრობა მათთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა.

რაოდენობრივი ანალიზის მიგნებები

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა დევნილთა **დემოგრაფიული პროფილი,** მათი განათლებისა და სამუშაო ძალის მაჩვენებლები და რამდენად განსხვავდება აღნიშნული ქართული

საზოგადოების სხვა წევრების მაჩვენებლებისაგან. ძირითადი მიგნებები შეჯამებულია შემდეგნაირად:

- დევნილთა და არადევნილთა მიღწეულ განათლების დონეს შორის არ არის მნიშვნელოვანი სხვაობა (გენდერულ ჭრილშიც).
- დევნილებს შორის უმუშევრობის დონე მაღალია (სხვაობა შესამჩნევია კაცების შემთხვევაში). ქალ და კაც დევნილებს შორის უმუშევრობის დონეებში სხვაობა არის 11 პროცენტული პუნქტი, ხოლო არადევნილთა შემთხვევაში სხვაობა ოთხი პროცენტული პუნქტია.
- ახალგაზრდა დევნილებს შორის უმუშევრობის დონე უფრო მაღალია საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით. უმუშევრობა უფრო მაღალია ახალგაზრდა კაცებისათვის. ამ ასაკობრივ კატეგორიაში კაც დევნილებსა და არადევნილებს შორის უმუშევრობის დონეებში სხვაობა 13 პროცენტული პუნქტია, ხოლო ქალების შემთხვევაში - ორი პროცენტული პუნქტი.
- მართალია, დევნილებს იგივე განათლების დონე აქვთ, რაც საზოგადოების სხვა წევრებს, თუმცა მათ უფრო ცუდი შრომის ბაზრის მაჩვენებლები აქვთ. დევნილები უფრო მოწყვლადები არიან და ქალი დევნილები უფრო მეტ დაბრკოლებებს აწყდებიან შესადარისი ანაზღაურების მიღების კუთხით.

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის გენდერული ზეგავლენის გასაანალიზებლად შეფასების გუნდმა გააანალიზა პროგრამის ორი განზომილება: დროითი და გეოგრაფიული განზომილებები. მონაცემთა ანალიზმა გამოყო შემდეგი შედეგები:

- განმცხადებლების გეოგრაფიული განაწილება იმეორებს დევნილთა საერთო განაწილებას რეგიონების მიხედვით. ეს შედეგი მიუთითებს, რომ არ არსებობს რეგიონზე დაფუძნებული თვითშერჩევის ცდომილება (self-selection bias) და პროგრამა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომია.
- პროგრამის პირველი სამი წელი იყო გენდერულად დაბალანსებული განცხადებების რაოდენობის მიხედვით. თუმცა, 2020 წელს განმცხადებლების უმრავლესობა კაცები გახდნენ (56%). რამდენადაც, მთლიანობაში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილი სტუდენტების განაწილება კიდევ უფრო მეტად არის გადახრილი კაცებისაკენ (61%), შეიძლება ითქვას რომ ქალები პროპორციულად უფრო მეტად არიან ჩართული პროგრამაში.
- პროგრამაში მონაწილე ქალ და კაც მსურველთა შორის დაფინანსების მაჩვენებლების დისბალანსი არ ფიქსირდება. დაფინანსების მაჩვენებლების ბალანსი შესამჩნევია როგორც რეგიონული, ასევე, დროითი განზომილებების მიხედვით. უფრო მეტიც, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაფინანსების მაჩვენებლები არ განსხვავდება დაფინანსების საერთო მაჩვენებლებისაგან.
- სოციალურად დაუცველი დევნილების წილი ბენეფიციარებს შორის გაიზარდა 2021 წელს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს პანდემიით, ისევე, როგორც კანონმდებლობის ცვლილებით, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ამ პროგრამიდან მიღებული ნებისმიერი დაფინანსება გავლენას არ მოახდენს განმცხადებლის სოციალურ ქულაზე.

გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა იგივე მიდგომა გამოიყენა **დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის** გასაანალიზებლად. განმცხადებლები და ბენეფიციარები დაიყო გეოგრაფიული და დროის განზომილებების მიხედვით და შემდგომ გაანალიზდა. გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდს არ ჰქონდა ინფორმაცია განმცხადებლების ასაკის შესახებ, შესაბამისად, შეუძლებელი იყო ძირითადი განაწილების იდენტიფიცირება გენდერის მიხედვით (ახალგაზრდებს შორის დევნილთა უმრავლესობა კაცები არიან, ხოლო უფროს ასაკობრივ ჯგუფებში ქალები უფრო მეტნი არიან წარმოდგენილნი). მიგნებები შემდეგია:

- თბილისში ქალი და კაცი განმცხადებლების რაოდენობა თითქმის თანაბარია. თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფ რეგიონებში უმეტესობა კაცები არიან. როგორც ჩანს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ რეგიონებში ქალები უფრო მეტ დაბრკოლებას აწყდებიან პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, ვიდრე დედაქალაქში მცხოვრები ქალები.
- დაფინანსების მაჩვენებლები, მთლიანობაში, გენდერულად დაბალანსებულია. თუმცა, განსხვავებები შეინიშნება რეგიონული და დროითი განზომილებების მიხედვით. ქალებს თბილისში დაფინანსების მიღების მეტი ალბათობა აქვთ,

სხვა რეგიონებში კი განსხვავებული სურათია. ასევე, დაფინანსების საერთო მაჩვენებლებში მცირე სხვაობა განისაზღვრება პანდემიის დროს დაფინანსების დისბალანსით.

- დაფინანსების მაჩვენებლები დროთა განმავლობაში მცირდება. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს დაბალი ხარისხის განაცხადების წილის ზრდით ან/და იმ ფაქტით, რომ სააგენტოს ბიუჯეტი დროთა განმავლობაში ნაკლებად იცვლება (წლების განმავლობაში უფრო მეტი მსურველია და ხარჯებიც იზრდება ინფლაციასთან ერთად, თუმცა, პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ფიქსირებულია. შესაბამისად, ვერ ხერხდება დაფინანსების მუდმივი მაჩვენებლის შენარჩუნება).
- განმცხადებლების პროფესიებიდან ოთხი არის ე.წ „კაცის“, ორი კი „ქალის“, ხოლო დანარჩენი მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია გენდერულ ჭრილში. „კაცის“ პროფესიებს, როგორც ჩანს, უფრო მაღალი დაფინანსების მაჩვენებელი აქვთ. აღნიშნული პროფესიები უფრო მობილური და მოქნილია და მათ ბაზარზე თვითრეალიზება უფრო ადვილად შეუძლიათ. მეორე მხრივ, ქალები მიდრეკილი არიან აირჩიონ პროფესიები, რომლებსაც თვითდასაქმების დაბალი პოტენციალი აქვს.
- ლებების წარმომადგენლების თქმით, მგზავრობა მნიშვნელოვანი ბარიერია რეგიონებში სტუდენტებისათვის, რადგან მათი უმრავლესობა ღარიბი ოჯახებიდან მოდის.
- პოტენციური განმცხადებლების ინფორმაციის ძირითადი წყაროა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაცია, SMS შეტყობინებები, ვებგვერდი/ფეისბუქის გვერდი და ნათესავები/მეგობრები.
- ბენეფიციართა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ განაცხადის ფორმის შევსება მარტივი იყო და კითხვების შემთხვევაში სააგენტოსთან კომუნიკაციაც მარტივი იყო. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სააგენტოსთან კომუნიკაცია მარტივია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ბიუროკრატიული ტვირთი არ არსებობს.
- პროგრამა არ ახდენს გავლენას ოჯახში გენდერულ როლებზე.
- მიუხედავად იმისა, რომ კაცების უმრავლესობა არ გრძნობს, რომ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ მათი როლის სოციალური აღქმა იცვლება, ქალების თვითშეფასება ძირითადად უფრო მაღალია და ისინი თავს უფრო ღირებულად გრძნობენ საზოგადოებაში.

თვისებრივი ანალიზის მიგნებები

გენდერული ზეგავლენის შეფასების პროცესის განმავლობაში გუნდმა რაოდენობრივი ანალიზი შეავსო თვისებრივი ანალიზით, რომელიც ეფუძნება ნახევრად სტრუქტურირებულ სატელეფონო ინტერვიუებს პროგრამების განმცხადებლებთან, ასევე, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საბჭოს წევრებთან. თვისებრივი კვლევის მიზანი იყო ბენეფიციართა შრომის ბაზრის მაჩვენებლებისა და საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ასევე იმის დადგენა თუ როგორ შეცვალა პროგრამაში მონაწილეობამ გენდერული როლები, ღირებულებები და აღქმა. **პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მ**იგნებები შემდეგია:

- იმ ბენეფიციარებიდან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მგზავრობის ხარჯებს თავად ვერ იღებენ, დიდი უმრავლესობა ქალია და ყველა თბილისის გარეთ ცხოვრობს.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებუ-

დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის გასაანალიზებლად გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდმა ჩაატარა სატელეფონო ინტერვიუ ბენეფიციარებთან, ასევე, იმ განმცხადებლებთან, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, რათა დაენახა სრული სურათი. **დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის** მიგნებები შეჯამებულია ქვემოთ:

- პროგრამა დადებითად აისახება ბენეფიციარებზე, რადგან ზრდის რესურსებზე ხელმისაწვდომობას და პროდუქტიულობას. ეს ზეგავლენა განსაკუთრებით შესამჩნევია ქალებში.
- პროგრამას აქვს დადებითი გავრცელება, რადგან ბენეფიციარები, ასევე, ასაქმებენ სხვებს (ძირითადად დევნილებს).
- ბენეფიციარების უმეტესობის შემთხვევაში პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ მათი ეკონომიკური პირობები ოდნავ ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

- ბენეფიციართა უმრავლესობა პროგრამის შესახებ ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების შემდეგ იღებს. ძირითადი საინფორმაციო წყაროებია - SMS, სააგენტოს მიერ ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაცია.
- ბენეფიციარების უმეტესობა ამტკიცებს, რომ განაცხადის ფორმის შევსება მარტივი იყო და კითხვების შემთხვევაში სააგენტოსთან ურთიერთობაც მარტივი იყო. თუმცა, გამოვლინდა რამდენიმე დაბრკოლება, როგორიცაა შორი მანძილი, დროითი ხარჯი, ფინანსურ გამოთვლებთან დაკავშირებული სირთულეები და ინფორმაციის ნაკლებობა.
- მიღებული სახელობო იარაღების ხარისხი კარგია. თუმცა, სახელობო იარაღზე განაცხადის შეტანასა და მიღებას შორის დროის შუალედი უარყოფითადაა შეფასებული.
- მონაწილეებს არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, იქნებიან თუ არა სრულად აღჭურვილნი. ასევე, მათ შეიძლება დასჭირდეთ დამატებითი ინსტრუმენტები. ეს ორი ეფექტი ერთად ართულებს მომავლის ზუსტად შეფასებას და დეტალურად სამომავლო საქმიანობის დაგეგმვას.
- პროგრამა არ ახდენს გავლენას ოჯახში გენდერულ როლებზე. მეორე მხრივ, ოჯახები არ აბრკოლებენ ოჯახის წევრების მონაწილეობას პროგრამაში. პროგრამას აქვს პოტენციალი, შეცვალოს ზოგადად პროფესიული განათლების შესახებ წარმოდგენები.
- მიუხედავად იმისა, რომ კაცების უმრავლესობა არ გრძნობს, რომ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ მათი როლის სოციალური აღქმა იცვლება, ქალების თვითშეფასება ძირითადად უფრო მაღალია და ისინი თავს უფრო ღირებულად გრძნობენ საზოგადოებაში.
- რამდენიმე განმცხადებელი, რომელიც ვერ გახდა პროგრამის ბენეფიციარი თვითდასაქმებულია, მაგრამ სახელობო იარაღების ნაკლებობის გამო უჭირს წარმატებას მიაღწიოს. ზოგმა უარის თქმის შემდეგ შეიცვალა პროფესია, ნაწილი კი საერთოდ არ არის დასაქმებული სახელობო იარაღების უქონლობის გამო.
- განმცხადებელთა, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია უარის მიზეზის შესახებ. უარის მიზეზის ცოდნის გარეშე განმცხადებლებს უჭირთ ხელახლა განაცხადის შეტანა. ზოგიერთი მათგანი იმედგაცრუებულია უარის შემდეგ და ეს ეფექტი უფრო ძლიერია ქალებში.
- აშკარა განსხვავებაა განაცხადის პროცესის სირთულის შეფასებაში ბენეფიციარებსა და იმ განმცხადებლებს შორის, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები. განმცხადებლებს, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, ძირითადად უჭირდათ განაცხადის ფორმის შევსება, მათ ძირითადად ფინანსური გათვლების გაკეთების პრობლემა ჰქონდათ. ეს არის ძირითადი ასპექტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ პროგრამის ინკლუზიურობის გასაზრდელად.
- ბენეფიციართაგან განსხვავებით, განმცხადებლების, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, უმრავლესობის ეკონომიკური მდგომარეობა იგივე დარჩა ან გაუარესდა პროგრამაში განაცხადის შეტანის შემდეგ.

მონაცემთა შეგროვება:

- ქვეყნისა და რეგიონულ დონეზე გენდერის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება;
- ექსპერტებთან კონსულტაცია, ასევე, პროგრამების ქალი და კაცი ბენეფიციარებისა და სხვა განმცხადებლებისაგან, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, უკუკავშირის მიღება.

მონაცემთა შეზღუდვა და არსებული მონაცემების გენდერულ ჭრილში ანალიზის ნაკლებობა ხელს უშლის შერჩეული პროგრამების ეფექტიანობისა და მდგრადობის სათანადო შეფასებას:

- ქვეყანაში დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებისა და მოწყვლადობის შესახებ შეზღუდული კომპეტენცია, ამ თემაზე ჩატარებული კვლევების შეზღუდული რაოდენობა და გენდერულად ჩაშლილი მონაცემების დაბალი ხელმისაწვდომობა შეუძლებელს ხდის გენდერული ზემოქმედების სიღრმისეული შეფასების ჩატარებას.
- ეკომიგრანტების შესახებ გენდერულად ჩაშლილი მონაცემების ხელმისაწვდომობის ნაკლებობამ და არჩეულ პროგრამებში ეკომიგრანტების ძალიან მცირე რაოდენობამ ამ ჯგუფზე გენდერული ანალიზი შეუძლებელი გახადა.

- შეუძლებელი იყო სათანადო ჰიპოთეტური ფაქტების ანალიზის (counterfactual analysis) ჩატარება თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის შემთხვევაში. ამის გამო შეუძლებელი იყო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა პროგრამის ინტერვენციებსა და შედეგებს შორის, ასევე, პროგრამის გავლენის რაოდენობრივი ანალიზი.

განაცხადის შეტანისას და შეტანის შემდეგ კომუნიკაცია და დახმარება:

- ინფორმაციის გაზიარების არხების ეფექტიანობისა და მათი გაუმჯობესების გზების ანალიზი;
- ინკლუზიური ენის გამოყენება;
- კომუნიკაციის დროს გენდერული უთანასწორობის მთავარი ასპექტების გათვალისწინება/განხილვა;
- განაცხადის შეტანისას დახმარება;
- პოტენციურად დამაკმაყოფილებელი კანდიდატებისათვის, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, უკუკავშირის მიწოდება (მათ შორის, უკუკავშირი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება განაცხადის ხარისხის გაუმჯობესება).

სააგენტო იყენებს ინფორმაციის გაზიარების რამდენიმე წყაროს, მათ შორის, SMS-ს სამიზნე ჯგუფებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციისა და ფეისბუქის მეშვეობით კომუნიკაციას. გარდა ამისა, სააგენტო, ასევე, ბეჭდავს და ავრცელებს ბუკლეტებსა და სტიკერებს მათი პროგრამების შესახებ დევნილთა დასახლებებში. ამასთანავე, ხშირია სამიზნე რეგიონებში რეგიონალური ტელევიზიებისა და რადიოების საშუალებით ინფორმაციის გავრცელებაც. გარდა ამისა, პანდემიამდე სააგენტო პირისპირ შეხვედრასაც ატარებდა დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და აწვდიდა ინფორმაციას მისი ყველა პროგრამის შესახებ. ამჟამად სააგენტო ფოკუსირებულია ონლაინ და სხვა სახის კომუნიკაციაზე. პროფესიული განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისით, სკოლის მოსწავლეებთან კომუნიკაცია მათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვამდე არაეფექტურია. ზოგჯერ SMS შეტყობინებებს - მიმდინარე სტრატეგიის მთავარი კომპონენტი - შლიან წაკითხვის გარეშე. შედეგად, SMS-ების შევსება სხვა ინფორმაციის წყაროებით ზრდის იმის ალბათობას, რომ სამიზნე აუდიტორია მიიღებს ინფორმაციას სააგენტოს პროგრამების შესახებ. მეორე მხრივ, ვებგვერდი არ არის ძალიან ინტერაქტიული და მომხმარებლებს შესაძლოა გაუჭირდეთ ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება. გარდა ამისა, პროგრამების გამოცხადების დრო განსხვავდება დროთა განმავლობაში, რამაც შესაძლოა დამატებითი დაბრკოლებები შეუქმნას დაინტერესებულ მხარეებს განაცხადის შეტანაში (რადგან მათ უნდა განაგრძონ ვებგვერდის მონიტორინგი განცხადებების გამოქვეყნებამდე).

სააგენტომ ითამაშა და თამაშობს მნიშვნელოვან როლს, განმცხადებლებისათვის ორივე პროგრამის ფარგლებში განაცხადების შევსების დაბრკოლებების გადალახვაში. თუმცა, ანალიზი აჩვენებს, რომ დამატებით აუცილებელია ხელმისაწვდომი იყოს სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია, განსაკუთრებით დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის საწყის ეტაპზე.

უნდა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია სააგენტოსა და განმცხადებლებსა და ბენეფიციარებს შორის. საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება ყველა განმცხადებელს. თუმცა, ინტერვიუებიდან გამომდინარე, დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის განმცხადებელთა, რომლებიც ვერ გახდნენ ბენეფიციარები, უმეტესობამ არ იცის უარის მიზეზი. ამ პროგრამის ბენეფიციარებმაც კი ხშირად არ იციან თავიანთი მოთხოვნის სტატუსი, განსაკუთრებით იმის შესახებ, თუ როდის იქნება გადაცემული მოთხოვნილი სახელობო იარაღი. შესაბამისად, ამ მიმართულებით განვითარებაა საჭირო.

აუცილებელია ინკლუზიური ენის გამოყენება კომუნიკაციის პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იყოს განსხვავებული საჭიროებებისა და მახასიათებლების მქონე ადამიანების სტიმულირება. ამავდროულად, კომუნიკაციის ძირითადი გზავნილები უნდა ჩამოყალიბდეს არსებული გენდერული უთანასწორობის გათვალისწინებით.

მონიტორინგი და შეფასება

- პროგრამების გენდერული ზეგავლენის მონიტორინგი;
- გენდერულად სპეციფიკური ინდიკატორების შემუშავება;
- ბენეფიციარების სხვადასხვა ქვეჯგუფზე განსხვავებული ზეგავლენის შეფასება;

- შესაძლებლობებისა და შედეგების თანასწორობის მიღწევის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა;
- პროგრამებში/სექტორში გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა;
- საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და გავრცელება.

როგორც ბევრი სხვა პროგრამის შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება კონკრეტული პროგრამების მონიტორინგს, ის ძირითადად ემყარება ფაქტობრივი აქტივობების განხორციელების მონიტორინგს და მიღებული მხარდაჭერის (სახელობო იარაღის) გამოყენებას, ვიდრე პროცესების ან ზემოქმედების მონიტორინგსა და შეფასებას. სააგენტო ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს მას შემდეგ, რაც ბენეფიციარებს მიეწოდებათ მოთხოვნილი იარაღები. ამ მონიტორინგის მიზანია შეამოწმოს, იყენებს თუ არა ბენეფიციარი გადაცემულ იარაღებს; შეისწავლოს პროგრამის გავლენა ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და შეამოწმოს, იცავენ თუ არა ბენეფიციარები ხელშეკრულებას.

სააგენტოს მიერ გამოყენებული მონიტორინგის ამჟამინდელი ფორმა იძლევა ინფორმაციის გენდერის მიხედვით ჩაშლის შესაძლებლობას. თუმცა, პროგრამის უკეთესი მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანია დამატებითი განზომილებების დამატება, როგორიცაა ასაკი და რეგიონი.

შერჩეული პროგრამების სათანადო შეფასება გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით გართულებულია შემდეგი ფაქტორების გამო:

- საწყისი საბაზისო კვლევის არარსებობა ურთულებს გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდს ამ პროგრამების ზემოქმედების სწორად იდენტიფიცირებას, რადგან შერჩეული პროგრამები დაიწყო საწყისი საბაზისო ანალიზის გარეშე.
- დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის შემთხვევაში სათანადო ჰიპოთეტური ფაქტების ანალიზის (counterfactual analysis) ჩატარების შესაძლებლობის არარსებობა. შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა პროგრამის ინტერვენციებსა და შედეგებს შორის, ასევე, პროგრამის გავლენის რაოდენობრივი ანალიზი.

ნაწილი 7. გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით შერჩეული პროგრამების გაუმჯობესების რეკომენდაციები

თვისებრივი და რაოდენობრივი მიგნებებისა და პროგრამების განხორციელების სტრუქტურის საფუძველზე ამ პროგრამის ზეგავლენის გაძლიერების რეკომენდაციები დაჯგუფდა სამ სეგმენტად: (ა) პროგრამების გენდერული სენსიტიურობის გაზრდა; ბ) კომუნიკაციის დროს არსებული გენდერული ნორმების გათვალისწინება; გ) დაფინანსების სქემების გადახედვა; და (დ) მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება გენდერული პერსპექტივიდან.

ა) პროგრამების გენდერული სენსიტიურობის გაზრდა

იმისთვის, რომ პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა უფრო გენდერულად სენსიტიური გახდეს და მოხდეს ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და დევნილებსა და ეკომიგრანტებს შორის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საჭიროა შემდეგი ქმედებები:

- სააგენტოში გენდერული კომპეტენციის გაძლიერება და გენდერულად სენსიტიური შესაძლებლობების განვითარება გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული იძულებით გადაადგილების საკითხებისთვის საჭირო კონკრეტული თემატური ცოდნით.
- გენდერული ანალიზის ჩატარება, არსებული გენდერული ხარვეზების და ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გამოვლენა არსებულ პროგრამებში ცვლილებების შეტანამდე ან ახალი პროგრამების დანერგვამდე; მიზანშეწონილია პროგრამის აღწერაში იყო დევნილთა და ეკომიგრანტთა წინაშე არსებული გენდერული სხვაობები და გამოწვევები, ასევე, პროგრამების/ან ცვლილებების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე.
- რეკომენდაციის სახით, სააგენტოს შეუძლია ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფო უწყებებთან და გასწიოს პროაქტიული საქმიანობა დევნილი ქალების მაღალანაზღაურებად პროფესიებში ჩართვისთვის.

ბ) კომუნიკაციის დროს გენდერული ნორმების გათვალისწინება

მიუხედავად იმისა, რომ შერჩეული პროგრამები გენდერულად დაბალანსებულია მონაწილეობისა და დაფინანსების მაჩვენებლებთან მიმართებაში, მაინც არის კომუნიკაციის გაუმჯობესების შესაძლებლობა:

- სააგენტომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს რეგიონებიდან ქალთა მონაწილეობის გაზრდას დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაში მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიებით და მიზნობრივ მოსახლეობასთან მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (რომლებიც მონაწილეებს დაეხმარებიან განაცხადების ხარისხის გაუმჯობესებაში).
- სააგენტოს შეუძლია ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების მეტად პოპულარიზებას ახალგაზრდებში, მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიების გატარებით, სანამ ისინი საგანმანათლებლო გზას აირჩევენ.
- სააგენტოს აქვს პოტენციალი, შეცვალოს არსებული გენდერული სტერეოტიპები პრო-

ფესიული განათლების მიმართ პროფესიული განათლების მქონე წარმატებული ქალების ისტორიების ჩვენებით.

- დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამა ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას არსებული გენდერული ნორმებისა და სტერეოტიპების შეცვლით, ამიტომ, საკომუნიკაციო კამპანიების გაძლიერებამ ამ პოზიტიური ცვლილებების მაგალითებით და ინკლუზიური ენის გამოყენებით შეიძლება გააძლიეროს მისი დადებითი გავლენა.
- პროგრამებში საერთო მონაწილეობის გასაზრდელად და განაცხადების უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელია წინასწარ იყოს კარგად განსაზღვრული პროგრამების ვადები, განსაკუთრებით დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამისთვის. სასურველია ყოველწლიურად ერთსა და იმავე დროს გამოცხადდეს აპლიკაციის მიღება, რათა დაინტერესებულმა აუდიტორიამ წინასწარ იცოდეს პროგრამის დაწყების შესახებ და დაიწყოს მომზადება. ამასთან, პროგრამის განმცხადებლები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მათი განაცხადის სტატუსის შესახებ. სააგენტო უნდა დარწმუნდეს, რომ განმცხადებლები, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, დროულად იღებენ ინფორმაციას უარის შესახებ და ნათლად და ამომწურავად ეცნობებათ უარის მიზეზები. ბენეფიციარების შემთხვევაში მათ პერიოდულად უნდა ეცნობოთ განაცხადის სტატუსის შესახებ (მოთხოვნილი სახელობო იარაღის შეძენა) და უნდა ეცნობოთ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა, თავად წაიღონ შეძენილი იარაღები (არ დაელოდონ დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიას). ეს საშუალებას მისცემს განმცხადებლებს, შესაბამისად დაგეგმონ სამომავლო საქმიანობა და გაზრდის მათი ნდობას პროგრამისა და სააგენტოს მიმართ.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განმცხადებლებს, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, სააგენტო უნდა დარწმუნდეს, რომ მათ ესმით უარის მიზეზები, მოტივირებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ მომავალ პროგრამებში და გააუმჯობესონ მომავალი განაცხადები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალი მონაწილეებისთვის, რადგან მათ ახასიათებთ სამუშაო ძალის მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლები და უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ ისინი იმედგაცრუებულნი გახდნენ და გამოეთიშონ სამუშაო ძალას.

გ) დაფინანსების სქემების გადახედვა

- ანალიზმა ხაზი გაუსვა დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამისთვის დაფინანსების გაზრდის აუცილებლობას. კერძოდ, დაფინანსება უნდა ითვალისწინებდეს ფასების საერთო დონის ზრდას და ასევე, თანადაფინანსების კომპონენტის დანერგვა.
- დამაბრკოლებელი ფაქტორების აღმოფხვრაზე მუშაობა და დახმარების საჭიროების მქონე განმცხადებლების დახმარება უნდა იყოს მთავარი პრიორიტეტი. ეს შეიძლება მოიცავდეს ბარიერების იდენტიფიცირებას და მათ აღმოსაფხვრელ ქმედებებს, მაგრამ ასევე არსებული დაფინანსების გაზრდას (ან მინიმუმ მის ინდექსირებას), რათა არ მოხდეს უარის თქმა სახსრების არარსებობის გამო.

დ) მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება გენდერული პერსპექტივიდან

აღსანიშნავია, რომ სააგენტო ფლობს განსაკუთრებულად კარგი ხარისხის მონაცემებს პროგრამებში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, ინფორმაცია განმცხადებლების შესახებ, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები). თუმცა, გაუმჯობესება კიდევ შესაძლებელია. კერძოდ:

- რეკომენდებულია ინდივიდუალურ დონეზე ანაზღაურებული ტრანსპორტირების ხარჯების შესახებ ინფორმაციის დამატება. ეს გააძარტივებს პროგრამის ზემოქმედების შეფასებას სხვადასხვა დონეზე გენდერული განზომილების ჩათვლით.
- სააგენტომ უნდა გაზარდოს ძალისხმევა და შეაგროვოს ეკომიგრანტების შესახებ მონაცემები სხვადასხვა განზომილებაში (მათ შორის, სქესის ნიშნით ჩაშლილი). ამჟამად ამ მოწყვლადი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია და მათი მონაწილეობა პროგრამებში ძალიან დაბალია. ამ ჯგუფის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათი მონაწილეობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია მისი დემოგრაფიული და სოციალურ-

ეკონომიკური მახასიათებლების ცოდნა. ამ მიმართულებით საჭიროა დამატებითი კვლევა.

- პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერება. მიზანშეწონილია პერიოდულად მოხდეს მონაწილეთა კმაყოფილების დონის მონიტორინგი, გამოწვევების იდენტიფიცირება და მისი გავლენის შეფასება ბენეფიციარების შრომის ბაზრის მაჩვენებლებზე უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში. ეს მოითხოვს მათ (და - იდეალურ შემთხვევაში - განმცხადებლების შესახებ, რომლებიც ვერ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები) პერიოდულ მონიტორინგს დროთა განმავლობაში, პროგრამაში მათი მონაწილეობიდან რამდენიმე წლის შემდეგაც კი. რაც შეეხება დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამას, რეკომენდებულია სხვადასხვა პროფესიის დაფინანსების მაჩვენებლებისა და პროგრამის შედეგების ანალიზი პროფესიების ჯგუფების მიხედვით გენდერულ ჭრილში; შეფასდეს ნამატი ზემოქმედება სხვადასხვა ქვეჯგუფზე (გენდერის, ასაკის, რეგიონის მიხედვით), დაბრკოლებების იდენტიფიცირება, საკითხის შესწავლა და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელება.

დანართი

დანართი 1. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების სახელმძღვანელო

ა) პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარების ინტერვიუების სახელმძღვანელო

სექცია 1.

1. ამჟამად სწავლობთ პროფესიული განათლების დაწესებულებაში?
   - ვსწავლობ
   - დავამთავრე სწავლა
2. როგორ შეიტყვეთ პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ (შეგიძლიათ რამდენიმე პასუხის მონიშვნა)?
   - SMS შეტყობინებით
   - დევნილებთან გამართული საინფორმაციო შეხვედრაზე (ფორუმი, კარდაკარ პრინციპი, ბეჭდური მასალები, სატელეფონო/პირადი კონსულტაცია)
   - მეგობრისაგან, თანაკურსელისაგან, ნათესავისაგან ან სხვა ახლობლისაგან
   - სკოლის ადმინისტრაციისაგან
   - ინტერნეტით
3. გსმენიათ თუ არა დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის შესახებ?
   - კი (გადადით მე-4 კითხვაზე)
   - არა (გააგრძელეთ მეხუთე კითხვით)
4. მიგიღიათ მონაწილეობა პროგრამაში, ან აპირებთ მონაწილეობის მიღებას?
   - წარვადგინე განაცხადი, მაგრამ დაიწუნეს
   - წარვადგინე განაცხადი და დააკმაყოფილეს
   - წარვადგინე განაცხადი და ველი პასუხს
   - ვაპირებ განაცხადის წარდგენას
   - არ ვაპირებ განაცხადის წარდგენას
5. როგორ გეხმარებათ მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება განათლების მიღებაში (ღია კითხვა. დეტალები მისასალმებელია. ინტერვიუერისთვის: პასუხის მიღების შემდეგ წაიკითხეთ შემდეგი ვარიანტები და შემოხაზეთ შესაბამისი)
   - დახმარების გარეშე ვერ ვივლიდი სასწავლო დაწესებულებაში
   - დახმარების გარეშე ვივლიდი სასწავლო დაწესებულებაში, მაგრამ ჩემთვის რთული იქნებოდა
   - დახმარების გარეშეც უპრობლემოდ ვივლიდი სასწავლო დაწესებულებაში
   - არ ვიცი / რთულია პასუხის გაცემა
6. რატომ აირჩიეთ პროფესიული განათლება (შეგიძლიათ რამდენიმე პასუხი აირჩიოთ)?
   - უფასო სწავლება
   - მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება
   - დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობა
   - დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა
   - სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)
7. როგორ შეიცვალა თქვენი ეკონომიკური (ფინანსური) მდგომარეობა პროფესიული განათლების მიღების შემდეგ? ან როგორ ფიქრობთ, შეიცვლება? (ღია კითხვა. დეტალები მისასალმებელია. ინტერვიუერისთვის: პასუხის მიღების შემდეგ წაიკითხეთ შემდეგი ვარიანტები და შემოხაზეთ შესაბამისი)
   - მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა / გაუმჯობესდა
   - ოდნავ გაუმჯობესდა / გაუმჯობესდა
   - არ შეცვლილა
   - ოდნავ გაუარესდა
   - მნიშვნელოვნად გაუარესდა
   - არ მაქვს პასუხი / არ ვიცი
8. როგორ შეაფასებდით განაცხადის შეტანის პროცესს? რამდენად მარტივი იყო?
   - ძალიან მარტივი
   - მარტივი
   - ნეიტრალური - არც მარტივი, არც რთული
   - რთული
   - ძალიან რთული
   - არ მაქვს პასუხის / არ ვიცი
9. განაცხადის შევსების დროს წააწყდით თუ არა დაბრკოლებებს?
   - კი (გადადით მეორე სექციაში)
   - არა (გააგრძელეთ მესამე სექციით)

სექცია 2. განაცხადის შევსების დროს გამოვლენილი დაბრკოლებები

10. რა კონკრეტულ სირთულეებს წააწყდით? (ღია კითხვა)
11. როგორ გადალახეთ აღნიშნული სირთულეები? (ღია კითხვა)
12. ვინმე დაგეხმარათ პრობლემის გადალახვაში? კერძოდ, ვინ? (ღია კითხვა)

სექცია 3. დამოკიდებულება სააგენტოს მიმართ

13. განაცხადის შევსების დროს მიმართეთ თუ არა სააგენტოს დახმარებისთვის?
    - კი
    - არა
14. გქონდათ ინფორმაცია, ვისთვის უნდა მიგემართათ დახმარების თხოვნით?
    - კი
    - არა
15. ამ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში როგორ შეაფასებდით სააგენტოს მომსახურების ხარისხს? (ღია კითხვა; პასუხის შემდეგ სთხოვეთ კონკრეტული მაგალითების დასახელება)
    - ძალიან დადებითად
    - დადებითად
    - ნეიტრალურად
    - უარყოფითად
    - ძალიან უარყოფითად
    - არ მაქვს პასუხი / არ ვიცი
16. ზოგადად, როგორ შეაფასებდით პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას (ღია კითხვა, პასუხის მიღების შემდეგ განავრცეთ პასუხი)
    - ძალიან დადებითად
    - დადებითად
    - ნეიტრალურად
    - უარყოფითად
    - ძალიან უარყოფითად
    - არ მაქვს პასუხი / არ ვიცი
17. რას შეცვლიდით პროგრამაში? (ღია კითხვა)
18. გაუწევდით თუ არა პროგრამაში მონაწილეობის რეკომენდაციას სხვას და რატომ? (ღია კითხვა)
    - კი
    - არა
    - არ მაქვს პასუხის / არ ვიცი

მიუთითეთ გენდერი

- *მამრობითი (გადადით მეოთხე სექციაზე)*
- *მდედრობითი (გადადით მეხუთე სექციაზე)*

სექცია 4. გენდერული როლებისა და ღირებულებების ცვლილება კაცების შემთხვევაში

19. მარტო ცხოვრობთ თუ ოჯახის წევრებთან ერთად?
    - მარტო ვცხოვრობ
    - ოჯახის წევრებთან ერთად ვცხოვრობ
20. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შედეგად გაიზარდა თუ არა თქვენი ჩართულობის დონე საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში? (ღია კითხვა)
21. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემდეგ შეიცვალა თუ არა ოჯახში ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმეების გადანაწილება? (ღია კითხვა)
22. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემდეგ როგორ შეიცვალა თქვენი პიროვნული დამოუკიდებლობა? (ღია კითხვა)
23. ფიქრობთ თუ არა, რომ პროგრამაში მონაწილეობამ შეცვალა თქვენდამი ოჯახისა და საზოგადოების დამოკიდებულება, ანუ გახდით თუ არა უფრო დაფასებული? (ღია კითხვა)

სექცია 5. გენდერული როლებისა და ღირებულებების ცვლილება ქალების შემთხვევაში

24. მარტო ცხოვრობთ თუ ოჯახის წევრებთან ერთად?
    - მარტო ვცხოვრობ
    - ოჯახის წევრებთან ერთად ვცხოვრობ
25. შეცვალა თუ არა პროგრამამ თქვენი, როგორც ოჯახში ქალის, როლი? (ღია კითხვა)
26. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შედეგად გაიზარდა თუ არა თქვენი ჩართულობის დონე საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში? (ღია კითხვა)
27. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემდეგ შეიცვალა თუ არა ოჯახში ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმეების გადანაწილება? (ღია კითხვა)
28. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემდეგ როგორ შეიცვალა თქვენი პიროვნული დამოუკიდებლობა? (ღია კითხვა)
29. ფიქრობთ თუ არა, რომ პროგრამაში მონაწილეობამ შეცვალა თქვენდამი ოჯახისა და საზოგადოების დამოკიდებულება, ანუ გახდით თუ არა უფრო დაფასებული? (ღია კითხვა)

სექცია 6. დასკვნითი კითხვები იმ ბენეფიციარებს, რომელთაც დაამთავრეს პროგრამა

30. მუშაობთ თუ არა იმ პროფესიით, რომელსაც დაეუფლეთ პროფესიული განათლების პროგრამაზე სწავლების დროს?

ა. კი
ბ. არა

31. იყენებთ თუ არა პროფესიული განათლების დროს მიღებულ ცოდნას? როგორ? (ღია კითხვა)

ბ) დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ბენეფიციარების ინტერვიუს სახელმძღვანელო

სექცია 1. პროგრამის ბენეფიციარების დასაქმების სტატუსზე, ეკონომიკურ მდგომარეობასა და საგანმანათლებლო მოღწევებზე ზემოქმედება

1. დაეხმარა პროგრამა თქვენს თვითდასაქმებას? (ღია კითხვა. დეტალები მისასალმებელია. პასუხის მიღების შემდეგ, მოხაზეთ შესაბამისი პასუხი)
   - კი, იმიტომ, რომ ამ პროგრამის გამო გადავწყვიტე თვითდასაქმება
   - კი, ვიყავი თვითდასაქმებული, მაგრამ არ მქონდა საკუთარი სახელობო იარაღები
   - კი, ვიყავი დასაქმებული, მაგრამ არ მქონდა საკუთარი სახელობო იარაღები
   - სხვა (დააკონკრეტეთ)
2. პროგრამაში რომ არ მიგეღოთ მონაწილეობა, ფიქრობთ, რომ შეძლებდით იმავე პროფესიით დასაქმებას? (ღია კითხვა. დეტალები მისასალმებელია. პასუხის მიღების შემდეგ, მოხაზეთ შესაბამისი პასუხი)
   - კი, დავსაქმდებოდი კერძო ან/და საჯარო სექტორში დაქირავებული ან/და დამქირავებლის სახელობო იარაღებით
   - კი, ვიქნებოდი თვითდასაქმებული, შევძლებდი სახელობო იარაღების ჩემით ყიდვას
   - არა
   - სხვა (დააკონკრეტეთ)
3. პროგრამაში რომ არ მიგეღო მონაწილეობა, ფიქრობთ, რომ შეძლებდით საქმიანობის იმავე წარმატებით განხორციელებას? რატომ? (ღია კითხვა. დეტალები მისასალმებელია. პასუხის მიღების შემდეგ, მოხაზეთ შესაბამისი პასუხი)
   - კი
   - არა
4. როგორ შეცვალა დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამამ, რომლის ფარგლებშიც მიიღეთ სახელობო იარაღები, თქვენი ეკონომიკური (ფინანსური) მდგომარეობა? (ღია კითხვა, კითხვის მონიშვნის შემდეგ სთხოვეთ განვრცობა. ინტერვიუერისთვის: სცადეთ, გამოიკვლიოთ COVID-19-ის ზეგავლენა)
   - მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა
   - გაუმჯობესდა
   - დარჩა იგივე, თუმცა, სამუშაო პროცესი გამარტივდა
   - გაუარესდა
   - არ ვიცი/რთულია პასუხის გაცემა
5. მიიღეთ პროფესიული განათლება ან დაამთავრეთ კურსები ამ პროგრამაში მონაწილეობისათვის?
   - კი
   - არა
6. პროგრამაში ჩართვის შემდეგ გაგივლიათ თუ არა, ან ხომ არ ფიქრობთ, გაიაროთ პროფესიული ზრდის კურსები? (ღია კითხვა. პასუხის მონიშვნის შემდეგ სთხოვეთ განვრცობა. თუ კურსები არ გაუვლიათ, ჰკითხეთ მიზეზები)
   - კი
   - არა
7. რა სარგებელი მოგიტანათ პროგრამამ? (ღია კითხვა. პასუხის მონიშვნის შემდეგ ჰკითხეთ დეტალები)
   - დავიწყე/გავაგრძელე ჩემი აქტივობა დამოუკიდებლად
   - სამუშაო პროცესი გამარტივდა
   - გავაფართოვე ჩემი საქმიანობა (ანუ გავზარდე ასორტიმენტი, გავზარდე პროდუქციის / მომსახურების მოცულობა, ა.შ.)
   - გავაუმჯობესე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა
   - სხვა

სექცია 2. საინფორმაციო არხები

8. როგორ შეიტყვეთ პროგრამის შესახებ (შეგიძლიათ რამდენიმე პასუხის არჩევა)?
   - SMS შეტყობინებით;
   - დევნილებთან გამართული საინფორმაციო შეხვედრაზე (ფორუმი, კარდაკარ პრინციპი, ბეჭდური მასალები, სატელეფონო/პირადი კონსულტაცია);
   - მეგობრისაგან, თანაკურსელისაგან, ნათესავისაგან ან სხვა ახლობლისაგან;
   - სკოლის ადმინისტრაციისაგან;
   - ინტერნეტით
   - სხვა

სექცია 3. განაცხადის შევსების შეფასება

9. როგორ შეაფასებთ განაცხადის შევსების პროცესს? რამდენად მარტივი იყო?
   - ძალიან მარტივი
   - მარტივი
   - ნეიტრალური - არც რთული, არც მარტივი

- რთული
- ძალიან რთული
- არ მაქვს პასუხის / არ ვიცი
- სხვა

10. განაცხადის შევსების დროს წააწყდით სირთულეებს?
    - კი (გადადით მეოთხე სექციაზე)
    - არა (გადადით მეხუთე სექციაზე)

სექცია 4. განაცხადის შევსების დროს გამოვლენილი სირთულეები

11. რა კონკრეტულ სირთულეებს წააწყდით? (ღია კითხვა)
12. როგორ გადალახეთ აღნიშნული სირთულეები? (ღია კითხვა)
13. ვინმე დაგეხმარათ პრობლემის გადალახვაში? კერძოდ ვინ? (ღია კითხვა)

სექცია 5. ბენეფიციარების პროგრამით მიღებული იარაღებითა და სააგენტოს მიერ მოწოდებული მომსახურებებით კმაყოფილების დონე

14. რთული იყო თქვენთვის ფინანსური გამოთვლები? (ღია კითხვა, პასუხის მონიშვნის შემდეგ სთხოვეთ გავრცობა)
    - კი
    - არა
    - სხვა
15. განაცხადის შევსების დროს მიმართეთ დახმარებით სააგენტოს? დაგეხმარნენ? როგორ? გქონდათ ინფორმაცია, ვისთვის უნდა მიგემართათ დახმარების თხოვნით? (ღია კითხვა)
16. დაფინანსების შედეგად:
    - სრულად ეკიპირებული გახდით
    - ნაწილობრივ ეკიპირებული გახდით
    - მინიმალურად ეკიპირებული გახდით. საჭირო გახდა დამატებითი ხარჯების გაღება საქმიანობის დაწყებისათვის
    - სხვა
17. იყო თუ არა სირთულე იარაღების მიღებისა და გადაცემის დროს? რა? (ღია კითხვა)
18. პროგრამის ფარგლებში შეძენილი სახელობო იარაღებით რამდენად კმაყოფილი ხართ? რამდენად აკმაყოფილებს იარაღი მოთხოვნას?
    - ძალიან კმაყოფილი
    - კმაყოფილი
    - ნეიტრალური
    - უკმაყოფილო
    - ძალიან უკმაყოფილო
    - სხვა
19. როგორ შეაფასებდით სახელობო იარაღების მიღებისათვის საჭირო დროს? (ღია კითხვა, პასუხის მონიშვნის შემდეგ სთხოვეთ განვრცობა)
    - იმაზე ნაკლები დრო დასჭირდა, ვიდრე მოველოდი
    - მივიღე მოლოდინისამებრ
    - იმაზე მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე მოველოდი
    - სხვა
20. ამ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში როგორ შეაფასებდით სააგენტოს მომსახურებების ხარისხს? (ღია კითხვა, პასუხის მონიშვნის შემდეგ სთხოვეთ განვრცობა)
    - ძალიან დადებითად
    - დადებითად
    - ნეიტრალურად
    - უარყოფითად
    - ძალიან უარყოფითად
    - არ მაქვს პასუხი / არ ვიცი
    - სხვა
21. ურჩევდით სხვას პროგრამაში მონაწილეობის მიღებას?
    - კი
    - არა
    - არ მაქვს პასუხი / არ ვიცი
    - სხვა
22. რას შეცვლიდით პროგრამაში (შეგიძლიათ რამდენიმე პასუხის მონიშვნა)? (ღია კითხვა, ჯერ მიიღეთ პასუხი და განმარტება. თუ ვერ გეტყვით პასუხს, წაუკითხეთ ჩამონათვალი)
    - მოთხოვნილი სახელობო იარაღების რაოდენობის გაზრდა
    - გადაცემის დროის შემცირება
    - დაფინანსების გაზრდა
    - არაფერს
    - არ ვიცი / რთულია პასუხის გაცემა
    - სხვა

მიუთითეთ გენდერი

- მდედრობითი (გადადით მეექვსე სექციაზე)
- მამრობითი (გადადით მეშვიდე სექციაზე)

სექცია 6. გენდერული როლებისა და ღირებულებების ცვლილება ქალების შემთხვევაში

23. მარტო ცხოვრობთ თუ ოჯახის წევრებთან ერთად?
    - მარტო ვცხოვრობ
    - ოჯახის წევრებთან ერთად ვცხოვრობ
24. შეცვალა თუ არა პროგრამამ თქვენი, როგორც ოჯახში ქალის, როლი? (ღია კითხვა)
25. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შედეგად გაიზარდა თუ არა თქვენი ჩართულობის დონე საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში? (ღია კითხვა)
26. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემდეგ

შეიცვალა თუ არა ოჯახში ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმეების გადანაწილება? (ღია კითხვა)

27. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემდეგ როგორ შეიცვალა თქვენი პიროვნული დამოუკიდებლობა? (ღია კითხვა)
28. ფიქრობთ თუ არა, რომ პროგრამაში მონაწილეობამ შეცვალა თქვენდამი ოჯახისა და საზოგადოების დამოკიდებულება, ანუ გახდით თუ არა უფრო დაფასებული? (ღია კითხვა)

სექცია 5. გენდერული როლებისა და ღირებულებების ცვლილება კაცების შემთხვევაში

29. მარტო ცხოვრობთ თუ ოჯახის წევრებთან ერთად?
    - მარტო ვცხოვრობ
    - ოჯახის წევრებთან ერთად ვცხოვრობ
30. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შედეგად გაიზარდა თუ არა თქვენი ჩართულობის დონე საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში? (ღია კითხვა)
31. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემდეგ შეიცვალა თუ არა ოჯახში ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმეების გადანაწილება? (ღია კითხვა)
32. პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემდეგ როგორ შეიცვალა თქვენი პიროვნული დამოუკიდებლობა? (ღია კითხვა)
33. ფიქრობთ თუ არა, რომ პროგრამაში მონაწილეობამ შეცვალა თქვენდამი ოჯახისა და საზოგადოების დამოკიდებულება, ანუ გახდით თუ არა უფრო დაფასებული? (ღია კითხვა)

გ) დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში არდაფინანსებულ განმცხადებლებთან ინტერვიუს სახელმძღვანელო

სექცია 1. დასაქმების სტატუსი - არსებული სტატუსი და პროფესია

1. ახლა დასაქმებული ხართ თუ არა? თუ კი, სად? (ღია კითხვა. დეტალები მისასალმებელია. პასუხის მიღების შემდეგ მონიშნეთ შესაბამისი პასუხი)
    - დასაქმებული
    - თვითდასაქმებული
    - უმუშევარი
    - არც დასაქმებული და არც ვეძებ სამსახურს
2. განაცხადის დაწუნების მიუხედავად, დაიწყეთ იგივე საქმიანობა? (ღია კითხვა. დეტალები მისასალმებელია. პასუხის მიღების შემდეგ მონიშნეთ შესაბამისი პასუხი)
    - კი
    - არა

სექცია 2. უარყოფის მიზეზები - არდაფინანსებული კანდიდატებით მოსაზრებები და სააგენტოსაგან მიღებული ოფიციალური ახსნა

3. თქვენი აზრით, რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა პროგრამაში ან რატომ არ დაგაფინანსეს? (ღია კითხვა)
4. მიიღეთ სააგენტოსაგან განმარტება, რატომ არ დააკმაყოფილეს თქვენი განაცხადი?
    - კი
    - არა
5. სცადეთ განაცხადის მეორეჯერ წარდგენა? რატომ? (ღია კითხვა. დეტალები მისასალმებელია. პასუხის მიღების შემდეგ მონიშნეთ შესაბამისი პასუხი)

სექცია 3. განაცხადის დამუშავებისა და დაკავშირებული გამოწვევების შეფასება

6. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გვაინტერესებს, როგორ შეფასებდით განაცხადის შევსების პროცესს? რამდენად მარტივი იყო?
    - ძალიან მარტივი
    - მარტივი
    - ნეიტრალური - არც რთული, არც მარტივი
    - რთული
    - ძალიან რთული
    - არ მაქვს პასუხი / ვერ გეტყვით
7. გქონდათ თუ არა განაცხადის შევსების დროს რაიმე სირთულე?
    - კი (გადადით მეოთხე სექციაზე)
    - არა (გადადით მეხუთე სექციაზე)

სექცია 4. განაცხადის დამუშავების სირთულეები

8. კონკრეტულად რა სირთულეებს წააწყდით? (ღია კითხვა)
9. როგორ გაუმკლავდით სირთულეებს? ვინმე დაგეხმარათ? კერძოდ ვინ? მიმართეთ სააგენტოს? (ღია კითხვა)

სექცია 5. ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა

10. როგორ შეიცვალა თქვენი ფინანსური (ეკონომიკური) მდგომარეობა? (ღია კითხვა. სთხოვეთ განვრცობა. სცადეთ, გამოავლინოთ COVID-19 ზეგავლენა)
    - მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა
    - გაუმჯობესდა
    - იგივე დარჩა
    - გაუარესდა
    - არ ვიცი / რთულია პასუხის გაცემა

დანართი 2. პროფესიული განათლების პროგრამების ტიპები და მათი მახასიათებლები

საბაზისო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	ამ ტიპის პროგრამაზე მიღების წინაპირობაა საბაზო განათლების დასრულება (მე-9 კლასი). პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-3 დონის კვალიფიკაციას. ამ პროგრამების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ შრომის ბაზარზე შესვლა.
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა მინიმუმ სრული ზოგადი (მე-12 კლასი) განათლების ან მასთან გათანაბრებული ატესტატის ფლობა. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დონის კვალიფიკაციას.
უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა სრული ზოგადი (მე-12 კლასის) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული ატესტატის ფლობა. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-5 დონის კვალიფიკაციას. პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ შეუერთდნენ შრომის ბაზარზე ან განაგრძონ სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.
პროფესიული მომზადების პროგრამა	ის ამზადებს ინდივიდებს პროფესიასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული კვლევის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს 2/3/4/5 დონეს.
პროფესიული გადამზადების პროგრამა	მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ ინდივიდებმა შეიძინონ ან/და განავითარონ კომპეტენცია იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით მოწოდებული კვლევის შედეგები შესაძლოა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს 2/3/4/5 დონეს

დანართი 3. დევნილთა და ეკომიგრანტთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმები

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმები[64]

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში პრიორიტეტი ენიჭება შემდეგს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები (სოციალური რეიტინგი <65000);

ბ) ოჯახი ორი და მეტი არასრულწლოვანი შვილით;

გ) ოჯახი, რომლის წევრსაც აქვს ონკოლოგიური დაავადება;

დ) ოჯახი, რომლის წევრიც სპეციალური საჭიროების მქონე პირია;

ე) მშობელი ან ქვრივი, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს არასრულწლოვან შვილზე ან შვილებზე;

ვ) ასაკოვანი პირი არასრულწლოვან შვილზე ან შვილიშვილზე კანონით დადგენილი წესით ახორციელებს მეურვეობას;

ზ) მარტო მცხოვრები პენსიონერი და ხანდაზმული წევრებისგან შემდგარი ოჯახი;

თ) ოჯახი, რომლის წევრიც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში;

ი) ოჯახი, რომლის წევრიც დაიღუპა ან გაუჩინარდა საქართველოში მომხდარი კონფლიქტების შედეგად;

კ) ოჯახი, რომლის წევრიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის ვეტერანი;

ლ) ოჯახი, რომლის ვეტერანი ომის წევრი დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში და რომლის მეუღლეს ან/და არასრულწლოვან შვილს გაცემული აქვს მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა;

მ) ოჯახი, რომელიც შედგება 1994 წლის პირველ იანვრამდე დაბადებული დევნილის სტატუსის მქონე პირისგან.

ეკომიგრანტების განსახლების პროექტების კრიტერიუმები:[65]

სამი კრიტერიუმი: საცხოვრებლის ზიანის ხარისხი, სოციალური და სხვა.

საცხოვრებლის დაზიანების ორი ხარისხი არსებობს: პირველ კატეგორიაში შედის ეკომიგრანტი ოჯახები, რომელთა სახლი ან მისი ნაწილი სტიქიის შედეგად განადგურდა ან დაზიანდა და არ ექვემდებარება აღდგენას; მეორე კატეგორიაში შედის სტიქიით დაზარალებული ოჯახები, რომელთა სახლები არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური უბედურება საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ქონებას.

რაც შეეხება სოციალურ კრიტერიუმებს, უპირატესობა ენიჭება საცხოვრებელს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები (სოციალური რეიტინგი <65000);

ბ) ოჯახი სამი და მეტი არასრულწლოვანი შვილით;

გ) მძიმედ დაავადებული წევრის ან წევრების მქონე ოჯახი (ფსიქიკური აშლილობა, ონკოლოგიური დაავადება);

დ) ოჯახი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრით;[66]

ე) მშობელი ან ქვრივი, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს არასრულწლოვან შვილზე ან შვილებზე;

ვ) ასაკოვანი არასრულწლოვან შვილზე ან შვილიშვილზე კანონით დადგენილი წესით ახორციელებს მეურვეობას;

ზ) მარტო მცხოვრები პენსიონერი და ხანდაზმული წევრებისგან შემდგარი ოჯახი;

თ) ოჯახი შვიდი ან მეტი წევრით.

სხვა კრიტერიუმები: საერთოდ არ აქვს საცხოვრებელი ან საცხოვრებელი პირობები (ფართობი და ოჯახის წევრების რაოდენობა) არ აკმაყოფილებს ცხოვრების მინიმალურ სტანდარტებს.

64 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-30/ნ, 08.04.2021წ.

65 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N779 გამოცემული 2013 წელს.

66 თუ პირი ერთდროულად აკმაყოფილებს „გ“ და „დ“ პირობებს, ენიჭება ამ ორს შორის უმაღლესი ქულა.

დანართი 4. განმცხადებელთა და ბენეფიციართა მოთხოვნილი დაფინანსება რეგიონების მიხედვით

დიაგრამა 37:

განმცხადებელთა მიერ საშუალოდ მოთხოვნილი დაფინანსება (თბილისი) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 38:

ბენეფიციარების მიერ საშუალოდ მოთხოვნილი დაფინანსება (თბილისი) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

კიდევ უფრო შესამჩნევია განსხვავება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. საერთო ჯამში, აქ ქალები უფრო მეტ დაფინანსებას ითხოვენ, ვიდრე კაცები (1,584 ლარი და 1,547 ლარი) (დიაგრამა 39). ასევე, ყველა ბენეფიციარიდან ქალთა მოთხოვნილი დაფინანსება საშუალოდ უფრო მაღალია, ვიდრე კაცების შემთხვევაში (1,730 ლარი და 1,645 ლარი) (დიაგრამა 40).

დიაგრამა 39:

განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი საშუალო დაფინანსება (სამეგრელო-ზემო სვანეთი) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 40:

ბენეფიციარების მიერ მოთხოვნილი საშუალო დაფინანსება (სამეგრელო-ზემო სვანეთი) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის სამუშაო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

სხვა რეგიონებში განსხვავება ისეთივეა, რასაც თბილისში ვაკვირდებით. საშუალოდ, კაცი და ქალი განმცხადებლები ითხოვენ 1,265 ლარს და 1,209 ლარს (დიაგრამა 41), ხოლო ბენეფიციარებიდან კაცები ითხოვენ საშუალოდ 1,636 ლარს, ხოლო ქალები - 1,752 ლარს (დიაგრამა 42).

დიაგრამა 41:

განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი საშუალო დაფინანსება (სხვა რეგიონები) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 42:

ბენეფიციარების მიერ მოთხოვნილი საშუალო დაფინასება (სხვა რეგიონები) (დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა)



წყარო: ავტორების გამოთვლები სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ბიბლიოგრაფია

ACT. 2013. *Public Perceptions on Gender Equality in Politics and Business.* Tbilisi: ACT.

_____. 2020. *Tracer Study Report for 2019 Vocational Education Programs.* Tbilisi: ACT.

Association of Young Economists of Georgia. 2014. *Women's Economic Opportunities and Challenges.* Tbilisi: Association of Young Economists of Georgia.

Benjamin, J. A. 1998. *The Gender Dimensions of Internal Displacement: Concept Paper and Annotated Bibliography.* UNICEF/IDP Gender Issues Paper.

Deaux, K. and E. Farris. 1977. "Attributing Causes for One's Own Performance: The Effects of Sex, Norms, and Outcomes." *Journal of Research in Personality* 11 (1), pp. 59–72.

IDMC (Internal Displacement Monitoring Centre). 2012. *Georgia - Partial Progress Towards Durable Solutions.* IDMC. https://www.internal-displacement.org/publications/georgia-partial-progress-towards-durable-solutions-for-idps.

_____. 2020a. *Coordination and participation in Georgia - what worked and what didn't.* IDMC.

_____. 2020b. *Women and Girls in Internal Displacement.* Geneva: IDMC.

Le, A. T., P. W. Miller, W. S. Slutske and N. G. Martin. 2011. "Attitudes towards economic risk and the gender pay gap." *Labour Economics* 18 (4), pp. 555–561. https://doi.org/10.1016/j.labeco.2010.12.007.

Loughna, S. 2015. *An assessment of socio-economic integration and livelihood needs of IDPs in Georgia.* ACT.

Meertens, D. and R. Stoller. 2001. "Facing Destruction, Rebuilding Life: Gender and the Internally Displaced in Colombia." *Latin American Perspectives* 28 (1), pp. 132–148. http://www.jstor.org/stable/3185096.

MES (Ministry of Education and Science of Georgia). 2017. *Unified Strategy for Education and Science 2017–2021.* Tbilisi: MES.

_____. (2019). *Report on the Implementation of the 2019 Education Action Plan of the Unified Strategy for Education and Science (2017–2021).* Tbilisi: MES.

MoESD (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia). 2018. *Survey of Labour Market Demands in the Tourism Industry.* MoESD.

_____. 2019. *Survey of Labour Market Demands in the Construction Industry.* MoESD.

State Commission on Migration Issues. 2019. *2019 Migration Profile of Georgia.* Tbilisi. https://migration.commission.ge/files/mp19_eng_web3.pdf.

Torosyan, K., N. Pignatti and M. Obrizan. 2018. "Job market outcomes for IDPs: The case of Georgia." *Journal of Comparative Economics* 46 (3), pp. 800–820. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0147596718302439.

Tsurtsumia-Zurabashvili, A. 2019. *Availability of Vocational Education for Women's Economic Empowerment.* Tbilisi: Parliament of Georgia.

UN Women (United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women). 2020. *Analysis of the Gender Pay Gap and Gender Inequality in the Labour Market in Georgia.* Tbilisi: UN Women. https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2020/gender%20pay%20gap_georgia_eng.pdf?la=en&vs=636.

UNDP, UNFPA, UN Women. (2021). *Second Wave of the Rapid Gender Assesment of the COVID-19 Situation in Georgia .* UNDP, UNFPA, UN Women.

UNHCR (United Nations High Commissioner for Refugees). 2009. *Protection of Internally Displaced Persons in Georgia: A Gap Analysis.*

Uvarova, E. and M. Yasenovskaya. 2020. *The Gender Dimension of Internal Displacement in Ukraine: Local Policies, Business Practices and Legal Instruments of Protection.* Pubic Alternative.

United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

გაეროსქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
ფალიაშვილის ქ. #87, ოფისი 4, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

georgia.unwomen.org
www.unwomen.org